გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი



www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№272 (331) 10-17 ივნისი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

მეგრული ენის დღის აღნიშვნის მასალები იხილეთ ჩვენი გაზეთის მე-3-4-7 გვერდზე

# საქართველო გუშინ, დღეს, ხვალ, ზეგ???

*ისტორია არ იწერება ერთი ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფისათვის – იგი საერთაშორისო მეცნიერებაა და თუნდაც ერთი ეთნიკური ჯგუფის მიერ მისი დაკნინება ჩრდილს აყენებს მსოფლიო მატიანეს. თუნდაც ჩვენი სამხრეთელი მეზობლის – სომხებისაგან რეალური წარსულის შერყვნის იმდენი საძრახისი მაგალითი გვაქვს, რომ მისი გაზიარება მსოფლიო ისტორიის უკუღმა დაყენებას ნიშნავს. ამიტომაც მიიჩნევა, რომ სომხების მიერ შეთხზული ისტორიები შიდა მოხმარებისაა და საერთაშორისო არენაზე მისი გატანა ხშირად იწვევს ხოლმე საქმეში ჩახედული სპეციალისტების ირონიულ ღიმილს. სწორედ პირუთვნელ ისტორიაზე გვექნება საუბარი ამ წერილში, რაც იმის კიდევ ერთი მცდელობაა, რომ ყოველთვის უნდა უარვყოთ ყალბი და ვიწამოთ მხოლოდ ხალასი!*

**“გარდამხდა გარდასავალი, აწი უარესს მოველი!”** – არაერთგზის ამოუკვნესია მუდამ სცილასა და ქარიბდას შორის მდგარ, უთვალავი მტრის შემოსევისაგან დროებით თავდახსნილ ქართველ კაცს, ფარი და ხმალი კედელზე ჩამოუკიდებია, სახნისის კვალში ჩამდგარა, მაგრამ დროებით, რადგან, ათა და ბაბადან, მშვიდობიანი და ლაღი საუკუნე არ ახსოვს საქართველოს და მუდამ მისი გადასანსვლის მსურველი დაუნდობელი მტრის მოლოდინში ძილ-ფხიზლობდა!

მძიმე ჟამი გამოვიარეთ და როცა გვეგონა, რომ სამშვიდობოზე გავედით, სწორედ მაშინ აღმოვჩნდით ყველაზე რეალური საფრთხის წინაშე!

სცილა და ქარიბდაო, ვთქვით და ამ ორი ურჩხულის ავბედითი აჩრდილი მუდამ ადგა თავს საქართველოს: რომაელები და ბაქტრიელები, ბიზანტიელები და სპარსები, არაბები და მონღოლები, ოსმალები და ირანი...

და იყო გაუთავებელი **“ჰკა მაგას!”**, ირეცებოდა მტერი, მაგრამ ქართველთა რიგებიც თხელდებოდა, მტერი კი ჰელიოსის მიერ კოლხეთის ველზე დათესილი მორიელივით ბარტყობდა და ახალ განსაცდელს უმზადებდა ჯერ კიდევ ძველი იარებისაგან მოურჩენელ საქართველოს!

ბოლოს განგებამ ისე დაალაგა გეოსტრატეგიული ბანქო, რომ საქართველო მუსულმანურ ოკეანეში აღმოჩნდა პატარა კუნძულად და მის ხმალს ქარქაშში ჩაგება აღარ ეწერა. მიდიოდა ბრძოლა არსებობის შესანარჩუნებლად, რომლის გამოკვეთილ საბრძოლო მოწოდებას წარმოადგენდა **“ენა, მამული, სარწმუნოება”** და სწორედ ამ დევიზმა გაგვატარა უმძიმესი საუკუნეები!

მუსულმანები დაჟინებით მოითხოვდნენ რომ უარი გვეთქვა ქრისტიანულ რწმენაზე და ისლამი გვეღიარებინა, მაგრამ უდრეკი გახლდათ ქართველი კაცის ნება, რომელსაც სული შთაბერა არგვეთის ერისთავთა შეუვალობამ, კაციჭამია ჯალალედინის მიერ მოკვდინებული ასი ათასი წამებულის აღმსარებლურმა შეუდრეკელობამ, ქეთევან დედოფლის გმირულმა შემართებამ (ესენი ხომ რელიგიური სტოიციზმის განუმეორებელი მაგალითებია, რომელთა ანალოგი, დღემდე, მსოფლიოს არცერთ ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს არ გააჩნია)!

სომხებმა ჭკუა იხმარეს, სპარსელების ნებას დაჰყვნენ და ეფესოს საეკლესიო კრებაზე მონოფიზიტები გახდნენ, რაც ნახევრადქრისტიანობასაც კი არ ნიშნავს, მაგრამ მათ მხოლოდ ამგვარი ვირეშმაკობით გადაირჩინეს თავი და დღესაც ქრისტიანობის გულმხურვალე დამცველებად ასაღებენ თავს.

დიახ, მტერი გვაიძულებდა ქრისტიანობის უარყოფას, ნაცვლად კი გვთავაზობდა საკუთარ – მუსულმანურ რელიგიას, რასაც ეწირებოდა უკომპრომისო ქართველი მართლმადიდებელი-ქრისტიანი, დღეს კი მტერი გვაიძულებს უარი ვთქვათ მართლმადიდებლობაზე, სანაცვლოდ არაფერს გვთავაზობს გარდა გარყვნილებისა, უზნეობისა, სოდომისა და გომორასადმი მონური მსახურებისა!..

თუმცა, ამაზე ოდნავ ქვემოთ!

ამას წინათ ერთი აშკარად რეაქციონერი რუსი ისტორიკოსი გვმოძღვრავდა ერთ-ერთი რუსული ტელეარხიდან, რომ საქართველოს აღორძინება მაშინ იწყება, როცა მათ რუსეთთან პოლიტიკური კავშირი დაამყარაო. მაგალითად კი თამარ მეფის და და რუსი უფლისწულის იური (გიორგი) ანდრიას ძე ბოგოლიუბსკის ქორწინება მოჰყავს. ან არ იცის ამ **“ისტორიკოსმა”**, ან შეგნებულად აყალბებს ისტორიას, რადგან თამარ მეფის ეპოქამდე იყო რუსეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი დავით აღმაშენებლის დიდებული ეპოქა, რომელმაც **“ნიკოფსიიდან დარუბანდამდე”** განავრცო საქართველოს საზღვრები.

რაც შეეხება ე.წ. **“პოლიტიკურ ქორწინებას”** თამარსა და გიორგი რუსს შორის, ეს უკანასკნელი არ გახლდათ იმ უფლებებითა და ღირსებით აღჭურვილი პიროვნება, რომ მას საქართველოს შემდგომი აღორძინება შეძლებოდა. ამრიგად, არც ეს ეტაპი შეიძლება ჩაითვალოს საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის კულმინაციად. მანამდე იყო **“ვარანგთა”** მოსვლა, რუსეთის უკიდეგანო ველებიდან, საქართველოში, მაგრამ ვერც ეს ექსპედიცია ჩაითვლება პოლიტიკურ ურთიერთობათა დამყარების ქვაკუთხედად...

ნაცვლად იმისა, რომ ორივე მხრიდან ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას ერთ დროს მეგობრულად მცხოვრებ რუსებსა და ქართველებს შორის, კვლავაც აქტიურობენ ვიღაც ყიამყრალი მომეცნიერო ელემენტები, რომლებიც ერთმანეთს აყვედრიან უამრავ მომადლებულ სიკეთეს. არა და, დასამადლებელი არავის არაფერი აქვს და თუ რუსებმა უდავოდ გადაარჩინეს საქართველო მოზღვავებული მუსულმანური ჭირისაგან და აქციეს იგი ერთ-ერთ ეკონომიკურად და მენტალურად ძლიერ სახელმწიფოდ, ქართველებსაც არაერთგზის გადაურჩენიათ რუსეთი განადგურებისაგან და სწორედ ქართველი ადამიანის დამსახურება გახლავთ ის, რომ დღეს რუსეთის მსოფლიოს ზემძლავრი სახელმწიფოა!

დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ ჯერ კიდევ **“გეორგიევსკის ტრაქტატის”** გაფორმებამდე ალექსანდრე ბატონიშვილმა ჩაიბარა პეტრე პირველის რუსეთის არტილერია და მოახდინა მისი რეორგანიზაცია. სწორედ ამ დამსახურებისათვის მიანიჭა მას პეტრე პირველმა გენერალ-ფელდცოიხმაისტერის სამხედრო წოდება და ლამის დააცარიელა სახელმწიფო ხაზინა იმისათვის, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი შვედების ტყვეობისაგან დაეხსნა. იქნებ ვინმემ თქვას, რომ ეს არ გახლავთ ჭეშმარიტება?

რუსული სამხედრო ძლიერების ზენიტი – **“ბოროდინო”** სწორედაც რომ სამეფო შტოს წარმომადგენელი ქართველი პეტრე ბაგრატიონის სახელს უკავშირდება!

ქართველმა იოსებ სტალინმა ორჯერ გადაარჩინა რუსეთი – პირველად მაშინ, როცა გააცამტვერა რუსეთის, როგორც ეთნიკური და რელიგიური ფენომენის განადგურების ტროცკისეული გეგმა და მეორედ – როცა თავისივე ბუნაგში მოუგრიხა კისერი ფაშიზმს. და რომ არა სტალინისა და ბერიას ტიტანური მონდომებით შექმნილი ბირთვული იარაღი, არავის იცის როგორ წარიმართებოდა საბჭოთა კავშირის (ე.ი – რუსეთის) ბედი დიდი სამამულო ომის შემდეგ!

რა ვქნათ ახლა, ვამადლოთ ერთმანეთს ეს სიკეთეები?

განა მხოლოდ ორივე ერის დაუძინებელ მტრებს არ აძლევთ ხელს, რომ დავივიწყოთ საამაყო ისტორიული მოვლენები და მხოლოდ უნიათო მტრებივით ვუღრინოთ ერთმანეთს?

როგორ შეიძლება, რომ ქართველებსა და რუსებს შორის შემრიგებლის როლს ის სომხები თამაშობდნენ, რომელთა მიმართ არავითარი ნდობა და პატივისცემა არ არსებობდა რუსეთში, ვიდრე იმპერიის სათავეში არ მოვიდა არარუსი ეკატერინე მეორე, რომელმაც დიდი ქრთამის ფასად ჩააყენა სომხები საკუთარ ფავორიტთა რიგებში და ყველა პირობები შეუქმნა მათ გასამდიდრებლად.

ჩარჩები იყვნენ და იმიტომ!

ქართველებს სად ეცალათ ფულის საკეთებლად – ისინი მხოლოდ ომსა და მტრის დაჯაბნაზე ფიქრობდნენ!

გაიხსენეთ, რას შეეწირა ბოროდინოს ომში მძიმედ დაჭრილი პეტრე ბაგრატიონი, რომელმაც რამდენიმე ნაბიჯი გადადგა იმით აღშფოთებულმა, რომ ფრანგებმა მოსკოვი აიღეს... სწორედ ეს ნაბიჯი გახდა მისი სიკვდილის მიზეზი!

რა პატარები და სასაცილოები ვართ ხოლმე ხშირად, მათთან შედარებით?!

ახლა კი ვიღაც ავისმოსურნეები ირონიულად გაჰყვირიან, რომ ვლადიმერ პუტინი იოსებ სტალინს უდარებს თავსო! არა მგონია, რომ ეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ღირსებას აკნინებდეს, რადგან, ბორის ელცინისაგან განსხვავებით, იგი მართლაც სტალინური შემართებით იბრძვის რუსეთის ძლიერების აღორძინებისათვის! ვიმეორებ – დაშნაკი მიხეილ სააკაშვილივით ვერაგულად ძირს კი არ უთხრის საკუთარ სამშობლოს, არამედ ყველაფერს აკეთებს მისი აღორძინებისათვის!

არც იმის დამალვა ეგების, რომ **“გეორგიევსკის ტრაქტატამდეც”** და მის შემდეგაც იყო ხაოიანი მომენტები რუსებსა და ქართველებს შორის დამყარებულ პოლიტიკურ ურთიერთობებში, მაგრამ ამის მოთავეები გახლდნენ არა ქართველები და რუსები, არამედ რუსეთს წურბელებივით მიკრული გერმანელები და საქართველოს ასევე წურბელებად მიკრული რეაქციონერი სომხები (სამწუხაროდ, ეს **“ტრადიციები”** ამჟამადაც მძლავრობენ). ამის ნათელ მაგალითს თუნდაც ტოტლებენის გულისამრევი ღალატი წარმოადგენს, რომელმაც მარტო შეატოვა მეფე ერეკლე, თავისი მცირერიცხოვანი ჯარით, გავეშებულ მტერს...

თუ ვინმეს ეჭვი ეპარება ამ სტრიქონების რეალობაში, მოვუწოდებთ, რომ წაიკითხონ დიდი რუსი პუბლიცისტის ვასილ ველიჩკოს **“კავკასია”**, წაიკითხონ მომზენის, მასპეროს, მარკიზ დე კიუსტენის და სხვა პირუთვნელ მემატიანეთა ისტორიული ქრონიკები! როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისტორია ერთი ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფისათვის არ იწერება, იგი საერთაშორისო მეცნიერებაა და თუნდაც ერთი ეთნიკური ჯგუფის მიერ მისი დაკნინება ჩრდილს აყენებს მსოფლიო მატიანეს.

სიმართლე გითხრათ, დღეს ყველა მოაზროვნე ადამიანი გარკვეულწილად აჭრილია საქართველოს გარშემო შექმნილი პოლიტიკური ვითარებით: ცალ მხარეს დგას რუსეთი, რომელმაც წაგვართვა ძირძველი ტერიტორიები, თუმცა, რუსეთის ხელისუფლების მხრიდან გაისმის თუნდაც სუსტი განცხადება იმის თაობაზე, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა სრულიადაც არ გახლავთ გადაუჭრელი პრობლემა.

მეორე მხარეს დგას ევროამერიკა, მოძალებული გარყვნილებით, თავისი გულისამრევი წვერებიანი **“კონჩიტებით”**, ქართული ეროვნული ტრადიციების განადგურების მუქარით, ქართველების ტოტალური გადაგვარების ვერაგულად დახვეწილი პროგრამით...

ისიც ფაქტია, რომ ტერიტორიები ბევრი დაგვიკარგავს, თუნდა საქართველოს გასაბჭოების შედეგად ქვეყანას ლამის 21 ათასი კვარდატული კილომეტრი დაათმობინეს თურქებისა და აზერბაიჯანელებისათვის, მაგრამ საქართველო მაინც ფეხზე დადგა და მოკლე ხანში ჩადგა ეკონომიკურად და სულიერად განვითარებული ქვეყნების რიგში!

ერთადერთი, რასაც შეუძლია წააქციოს საქართველო, გახლავთ ქართველ ადამიანში მორალის, ზნეობის, რელიგიურობისა და ქართული ეროვნული ტრადიციების ჩაკვლა, რაც ძალიან კარგად იცის ჩვენმა დაუძინებელმა მტერმა და სწორედ ამ სიწმინდეებს ეჯაჯგურება მოსარყევად!

სწორედ ამ სიწმინდეებს იცავს დღეს რუსეთის ხელისუფლება, კანონით ებრძვის ყოველნაირ ბილწსიტყვაობას და გარყვნილებას და მხარს უმაგრებს მართლმადიდებლობის კანონების ერთგულ დამცველ რუსულ ეკლესიას!

ჩვენ ერთხელ უკვე ვიდექით საბედისწერო პოლიტიკურ გზაგასაყარზე, როცა არჩევანი უნდა გაგვეკეთებინა სპარსელებსა და იმ ბიზანტიელებს შორის, რომელთაც ვერაგულად მოგვიკლეს მეფე გუბაზი. და მაინც ბიზანტიელებთან ყოფნა ვარჩიეთ, რადგან ვიცოდით, რომ ერს ყველაზე ძლიერი მეფის მკვლელობაც კი ვერ გაანადგურებს.

სპარსელების გვერში დგომა კი უეჭველად გაგვანადგურებდა, რადგან ისინი ჩვენს სულიერებასა და რელიგიურ მრწამსს მიჩნევდნენ მიუღებლად და დაუნდობლად ებრძოდნენ!

დღესაც ასეთ გზაგასაყარზე ვდგევართ, მაგრამ რატომღაც იმ ევროამერიკელებს ვირჩევთ, რომლებიც ჩვენს რელიგიასა და სულიერებას მიიჩნევენ მიუღებლად და ყოველი საშუალების გამოყენებით ცდილობენ მის განადგურებას.

ასეთი იყო საქართველო გუშინ, ასეთია საქართველო დღეს, საინტერესო კი ის არის, თუ როგორი იქნება იგი ხვალ, თუ კურსს არ შევიცვლით და შიშველი ხელით შევეცდებით შხამიანი ასპიდის დაჭერას!

**როლანდ ჯალაღანია,**
**“აია”-ს და “ფაზისი”-ს აკადემიების წევრი**

## ვისაც ძალიან ენატრება:

**პატიმრებით გადაჭედილი ციხეები, უდანაშაულო ახალგაზრდების ჩაცხრილვა ქუჩებში, ცოცხები უხერხულ ადგილში, დაწიოკებული ბიზნესი, საპროცესო გარიგებებით გაღატაკებული მოსახლეობა, პოლიტიზირებული პოლიცია, უკანონო ფარული მოსმენები, ხელმიუწვდომელი ჯანდაცვა, ძვირფასიანი სწავლება და ასევე ძვირფასიანი სასკოლო სახელმძღვანელოები, სახელისუფლებო კორუფცია და და განუკითხაობა, არჩევნების გაყალბება, კახპების აღზევება, სიცრუე, ორპირობა, ფლიდობა, ახალგაზრდა თაობის გარყვნა, ქართული სულიერების ჩაკვლა, რელიგიის დაკნინების მუდმივი მცდელობა, სახელმწიფო ბიუჯეტის დანაშაულებრივად ხარჯვა, ქართული მიწების უცხოელებზე მიყიდვა, დანაშაულებრივად ჩატარებული პრივატიზაცია, საქართველოს ტერიტორიების გასხვისება, პატრიოტების დევნა, მოღალატე არამზადათა აღზევება, ფიზიკურად და სულიერად მახინჯებისა და ყოველი სახის სიმახინჯის წახალისება, პოლიტიკური თვალთმაქცობა, ნეპოტიზმი, ომი და დავიდარაბა, გულისამრევი ტრაბახი და ყოყლოჩინობა, ცინიზმი, განადგურებული მეცნიერება და ეკონომიკა, დამსახურებული პიროვნებების “ჩარეცხვა”, ქართველებისაგან საქართველოს დაცლა და უცხოტომელთა შემოთესლება, ტელეარხების დარბევა, პოლიტიკური ოპონენტების ღია ტერორი, სააკაშვილის სულელური ჯლოყინი და ნაცების თავხედობა,**

## ხმა მიეცით ნაცხროვას!

# “გადატრიალებას აფხაზეთში იგივე მეთოჯინეები ჰყავს, რაც კიევში”

*(გინდათ აფხაზეთის მოვლენებზე სიმართლე იცოდეთ? წაიკითხეთ ეს ინტერვიუ!)*



*მორიგი მაიდანი (ან “ბოლოტნაია”, ვისაც როგორ მოსწონს) მოხდა რუსეთის საზღვრისპირა ზონაში. ამჯერად – საკმაოდ მშვიდობიან საკურორტო აფხაზეთში. მაცხოვრებლებმა სოხუმში სახალხო შეკრებაზე მოიყარეს თავი, რათა უკმაყოფილება გამოეხატათ “კორუფციის მაღალი დონით”, “ოპოზიციის მოსმენის სურვილის არქონით”, “სახელმწიფოს პრობლემებით, რომლებიც არ გვარდება”. გარდა ამისა, მათი აზრით, ვინც მიტინგზე გამოვიდა, ქვეყნის პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი მეტისმეტად სუსტად ატარებს რუსეთთან ინტეგრაციის კურსს. მრავალათასიანი მიტინგის შედეგად, აგზნებული ბრბო ლიდერთა მოწოდებებს გამოეხმაურა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობა დაიკავა. ქვეყნის მეთაურმა შენობა დატოვა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შესახებ განაცხადა. რეგიონის სპეციფიკის და პრორუსული ლოზუნგების მიუხედავად, ამ აქციის უკან შესაძლოა თურქეთისა და აშშ-ის სპეცსამსახურები იდგნენ, რომლებიც რუსეთის საზღვრებზე ქაოსის კონცეფციის განვითარებას განაგრძობენ.*

*თურქეთისა და აშშ-ის როლის შესახებ, მაიდნის სამხრეთ ოსეთშიც გამეორებაზე და იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა კონფლიქტის უსისხლოდ მოგვარება,* **Накануне**.*რუ-ს ესაუბრა პოლიტოლოგი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი* **ალექსანდრე ჭაჭია.**

**შეკითხვა: სოხუმში სახალხო შეკრება პრეზიდენტის ადმინისტრაციის აღებაში გადაიზარდა. რა ხდება – მორიგი კიევის ტიპის მაიდანი თუ ეს თავისი მიზეზებითა და შედეგებით სხვა რიგის მოვლენებია?**

**ალექსანდრე ჭაჭია**: ჩემი აზრით, ძალიან სერიოზული მსგავსებაა, ძალიან ბევრია საერთო, და ზოგიერთი ისეთი წყალქვეშა დინება, რომლებიც აფხაზეთში არსებობს, რომელთა შესახებ მეტ-ნაკლებად ინფორმირებული ვარ, მოწმობს, რომ ყველაფერი საერთო დინების კალაპოტში კეთდება. ყურადღება მიაქციეთ, ძირითადი მოთხოვნები, რომლებსაც იქ პროტესტანტები აყენებენ, კორუფციას, რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის გაღრმავებას და გალის რაიონის მცხოვრებთა, მათი აზრით, უკანონო პასპორტიზაციის შეწყვეტას ეხება.

რაც შეეხება კორუფციას, ძნელი განსასჯელია. კორუფციის ფაქტები, უდავოდ, არსებობს, როგორც ყველგან პოსტსაბჭოთა სივრცეში. სამწუხაროდ, ის წყობა, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველგან ცდილობს დამკვიდრებას, ჩვენს პირობებში სწორედ კორუფციის გაძლიერებას გულისხმობს. ამიტომ ამაში ახალი არაფერია.

ხოლო რაც შეეხება რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის გაღრმავებას, ჩემი აზრით, ანქვაბი ამისათვის მაქსიმალურად ყველაფერს აკეთებდა. ვერ ვიტყვი, რომ ვინმე მის ადგილზე მეტის გაკეთებას შეძლებდა.

რაც შეეხება გალის რაიონის მცხოვრებთა პასპორტიზაციას, დამეთანხმეთ, რომ საკუთარი მოსახლეობისთვის პასპორტების გაცემაზე უარის თქმა – ეს რაღაც კვაზიბალტიისპირეთული ვარიანტია, ანდა კვაზისამხრეთაფრიკული, აპარტეიდის პერიოდში. როგორ შეიძლება ამისი აღქმა და როგორ შეუძლია სახელმწიფოს ოფიციალურ ხელმძღვანელს განაცხადოს, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაურიგებს პასპორტებს თავისი ქვეყნის მცხოვრებთ, თანაც, მკვიდრ მოსახლეობას?

**შეკითხვა: ანუ ეს ლოზუნგები საკმაოდ დეკლარაციულია და კონფლიქტის ჭეშმარიტ მიზეზებზე არაფერს ამბობს?**

**ალექსანდრე ჭაჭია**: ჩემი აზრით, ეს ლოზუნგები ხელოვნურია, ხოლო ლოზუნგი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის განმტკიცების შესახებ ჭეშმარიტი მიზეზების დასაფარავად განკუთვნილს ჰგავს. ვფიქრობ, რუსეთის ნამდვილი მეგობრები, რომლებსაც მასთან დაახლოება, მეგობრული და ძმური ურთიერთობა სურთ, როგორც ამას აცხადებენ, ახლა, მოცემულ ისტორიულ მომენტში, არ წამოიწყებდნენ ასეთ არეულობას რუსეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, და ტერიტორიაზე, რომელიც რუსეთის განსაკუთრებული მფარველობით სარგებლობს. უკრაინის სიტუაციის გათვალისწინებით, ვფიქრობ, ნებისმიერი საღად მოაზროვნე პოლიტიკოსი, პოლიტიკოსი, რომელიც, უბრალოდ, სიმპათიით არის განწყობილი რუსეთის მიმართ, თავს შეიკავებდა მკვეთრი მოძრაობებისგან, იმიტომ რომ რუსეთს ახლა ამისთვის არ სცხელა. გაცილებით უფრო სერიოზული გამოწვევები არსებობს, რომლებსაც რუსეთი უნდა გაუმკლავდეს. **რუსეთის მტერს შეეძლო მსგავსი გამოსვლების ინსპირირება სხვა ტერიტორიებზე, უკრაინის გარდა, რათა რუსეთისთვის კიდევ ერთხელ ეჩხვლიტა და სხვაგვარი ხასიათის მოქმედებებზე მისი პროვოცირება მოეხდინა.**

**შეკითხვა: ყბადაღებული “სახელმწიფო დეპარტამენტის ხელი?”**

**ალექსანდრე ჭაჭია**: ვფიქრობ, რომ ჩვენი ამერიკელი კოლეგები თავიანთი თურქი მეგობრებისა და პარტნიორების მეშვეობით, გარკვეულ აფხაზურ წრეებზე მათი გავლენის გამოყენებით, აფხაზეთში ვითარების დესტაბილიზაციას ცდილობენ, რათა რუსეთს კიდევ ერთი თავის ტკივილი **“აჩუქონ”**. ჩემი წარმოდგენით, მიმდინარე მოვლენების რეალური მექანიზმები ასეთია – ისინი საკმარისად მარტივი და გასაგებია.

**შეკითხვა: თუ გადატრიალება გარედან არის ინსპირირებული, უნდა მოველოდეთ თუ არა ამგვარი მოვლენების სამხრეთ ოსეთში გამეორებასაც?**

**ალექსანდრე ჭაჭია**: სამხრეთ ოსეთშიც მწიფდება სხვადასხვა მოვლენები, რომლებიც პარლამენტის არჩევნებს უკავშირდება. ალბათ, ეს არჩევნები ექსცესების გარეშე არ ჩაივლის. მაგრამ იქ სიტუაცია ცოტა სხვაგვარია. **სამხრეთ ოსეთს არა აქვს ისეთი კავშირი გარე სამყაროსთან, როგორც აფხაზეთს. სამხრეთ ოსეთში არ არის უცხო სახელმწიფოების ისეთი გავლენა (რუსეთის გარდა), როგორიცაა აფხაზეთში. მხედველობაში მაქვს საკმაოდ მჭიდრო კავშირი გარკვეულ – პოლიტიკურ, ფინანსურ აფხაზურ ჯგუფებს და თურქეთს შორის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ თურქეთში დიდი აფხაზური და, საერთოდ, ჩრდილოკავკასიური დიასპორა ცხოვრობს. აფხაზეთი ყოველთვის ტკბილი ლუკმა და ნანატრი ტერიტორია იყო თურქეთის იმპერიული სიდიადის აღდგენის მომხრეებისთვის. აფხაზეთის მეშვეობით, აქ თავისი გავლენის დამყარებით, თურქეთი პირდაპირ კონტაქტზე გადის ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთან,** ხოლო ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებს აფხაზეთისა და ზღვაზე გასასვლელის დახმარებით შესაძლებლობა აქვთ, უშუალო კონტაქტი იქონიონ ერთმორწმუნე თურქეთთან.

მრავალი წლის განმავლობაში თურქეთის ერთ-ერთი უმსხვილესი გეოპოლიტიკური გეგმა ტყუილად როდი იყო ერთიანი სახელმწიფო წარმონაქმნის შექმნა ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე, აფხაზეთის ჩათვლით, იმისათვის, რომ ამ წარმონაქმნს ზღვაზე გასასვლელი ჰქონოდა, და რუსეთის ფედერაციის შემადგენლობიდან შემდგომი გამოყოფით. ეს გეგმა ცნობილია, ეგრეთ წოდებული **“თურქეთის გენშტაბის გეგმა”**, რომლის განხორციელებისთვის კავკასიაში ძალიან ბევრი მოვლენა ხდებოდა. ერთი შეხედვით, ეს მოვლენები გაუგებარი იყო, მაგრამ თუ ამ გეგმას იცნობ, გასაგები ხდება ბევრი რამ, რაც კავკასიის რეგიონში ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროიდან ხდებოდა. მიმაჩნია, რომ ეს რუსეთის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციაა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რუსეთის მეგობრები, ადამიანები, რომლებსაც რუსეთთან ურთიერთობის გაღრმავება სურთ, უნდათ, რომ კავშირი მტკიცე იყოს, არ წავლენ ისეთ ქმედებებზე, რომლებიც, ფაქტობრივად, რუსეთისთვის ზურგში დანის ჩარტყმას უდრის.

**შეკითხვა: შარშან ვლადისლავ სურკოვი აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწის პოსტზე დაინიშნა. ზოგიერთ წყაროში აღნიშნული იყო, რომ ის უკრაინაზეც აგებს პასუხს. შეგვიძლია თუ არა დავასკვნათ, რომ მისი მუშაობა ბევრ რამეში ჩავარდა და შედეგი არ მოიტანა?**

**ალექსანდრე ჭაჭია**: ჩემთვის რთულია განსჯა, რა სამუშაოს ატარებდნენ რეგიონში სურკოვი და მისი გუნდი. ვიცი, რომ ის ხვდებოდა, ურთიერთობდა ოპოზიციასთან. ამ შეხვედრების შინაარსი ჩემთვის, ბუნებრივია, უცნობია, მაგრამ აფხაზურ ოპოზიციასთან მუშაობამ, ვისაც უნდა ჩაეტარებინა ის – სურკოვს თუ ვინმე სხვას, შედეგი არ მოიტანა, თუ გუშინდელი მოვლენებიდან გამოვალთ. შესაძლოა, ამისთვის ჩავარდნის დარქმევა არ შეგვიძლია, რადგან მთელი ინფორმაცია **არ ვიცით – როგორ ტარდებოდა მუშაობა, ვისთან, მაგრამ ის, რაც მოხდა – უდავოდ, რეგიონში თურქული და ამერიკული სპეცსამსახურების გამარჯვება გახლავთ.**

**შეკითხვა: ასეთ სიტუაციაში როგორ უნდა მოიქცნენ აფხაზეთის ხელისუფლება და რუსეთი?**

**ალექსანდრე ჭაჭია**: დარწმუნებული ვარ, რომ ეს გამარჯვება დროებითია. დარწმუნებული ვარ, რომ აფხაზი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ანკესზე არ წამოეგება, თუკი მათ აუხსნიან, რა ხდება, ვინ დგას ამის უკან და რა შეიძლება ამან გამოიწვიოს. ასეთი გასაგები განმარტება დღეს არავისგან მომისმენია. **თუ მოსახლეობას, ფართო საზოგადოებრიობას აუხსნიან, რა ძალები დგას სახელმწიფო გადატრიალების ამ მცდელობის უკან, რას ნიშნავს ეს დღევანდელი მსოფლიო მოვლენების კონტექსტში, რა შედეგების მოტანა შეუძლია ამას არა მარტო აფხაზეთის, არამედ რუსეთისთვის, სიტუაციისთვის მთელ რეგიონში, თუ მათ აუხსნიან, როგორ შეიცვლება რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულება აფხაზეთის, აფხაზი საზოგადოების მიმართ, აფხაზეთის საზოგადოება თავის ქვეყანაში ასეთ მასშტაბურ დესტაბილიზაციას არ დაუშვებს.** ეს მნიშვნელოვანია ისეთ მძიმე ვითარებაში, როგორიც უდგას ახლა რუსეთს, უკრაინას, რუსეთ-უკრაინის ურთიერთობას და რუსეთის ურთიერთობას დასავლეთთან. აი, თუ ამ ყველაფერს ნორმალურად, მკაფიოდ და გასაგებად აუხსნიან, მაშინ, ისტორიული პარალელების დახმარებით, რომელთა გავლება აფხაზებს შეუძლიათ, ვფიქრობ, საზოგადოება გაიგებს, და ოპოზიციონერებს მასობრივი მხარდაჭერა არ ექნებათ.

**შეკითხვა: მიუხედავად ამისა, გუშინ ოპოზიციას მხარი დაუჭირეს, ესე იგი, “სახალხო მრისხანებისთვის” წინაპირობები არსებობს?**

**ალექსანდრე ჭაჭია**: რა თქმა უნდა, აფხაზეთის დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკით ამგვარი უკმაყოფილების გამოხატვის ობიექტური წინაპირობები არსებობს, ისინი ყველგან არის. **სხვა საქმეა, რომ ძალიან ბევრი უკრაინელი, რომლებიც მაიდანზე მივიდნენ, იმ საშინელ კორუფციასთან საბრძოლველად გამოვიდნენ, რომელიც უკრაინაში იყო და არის გამეფებული. მაგრამ საბოლოოდ რა მიიღეს – კიდევ უფრო უარესი კორუფციონერები. ეროვნული ლოზუნგებით გამოდიოდნენ – ხელისუფლებაში ყველა ეთნიკური არაუკრაინელი მიიღეს უზარმაზარი კაპიტალებით, რომლებიც ამერიკულ ბანკებში ინახება, და უკრაინის ეკონომიკის ბოლომდე დასამარების მზადყოფნით. აი, ეს უნდა აუხსნან ადამიანებს, ვინ არის მეთოჯინე ამ სიტუაციაში, და ამას ფართო მხარდაჭერა არ ექნება. ანქვაბის მოღვაწეობას ძალიან ბევრი უარყოფითი მხარე აქვს, პირველ რიგში, საკადრო პოლიტიკა, მაგრამ ეს რეგიონის სპეციფიკაა.** ესეც გასათვალისწინებელია. დარწმუნებული ვარ, ვინც უნდა მოვიდეს ანქვაბის ადგილზე, საკადრო პოლიტიკა აფხაზების ორ მესამედს მაინც არაფრით მოაწყობს.

**შეკითხვა: შეგვიძლია იმედი გვქონდეს, რომ მოვლენები აქ მშვიდობიანად, სისხლისა და მსხვერპლის გარეშე ჩაივლის?**

**ალექსანდრე ჭაჭია**: ამისი დიდი იმედი მაქვს, იმიტომ რომ სისხლისღვრა არ შეიძლება ამწუთიერი იყოს, ეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუდმივად მოქმედი პროცესი იქნება. ანქვაბს ეს მშვენივრად ესმის, ამიტომაც მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციის შენობის დატოვების შესახებ – სწორედ იმისთვის, რომ მისი პირადი დაცვის დემონსტრანტებთან შეჯახება არ მომხდარიყო და მსხვერპლი არ ყოფილიყო. ეს სიტუაციის განვითარების ყველაზე არასასურველი სცენარია – თუკი რამდენიმე ადამიანის სისხლი დაიღვრება. ვფიქრობ, მხარეს, რომელიც სიტუაციის, მისი გამწვავების პროვოცირებას ახდენს, ამისი იმედი აქვს, და ხელისუფლება ამაზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა წამოეგოს. იმ მომენტიდან შესაძლოა შეუქცევადი პროცესები დაიწყოს.

შეკითხვებს სვამდა
**სერგეი ტაბარინცევ-რომანოვი**
**საქინფორმი**
2014 წლის 28 მაისი

# მეგრული ენის დღის აღნიშვნისადმი



## 29 მაისს მეგრული ენის დღე აღინიშნა დადიანების ქალაქში

კარგახანია ზუგდიდში არ ვყოფილვარ. ბავშვობა და სიჭაბუკე აქ მოვილიე, მაგრამ ბედმა ენგურს გაღმა გადამიყვანა და მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების ნახევარზე მეტი აფხაზეთში, კერძოდ, სოხუმში გავატარე. ახლა ისევ აქ ვარ, დადიანების ქალაქში. 28 მაისია. ხვალ კინოთეატრ **„ატრიუმის“** დარბაზში მეგრული ენის დღე აღინიშნება და ამ ღონისძიებაზე დასასწრებად ვარ მოწვეული.

„ატრიუმი!“ რა საჭირო იყო ამ უცხო სიტყვის მოხმობა? უწინ ამ კინოთეატრს **„საქართველო“** ერქვა. ყმაწვილკაცობაში ბევრჯერ ვმდგარვარ მისი სალაროების რიგებში. ის დრო წავიდა. ახლა აქ კინოს არ უჩვენებენ, შიგ სათამაშო აპარატურაა განთავსებული. **“ატრიუმი”** ბერძნული სიტყვა და საცხოვრებელი სახლის შიდა, შემოსაზღვრულ ეზოს ნიშნავს. ბევრი ვიფიქრე, მაგრამ მაინც ვერ გავიგე თუ რატომ დაარქვეს ამ შენობას ატრიუმი; ვერ გავიგე, მაგრამ არ გამკვირვებია, განა ცოტა რამ ხდება ჩვენს დროში ბუნდოვანი და გაუგებარი?!. ერთადერთი რასაც აქ სახელს ვერ შეუცვლიან, დადიანების სასახლეა. მიკვირს რატომ ააშენეს ეს სასახლე სამთავროს განაპირას, აფხაზეთის საზღვართან სულ რაღაც სამიოდე კილომეტრის მანძილზე. ალბათ ძნელი მისახვედრი არაა... ლევან მეორე დადიანის დროს სამთავროს საზღვარი, ენგურთან კი არა, კელესურთან გადიოდა და მაშინდელი **„წიფურია“** (ადრე ასე ერქვა) საზღვრისპირა დასახლება როდი იყო. წიფურიას მოგვიანებით გრიგოლ დადიანის პატივსაცემად გრიგოლიოპოლისი ეწოდა, მაგრამ შემდგომი თაობის დადიანებმა ისევ შეუცვალეს ქალაქს სახელი და ამჯერად ზუგდიდი დაარქვეს, რაც მეგრულად ზურგა დიდს (დიდ ბორცვს) ნიშნავს. ჩემს ახალგაზრდობაში ზუგდიდი გახსნილი ქალაქი იყო, მის გულში გადიოდა ცენტრალური გზა, როგორც ჩრდილოეთის, ასევე სამხრეთის მიმართულებით და ქალაქიც თავისუფლად სუნთქავდა. ნელ-ნელა შაგრენის ტყავივით დამცრობილი სამთავროს მთავარი ქალაქის იქით, ენგურს გაღმა, ძველი ეგრისის სამართალმემკვიდრის – აფხაზეთის ტერიტორიაზე ახალი სახელმწიფო აღმოცენდა და ზუგდიდი დარჩა ენგურის მარცხენა ნაპირზე გასილული, როგორც ძველი, მიტოვებული ბორანი.

დავხეტიალობ ზუგდიდის ქუჩებში და ის შავბნელი დღეები მახსენდება, როცა **„მხედრიონელთა“** მიერ აოხრებულ-გადამწვარ ქალაქში გავლა სახიფათო იყო. აქ ადამიანებს ეთნიკური ნიშნის მიხედვით კლავდნენ. მართალია, ზოგიერთ თბილისელს არ სურს ამის აღიარება, მაგრამ თვალებში ნაცარს ვერ ჩავიყრით. ნამდვილად იყო ის, რაც იყო. **„მხედრიონი“** ყველგან სასტიკად იქცეოდაო, იტყვის მავანი, მაგრამ ზუგდიდის ქუჩებს სხვა რამე ახსოვს: აქ კლავდნენ და მღეროდნენ **„ყველა ჩემი სამშობლოა სამეგრელოს გარდა”**-ო. ახსოვს ისიც, რომ სოფელ დარჩელში უიარაღო და უდანაშაულო ადამიანთა 24 სახლი დაწვეს, საქონელი დაუხოცეს და ჭები წაუბილწეს. ამ არაკაცების მეთაური კი ღირსების ორდენით დააჯილდოვეს...

ვგრძნობ, მოგონებებმა შორს წამიყვანა და მთავარ სათქმელს დამაშორა, მაგრამ რას ვიზამთ, ქალაქი ზოგჯერ უსიტყვოდ ყვება თავის უბედურებას. აქ დღემდე არ დავიწყებიათ **„მეგრელთა საქმის“** ვერაგული გეგმაც, რომელიც მთელი ეთნოსის გასახლებას ითვალისწინებდა. დავდიოდი ზუგდიდის ქუჩებში და ვფიქრობდი, ყოველივე ეს ავადსახსენებელი წარსული გავლენას ხომ არ იქონიებს ხვალინდელ ღონისძიებაზე-მეთქი, მითუმეტეს მაშინ, როცა აფხაზეთი დაკარგულია და რეგიონს ლტოლვილებთან ერთად ეკონომიურად საშინლად უჭირს.

საღამოს, ნათესავის სახლში პატარა სუფრას ვუსხედვართ. შემოვიდნენ მეზობლები. გავიხსენეთ გასული საუკუნის 90-იანი წლების ტრაგედია. გავიხსენეთ გაზეთი **„აღდგომაც“**, რომლის მთავარი რედაქტორი და ერთ-ერთი დამფუძნებელიც მე გახლდით.

მეორე დღეს, 29 მაისს კინოთეატრ **„ატრიუმის“** დარბაზში ტევა არ იყო...

## ქვაფენილზე ამოსული იონჯა

სანამ **„ატრიუმამდე“** მივიდოდი ქვაფენილზე ამოსული იონჯა შევნიშნე. ზედ მანქანებიც გადადიოდნენ და ფეხით მოსიარულენიც. გამიკვირდა, როგორ და რანაირად იხარა ამ ბალახმა, როცა მიწა ქვებით დაუფარეს, ზედ კი მანქანები და ფეხით მოსიარულენი ტკეპნიდნენ წამდაუწუმ. რა ძალა ჰქონია, ერთი შეხედვით უსუსურ ბალახს და როგორ ძალუმად ჩაბღაუჭებია სიცოცხლეს-მეთქი. ეს უცნაური განცდა შემყვა დარბაზში, თითქოს რაღაც საერთო ჰქონოდა ამ პაწაწინა მცენარეს გაქრობის პირას მისულ მეგრულ ენასთან...

მეგრული ენის დღე შესავალი სიტყვით გახსნა სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”** წევრმა და ენათმეცნიერმა მამანტი ძაძამიამ. სხვათაშორის ამ დღეს – 29 მაისს იყო მისი დაბადების დღეც, რაც დამსწრე საზოგადოებამ გულთბილად მიულოცა ღვაწლმოსილ მეცნიერს.

ღონისძიებაზე სიტყვებით გამოვიდნენ: ეპისკოპოსი ბენედიქტე, მწერლები გური ოტობაია, ბორის დავითაია, ზაალ ჯალაღონია, ცნობილი მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე ედემ იზორია, მალხაზ გრიგოლია, სამეგრელო-ზემო სვანეთის მწერალთა გაერთიანების ხელმძღვანელი შუკო ჯიქია, მწერალი ლაშა გვასალია, გოგი შონია, გიორგი ხულორდავა, ზურაბ ახალაია, თენგიზ ფეტელავა, ნუგზარ შამუგია, მამუკა ხუბუა, პეტრე ნაჭყებია, დოდო მირცხულავა და სხვები.

გამომსვლელთა შორის შუალედურ დროში ეკრანზე ნაჩვენები იყო ფირზე ჩაწერილი სიმღერა **„ჰარირა“** ნიკო ხურციას შესრულებით. ასევე გაჟღერდა ლაზი მომღერლის ქიაზიმ ქოიუნჯის **„დიდოუ ნანა“** და ლაზური სიმღერა **„შანა“**. დამსწრე საზოგადოებამ მოისმინა აწ გარდაცვლილი პოეტის ლაშა გახარიას მეგრული ლექსები. ღონისძიებაზე მოწვეული იყო და რამდენიმე ხალხური სიმღერა შეასრულა მეჩონგურე ქალთა ანსამბლმა, ჯული ჩიტაიას ხელმძღვანელობით.

გამომსვლელთა მთავარი სათქმელი იმაში გამოიხატა, რომ მეგრული ენა გაქრობის პირას არის მისული და საქართველოს მთავრობამ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები ამ უძველესი კოლხური ენის გადასარჩენად. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეგრეთწოდებული **„მეგრული სეპარატიზმი“** ბუნებაში არ არსებობს და სამეგრელო არასდროს წასულა ერთიანი საქართველოს სახელმწიფოებრივი იდეის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მას ამის შესაძლებლობები ბევრჯერ ჰქონდა. **„მეგრული სეპარატიზმი“** იმ ადამიანების მიერ არის მოგონილი, ვინც ასე თუ ისე იცნობს კოლხურ-იბერიული მოდგმის ხალხთა ისტორიას და შიშობს სამეგრელოს არ აღუძრას სურვილი ჰეგემონობისა, რაც რბილად რომ ვთქვათ, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ქუჯი-ფარნავაზის იდეა დღემდე ცოცხალია, ქუჯის სიტყვები ფარნავაზის მიმართ ნათქვამი, შენ იმეფე ჩვენზედაო, მეგრელებს ასე ესმით: იყოს ქართული ენა ერთიანი საქართველოს სახელმწიფო ენა, ოღონდ მე ნუ მომკლავო!

მეგრული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება კარგად იყო ორგანიზებული, რომელშიც დიდი წვლილი მიუძღვის სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”** ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელს ბატონ ზურაბ კვარაცხელიას და სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”** მთავარი საბჭოს წევრს ბატონ ზაურ გახარიას.

შარშან, გაქრობის პირას მისული მეგრული ენის შენარჩუნების მიზნით საქართველოს პარლამენტს, მის თავმჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს გადაეცა კოლექტიური წერილი, სადაც საზოგადოება ითხოვდა, საკანონმდებლო ორგანოს შეემუშავებინა და დაეკანონებინა მეგრული ენის დაცვის მექანიზმი, შემოეღო მისი სწავლება გარკვეული დოზით ქართულ სკოლებსა და უმაღლესი სასწავლებლის ფილოლოგიურ ფაკულტეტში, მაგრამ წერილის გაგზავნის დღიდან ერთი წელი უკვე გავიდა და არავითარი პასუხი ჯერაც არ ჩანს.

იმედია საქართველოს მთავრობა და პარლამენტი უფრო გულისხმიერად მოეკიდება ამ საკითხს.

29 მაისი უკვე დამკვიდრდა მეგრული ენის აღნიშვნის დღედ. გვჯერა, მომავალ წელს 29 მაისს ამ ღონისძიებისადმი მიძღვნილ შეკრებაზე უფრო მეტი სტუმარი ეყოლება ზუგდიდს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

**გიორგი სიჭინავა**

# მეგრული ენის დღის აღნიშვნისადმი

**მურთაზ ჯანჯღავა**

## ოცამდე ხალხის ენაში ფიქსირდება ღვთაება ნანა...



გულმხურვალედ მოგესალმებით მეგრული ენის დღის საზეიმოდ აღნიშვნისადმი მიძღვნილი ღონისძიების ყველა მონაწილეს და გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს როგორც პირად ცხოვრებაში, ისე ჩვენი ქვეყნის ღირსეული დემოკრატიული მომავლის აღმშენებლობის საქმეში. ამ დღის დაწესება დიდი წინგადადგმული ნაბიჯია უმწერლო მეგრული ენის გადასარჩენად და განსავითარებლად. ავისმოსურნეთათვის ეს ტრადიციად ქცეული დღესასწაული ეთნოსურ ეგოიზმად და სეპარატიზმადაც კი შეიძლება იქმნას აღქმული, მაგრამ ეს ჩვენი კუთხის შვილებს ვერ შეაბრკოლებს, რადგან ბრძოლა უდამწერლო ენების გადასარჩენად და განსავითარებლად თვით საერთაშორისო კანონებით და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების ნებასურვილით არის განპირობებული.

გავაკეთებთ მცირე ექსკურსს კოლხთა ისტორიიდან. ჯერ კიდევ ძვ.წ.აღ. 3185 წელს შუმერულ თიხის დაფებში მეფე ან-მარეს მიერ კოლხეთი მოხსენებულია დედამიწის ცენტრად, კერძოდ, მდინარე ძაბთან მდებარე ქალაქი კოლხა. კოლხების გავრცელების ადგილის ზუსტი ლოკალიზაცია უძველეს დროში არ ვიცით. დღემდე არ გათხრილა კოლხთა უძველესი დედაქალაქი ილდამუშა, რომელიც თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს, რითაც ბევრ ისტორიულ ფაქტს მოეფინებოდა ნათელი. ძველი ბერძენი ავტორების მიერ კოლხები დემიურ ანუ შემოქმედ ხალხად არის ცნობილი. კოლხ მედეას სახელიდან იშვა მცნება "მედიცინა". კოლხური მედიცინით იწყება მსოფლიო მედიცინის ენციკლოპედია, რომელიც 1791 წელს გამოსცა გერმანელმა სწავლულმა კურტ იოჰაიმ შპრენგლერმა. კოლხებს მიეწერება კარტოგრაფიის შემოღება. კოლხებმა მოახდინეს რევოლუციური გადატრიალება მეტალურგიის საფუძვლის ჩაყრაში ძვ.წ.აღ. XI ს. ფარნაკიაში, რომელიც ტრაპიზუნტთან ახლოს მდებარეობს. ყოველივე ეს აღნიშნული აქვს გერმანელ მეცნიერს კარლ რიტტერს. კოლხები თავიანთი მეტალურგიული ნაწარმით გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდნენ მეზობელ ხალხებთან. საყოველთაოდ ცნობილია კოლხური წარმოების ცული, ნაჯახი, თოხი, ნამგალი და სხვა.

კოლხებს მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა მედიტერანულ სამყაროსთან, როგორც ეკონომიკური ის კულტურული და სოციალური მიმართულებებით. ამას ეჭვმიუტანლად ადასტურებემ კოლხური ენის მ მედიტერანული სამყაროს ხალხების ენებში არსებული ლექსიკური ერთეულები, რაც კულტურული ურთიერთობის ნიადაგზე ხდებოდა. ენაში სიტყვათა ურთიერთ შეღწევით. მეგრულ ენაში უხვად გვაქვს უძველესი ხანის თეომისტიკური კულტურის და თეოფორიული თეონიმების ამსახველი ტერმინები, ზოგ შემთხვევაში სიტყვის სემანტიკის შენარჩუნებით, ზოგჯერ კი სემანტიკურ ველში მოქცევით თუ სემანტიკის გადაწევით.

ენათმეცნიერთა დასკვნით ენა ათასწლეულში 19-20% იცვლება. ამ დებულებიდან გამომდინარე, კოლხურ ენას მეგრული ენის სახით უდიდესი ცვლილებები აქვს განცდილი. ძვ.წ.აღ. VIII საუკუნიდან შავიზღვისპირეთში არსდება ბერძნული კოლონიები. ამავე საუკუნის შუა ხანებში კუნძულ ეგინაზე ბერძენმა მოჭრა პირველი ფული. ძვ.წ.აღ. VI-IV საუკუნეებში კოლხები ჭრიდნენ კოლხურ თეთრს, რომელიც ნუმიზმატური ორიგინალობით გამოირჩევა. ტროას ომამდე და შემდეგაც კოლხების გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონდათ ელინებთან. ელინებს კარგად ესმოდათ კოლხური ენა, რისი მაგალითიც არის მედეას სიტყვით გამოსვლა მეფე პელასის სასახლეში, რომელსაც ყურს უგდებდა იქ შეკრებილი უამრავი ხალხი. მედეა კოლხურ ენაზე წარმოთქვამდა სიტყვას. აიეტის და მისი ოჯახის რეალური არსებობა გამოვლინდა ძველ ბერძნულ წარწერებში.

უამრავ ღმერთთა სახელები, რომლებიც მეგრულ ენაში გვაქვს, დიდად საინტერესოა. ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს – ტროელთა ქარიშხლისა და ზღვის ტალღების ღვთაება იყო ილუ. ეოლიელების ტომის სახელწოდება მომდინარეობს ბერძნული მითოლოგიით, ქარიშხლის მბრძანებელი ღვთაება ეოლისაგან. მეგრულად ზღვის ღელვაზე იტყვიან ზღვა ელენც. ქარიშხლის ამოვარდნამდე იტყვიან მერენქ ეიოლ (გეიოლ).

ენათმეცნიერები კოლხური ენის მემკვიდრე მეგრულ ენაში არსებულ მედიტერანულ ხალხთა ენების ლექსიკურ ერთეულებზე ამბობენ, რომ ეს შემთხვევითი თანხვედრებია, დამთხვევაა. ამ აზრს ჩვენ ვერ გავიზიარებთ. მაშ რითი ავხსნათ მეგრული ზღაპრის (მითის) გმირის არამხუტუს ეგვიპტურში **„ჰე რუ – ემხუტუს"** არსებობა? შემთხვევითობაა? მაგალითების მოყვანა უხვად შეგვიძლია. ზოგიერთ მეცნიერთა მხრიდან როცა მეგრულ ენაზეა ლაპარაკი, ისმის საკითხისადმი ფრთხილად მოპყრობის შესახებ. ამაში ჩვენ ვხედავთ ზოგიერთი მეცნიერის მხრიდან მეგრული ენისადმი არაკეთილმოსურნე დამოკიდებულებას. ზოგიერთი ხალხი თავისი ისტორიის გასამდიდრებლად არარსებულ ისტორიულ ფაქტებს იგონებს, თავის ბამბას აჩხრიალებს. ჩვენ კი ჩვენი კაკალი ვერ გაგვიჩხრიალებია.

ოცამდე ხალხის ენაში ფიქსირდება ღვთაება **ნანა**. ის მხოლოდ შუმერულსა და მეგრულში მამრობითი სქესის წარმომადგენელია **„ბჟა დიდა რე ჩქიმი, თუთა მუმა ჩქიმი..."**. მედეა მსოფლიო ლიტერატურაში ნომერ პირველ პერსონად არის მიჩნეული. ცნობილია, რომ აიეტის და პასიფეა მეფე მინოსის მეუღლე და არიადნას დედა იყო – ქალაქ კნოსოსიდან ფესტოსამდე არსებულ გზას პასიფეას გზა ეწოდება და ევროპის ნომერ პირველ გზად არის ჩათვლილი. საბერძნეთში არსებობს არიადნას ქუჩები. აიეტის და კირკე ლათინთა დედაა და ის მარიამ ღვთისმშობელთან არის გათანაბრებული. სათქმელი ბევრი გვაქვს, მაგრამ ამჟამად ამას დავჯერდეთ.

ახლა კი უშუალოდ კოლხური ენის მემკვიდრე მეგრული ენის შესახებაც ცოტა რამ. დასაბეჭდად მომზადებული მაქვს წიგნი მეგრული ენის შესახებ, რომელსაც ვფიქრობთ დიდი ინტერესით მიიღებს ქართული საზოგადოება. დიდი გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ სამეგრელოს კუთხის ის შვილები, რომლებიც ბიზნესში არიან ჩართულნი, სათანადო ყურადღებას არ იჩენენ საშური საქმეების დასაფინანსებლად, რაც ხსენებული კუთხის ხალხის კულტურის წარმოსაჩენად არის საჭირო. არ გამოჩნდა კაცი, რომელიც მეგრული სიმღერების კომპაქტდისკების გამოცემას დააფინანსებდა და რამდენი ასეთი.

სხვადასხვა გარემოებებთან ერთად ხალხის სიმღერების მელოდიურობას ენის ბუნებას განსაზღვრავს. ექიმებმა ჩაატარეს დაკვირვება დედის მუცელში მყოფ ექვსი თვის ჩანასახებზე, იმ აზრით, თუ როგორ რეაგირებას მოახდენდნენ ისინი სხვადასხვა მელოდიების მოსმენისას. ამ დროს მათ რეაგირებას ეწეოდა სპეციალური აპარატი. მეგრული ნანას მოსმენისას დაკვირვების ობიექტების გულისცემა, პულსი და სუნთქვა იყო იდეალური. მსოფლიოში ზოგი მონაცემით ხუთიათასი ენაა, ხოლო ზოგი მონაცემით შვიდიათასამდე. ყველა ენას თავისი განუმეორებელი თავისებურებები გააჩნია. ენას თავის პატრონი ხალხისაგან დიდი ყურადღებით მზრუნველი მოპყრობა ესაჭიროება, რათა ის არ გადაგვარდეს და საბოლოოდ არ გაქრეს. ენის გაქრობა პატრონი ხალხის თვითმკვლელობაა.

მეექვსე საუკუნეში მძიმე დრო ედგა ლაზიკას, რომელიც სპარსეთის მეცხრამეტე სატრაპია იყო. ლაზიკაში გაბატონებისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ სპარსეთი და ბიზანტია – მაშინაც გეოპოლიტიკური ციებ-ცხელება იყო ჩვენს რეგიონში. ხუთასორმოცდაცამეტ წელს ლაზიკას ომი მოუხდა შემოსეულ სპარსელებთან. ომის წინ ლაზიკის მეფემ გუბაზ II-მ ბრწყინვალე სიტყვით მიმართა თავის მოსახლეობას. უკეთეს პატრიოტულ სიტყვას ომის წინ იშვიათად თუ ვინმე წარმოთქვამს მოწოდების თვალსაზრისით.

ბერძენმა სარდლებმა მარტინიკემ და რუსტიკემ მუხანათურად მოკლეს გუბაზ II. ხუთასორმოცდათოთხმეტ წელს მდინარე ხობისწყლის პირას ჩატარდა დიდი სახალხო კრება ორიენტაციის საკითხებთან დაკავშირებით. სიტყვით გამოვიდნენ ფაზისის აკადემიის კურსდამთავრებულები აიეტი და ფარტაზი. ამ კრებაზე ბიზანტიის მომხრე ფარტაზმა და სპარსეთის მომხრე აიეტმა შესაბამისად ატიცისტური და აფორისტული აზროვნების უმაღლესი ორატორული ნიჭი გამოამჟღავნეს. მათი სიტყვები შესულია მსოფლიო მჭერმეტყველების ოქროს ფონდში. ისინი მხარს უსწორებენ დემოსთენეს და ციცერონს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ფარტაზმა თავის სიტყვაში თქვა, – ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეკუთვნოდესო. აიეტმა და ფარტაზმა სიტყვა წარმოთქვეს ლაზურ (მეგრულ) ენაზე. მათი გამოსვლა ჩაიწერა აგათია სქოლასტიკოსმა.

საქართველო არის ერთ-ერთი უნიკალური ქვეყანა, სადაც სამი ძირძველი მონათესავე აბორიგენი ხალხის ენა ცოცხლობს და ცხოვრობს. დღევანდელი მსოფლიო გლობალიზაციის პოლიტიკა საფრთხეს უქმნის დიდი ტრადიციების მქონე თექვსმეტსაუკუნოვან მწერლობის ქართულ ენას, რომელსაც სათანადო დაცვა და ყურადღება სჭირდება. მეგრული და სვანური ენა უმწერლობოა, რის გამოც მათი თანდათანობითი გაქრობა-გადაგვარება ბუნებრივი პროცესებით მოხდება, დროთა განმავლობაში.

ჩემს ბავშვობაში რომ მესმოდა კეთილისმყოფელი მაგიური მუხტებით დატვირთული მეგრული ფრთიანი ფრაზები, დღეს ამას სადღა გაიგონებს კაცი. უამრავი მეგრელები მყავს გამოკითხული სიტყვათა მნიშვნელობებთან დაკავშირებით, მაგრამ მიზერულად ცოტამ თუ იცის ზედსართავთა თუ ზმნათა ზუსტი აზრობრივი დატვირთვა. ძალზე ცოტას ესმის ფოტოსახოვან ზმნათა პოლისემიური მნიშვნელობები. კარგათ მოგეხსენებათ, რომ მეგრული ზმნები კონტექსტების მიხედვით დიამეტრალურად განსხვავებულ აზრებს იძლევა. ხალხს დავიწყებული აქვთ ახლო წარსულში ხმარებაში მყოფი სიტყვების დიდი ნაწილი. მეგრელთა უდიდესი ნაწილი სამწუხაროდ ძალზე დიდ გულგრილობას იჩენს ამ ენციკლოპედიური ცოდნის მატარებელი ენისადმი. ამ ენაში კი გვაქვს უძველეს ცივილიზაციათა ხალხების სამეტყველო ენებიდან მეგრულ ლექსიკაში შემონარჩუნებული უამრავი თეომისტიკური კულტურის და თეოფორიული თეონიმების ამსახველი სიტყვა-ტერმინები. ამ ენას უშორესი წარმართული ეპოქების დარგობრივ კოლხ ქურუმთა ძარღვიანი ხელი ძალუმად ატყვია.

კომუნისტური რეჟიმის დროს მეგრული ენა ტაბუირებული იყო. ამ ენის ხსენება უარყოფით ასოციაციებს იწვევდა არაჯანსაღად მოაზროვნე ხალხის ნაწილში. ენა კი ცივილიზაციათა განვითარების უზენაესი პროდუქტია. მეგრული ენა რომელიმე დიდი ქვეყნის ხალხის ენა რომ იყოს, ის მსოფლიოში ენათმეცნიერებას შორის დიდად გახმაურებული და სათანადო ყურადღების ობიექტი იქნებოდა. იმის გამო, რომ სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ამ ენას, მეოცე საუკუნის განმავლობაში ბევრი ფოლკლორული მასალა დაიკარგა, ბევრიც სხვამ მიითვისა. თავის დროზე ენათმეცნიერებს სათანადო ექსპედიციები რომ მოეწყოთ მეგრული ენის და მისი ფოლკლორის შესწავლის მიზნით, უამრავი თქმულებები, ზღაპრები, შელოცვები, ანდაზები, გამოცანები თუ სხვა სახის გამონათქვამები გადარჩებოდა.

მეგრული და სვანური ენებისადმი ჩვენი ჭირისუფლური დამოკიდებულება არავითარ შემთხვევაში არ შეიცავს სეპარატიზმს, როგორც ეს შეიძლება ეგონოს გარკვეულ ადამიანთა ჯგუფებს. ჭეშმარიტება ერთია და მისი უარყოფა არ შეიძლება მეგრული და სვანური ენების მოვლა-პატრონობა და განვითარება იმავდროულად დიდი ქართული საქმის კეთებაა.

*(გაგრძელება მე-7 გვერდზე)*

## სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაციის განცხადება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებამდე სულ რამოდენიმე დღეღა დარჩა და ზუგდიდელ ამომრჩეველთა ერთი ნაწილი გამოხატავს გაოცებას იმის გამო, რომ სახალხო მოძრაობა „სამეგრელო" აქტიურად არაა ამ პროცესში ჩართული. ამასთან დაკავშირებით უნდა განვაცხადოთ შემდეგი: ცხადია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისადმი ჩვენ გულგრილნი ვერ ვიქნებით... პირიქით, დაინტერესებული ვართ ეს სტრუქტურები დაკომპლექტდეს ღირსეული პიროვნებებით, ისეთებით, რომელთაც ექნებათ სურვილი და რეალური შესაძლებლობა, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, იღვაწონ მშობლიური ქალაქის, სოფლის აღორძინებისათვის, თითოეული ადამიანის კეთილდღეობისათვის...

სამწუხაროდ, საარჩევნო კანონმა სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" არ მისცა შესაძლებლობა ორგანიზაციულად, სტრუქტურულად ჩართულიყო ამ პროცესში. საინიციატივო ჯგუფებს კი ბოლო მომენტში დართეს ამის უფლება. რა თქმა უნდა, „ქოც-ნაცებმა" ამით მოახერხეს თავისთვის აეცილებინათ მოსალოდნელი პოსტსაარჩევო დისკომფორტი...

ასეა თუ ისე, საარჩევნო პროცესში ჩართულ კანდიდატებში მაინც მოიძებნება თითო-ოროლა ადამიანი, რომელთა ხილვას თვითმმართველობის ორგანოებში ვისურვებდით. მაგალითისთვის შეგვიძლია ჩამოვთვალოთ თუნდაც შემდეგი პიროვნებები: რევაზ (მურთაზ) ფიფია, ბააკა (**ბაჩანა**) თოდუა, თენგიზ ხარჩილავა, ელგუჯა თოდუა, მამუკა მაქაცარია, ნაპო გაბისონია, ბადრი ყორშია, ვახტანგ კუტალია, ელგუჯა ძიმცეიშვილი... მართალია ეს ადამიანები სხვადასხვა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან, მაგრამ სახალხო მოზრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია, თავისი ზეპარტიულობის პრინციპებიდან გამომომდინარე, უსურვებს მათ წარმატებებს!..

ზურაბ კვარაცხელია,
სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცის თავმჯდომარე

# ღორების მასობრივი დაცემა კვლავ განმეორდა

**"ღორის აფრიკული ჭირი ადამიანმა შეიძლება ფეხსაცმლითაც კი შემოიტანოს ქვეყანაში".**

ღორის აფრიკული ჭირის შემდეგ, რამდენიმე ქვეყანაში ამ პირუტყვის კიდევ ერთმა სასიკვდილო დაავადებამ იჩინა თავის. ეპიდემიური დიარეის ვირუსი (PEDV), რომელიც ექსკრემენტებით ვრცელდება, ჩრდილოეთ ამერიკაში ღორის მასობრივი დახოცვის მიზეზი გახდა.

გაჩნდა იმის სერიოზული ეჭვი, რომ დაინტერესებული პირები თუ სტრუქტურები სპეციალურად ავრცელებენ ინფექციას, რათა ადგილობრივი ხორცი გააძევონ ბაზრიდან და იგი ბრაზილიიდან შემოტანილი ღორის ხორცით ჩაანაცვლონ. ბუნებრივია, როცა ფერმერი დიდ ზარალს ხედავს, მომავალში იგი რისკზე აღარ მიდის და საერთოდ ანებებს თავს ღორების მოშენებას, რადგან ფერმების განვითარება ძირითადად ხდება საბანკო კრედიტებით, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის გაკოტრებული ფერმერის სხვა აქტივებს და ქონებას.

როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ახალი ვირუსი ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში არ არის, მაგრამ დიდი ეკონომიკური ზარალის მოტანა შეუძლია. ის, პირველ რიგში, ცხოველის საკვების მომნელებელ სისტემას აზიანებს და ასეთ შემთხვევაში, ღორების სიკვდილიანობა 80-100%-ს აღწევს.

ბოლო დროს, ღორები მასობრივად საქართველოშიც დაიხოცა. წლეულს იანვარში, ღორის კლასიკური ჭირის გავრცელების შედეგად, მეღორეობის ფერმა **"კალანდაში"** 10 ათასი სული პირუტყვი დაეცა. ამ ფერმის თანადაფინანსებაში საპარტნიორო ფონდიც მონაწილეობდა და 1,3 მილიონი დოლარი გაიღო. 2012 წელს შექმნილ ფერმას **"საქართველოს ბანკიდან"** კიდევ 4,4 მილიონი დოლარის სესხი ჰქონდა აღებული.

ცოტა ხნის წინ კი ღორების მასობრივად დაცემა განმეორდა. რუსთავის გზატკეცილზე მდებარე ღორების ფერმაში დაახლოებით 1.000 სული პირუტყვი 10 დღეში დაიხოცა. ფერმის მეპატრონის თქმით, ლაბორატორიულმა კვლევამ აჩვენა, რომ დახოცვის მიზეზი ინფექციური დაავადება პასტერელოზი იყო. თუმცა ფერმერი ეჭვობს, რომ პირუტყვი აფრიკულმა ჭირმა გაწყვიტა.



## პოეზიის კუთხე

### ერთი საინტერესო ბროშურის შესახებ

ამას წინათ ჩვენმა ავტორმა ლეონტი ბიწაძემ მაჩუქა ბროშურად აკინძული მეგრული ლექსების მცირე ფორმატის მქონე წიგნი, რომელსაც, გასაგები მიზეზების გამო, არც გარეკანი აქვს და არც გამოსასვლელი მონაცემები – აღნიშნული ბროშურა 1903 წელსაა გამოცემული ზუგდიდში. ამ მიზეზის გამო ვერც წიგნში გამოქვეყნებული ლექსების ავტორის ვინაობა დავადგინე. ლექსები კი იმდენად საინტერესოა, რომ მისი გამოქვეყნება გადავწყვიტე. ვიწყებ ლექსით "ჩელა", რომელიც იმდენად დიდია, რომ რამდენიმე ნომერში მომიწევს მისი დაბეჭდვა.

როლანდ ჯალაღანია

### ჩელა

ბოშო ვორექ ჯგირი, მარა
ჯიბეს ვარე ჭყელი ფარა.
რადგანც ღარიბ ვორექინი,
ყოროფილცი ვამუჩანა.
დღაშ დო სერით ქომუბშენქ,
ჩხურ მაწუხენც, მისი ჩხანა,
მარა ჯგირი ვამკმოქუნცუ,
შქირენული მაფუ ქვარა.
ჰო! ჩქიმ ჩელა! ჩქიმი ჯაგა!
მდიდარირე გომორძგვილი,
ღარიბ ვორექ – მდიდარ მეყუნც
ჩქიმი სქვამი ყოროფილი.
ერთობარე, ჩქიმი ჩელა,
უძლეველი დიდი ნძალი!
ის ვარჯგინანც ნტერიშ ტყვია,
ლეური დო ზარბაზანი.
მარა დიო თი ერთობა
ვამიღუნა უბედურემც,
ოჭკუმალო აწვუძუთუ
ნგერეფი დო მელა-ტურემც...
ჯაგა, ლომა, ბუსქა, ჩელა,
ანწი გიჩქუდანი თენა:
შხვადო ვარე ჩქინი შველა –
ჩქი ჩქინ ძალა დამირსხენა.
ჩელა! მა გირჩენქუ თეს:
ქუმწუვძახათ ჩქინი ნტერც:
გოუმორძგვას ერთობას,
რუს ხელმწიფეშ ეკორთას!..
ნუ მიღუნა შხვაშ იმენდი,
ჩქინ ხესი რე ჩქინი ბედი.
ვარა ღურა, დასაჯება,
ვარა სრული გამარჯვება!..
ვაკანონათ, სიმართლე დო
შრომაქ დეფასინასინი.
ოღალ ირკოჩქ ეჭოფას,
ირკოჩქ დუდი ირდასინი.
მით თეს ვაქიმინუნცინი,
შორცუ ვიშო ინტასინი.
ფურცელეფი მუკიქუნას
დო ჰაერი რყინტასინი.
არძაქ მუშის გეჯერდას,
არძაქ ჭკუმას ღალა მუში.
მუშუშ თისი ქოხედანი,
თურქი, სომეხი დო რუსი.
ჩელა! მობლასათი ნტერი,
ლომი, თუნთი, ტურა, ნგერი.
არძა ჩქინი მაჭკუმალი,
არძა ღორონთიში ჭყელი.
დიბრთინუათ, ჩქიმი ჩელა,
საქართველო მშვენიერი.
ბოროტება დოპილათი
დო იპიიბთ ბედინერი.

ზუგდიდი,
1903 წელი

*თუ გსურს დღეგრძელი იყო, დღეში რამდენიმეჯერ მოკვდი სიცილით...*

# ჰაჯიმე, ირაკლი-სან...



საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს კარატეს მსოფლიო ფედერაციამ – შავი ქამარი და სამურაის ხმლის – **"კატანას"** ტარების უფლება მისცა. ჩვენი პრემიერი მსოფლიოში მეორეა (თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯებ ტაიპ ერდოღანის შემდეგ), ვისაც ესოდენ დიდი პატივი ერგო. პარალელურად, საინფორმაციო ინტერნეტპორტალები ავრცელებენ ინფორმაციას, რომ ჩაღიპებულ-ჩაკურატებულ ფინანსთა მინისტრს ნოდარ ხადურს მიენიჭა სუმოს ორთაბრძოლებში მიღების უფლება (იმდენი ტყუილად ჭამა ნოდარიმ? თავიდან მისთვის **"ციკანმჟლეტის"** თიკუნის მორგება მინდოდა ფენიმორ კუპერის **"ნადირთმჟლეტის"** ასოციაციით, მაგრამ, მისი განზე წასული ღიპის ხილვის შემდეგ, ვფიქრობ, მისთვის სუმოს ოსტატის მინიჭება უფრო უპრიანი იქნება), ირაკლი ალასანია დამწყებ ნინძათა კურსებზე ჩაირიცხა, რომელთა ხელოვნების უმაღლეს ნიმუშად მოწინააღდეგესთან ფარულად მიპარვა და ზურგში ხანჯლის ჩაცემა მიიჩნევა, ხოლო კულტურის მინისტრ გურამ ოდიშარიას კი, მიუხედავად დიდი თხოვნისა, არაფრით არ მისცეს იაპონური ტანკებისა და ჰაიკუების წერის უფლება და უკვდავი სტრიქონების – **"მტრედი პატარა დილაა"** განაწყენებული ავტორი ხარაკირის გაკეთებას გეგმავსო. ვრცელდება ხმებიც, რომ სასჯელაღსრულების მინისტრს, სოზარ სუბარს ფილმ **"პიანი მასტერის"** ახალ რემეიქში იღებენ. ხოლო მხატვრული დამაჯერებლობისა და გმირის სახესთან მაქსიმალურად მოახლოებისათვის, სოზარს, როლის მოსამზადებლად საჭირო საკეს პარტია ტოკიოდან უკვე გამოუგზავნა ტაკეში კიტანომ. ეს რომ ცნობილმა იაპონელმა მსახიობმა ტოსირო მიფუნემ გაიგო, თურმე კედელს თავი ახალა – როლი როგორ წამართვესო. კინორეჟისორ აკირა კუროსავას საფლავზე დაუფიცია, ვიდრე შურს არ ვიძიებ, ხალხში აღარ გამოვჩნდებიო. ოჯახი მიატოვა და ფუძიამაზე გაიქცა. დღემდე ეძებს მთელი იაპონია, მაგრამ მის კვალს ვერსად მიაგნეს.

ასე დავაყენეთ ყირაზე მთელი იაპონია!

მას შემდეგ რაც ირაკლი ღარიბაშვილი შავი ქამრით და სამურაის ხმლით დააჯილდოვეს, **"ნაციონალური მოძრაობის"** წევრები ბიძინა ივანიშვილზე ცუდს აღარ ამბობენ, ვაითუ, ირაკლიმ იფიქროს, სიოგუნის იმპერიის ღირსეული შთამომავალი შერცხვაო და ხარაკირი გაიკეთოსო. ხარაკირიზე გამახსენდა, თუ სამურაი ჭრილობას მიიყენებდა, მაგრამ თავს მაინც ვერ მოიკლავდა, არსებობდა თანაშემწის თანამდებობა, რომელსაც ევალებოდა თვითმკვლელის ტანჯვა თავის მოკვეთით დაესრულებინა. **"ნაციონალურმა მოძრაობამ"** ასკაციანი სია გააგზავნა თანაშემწის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად.

ასევე განსაზღვრულია დიდი სარკის შეძენა გეიშა ლალი მოროშკინასათვის, რომელმაც ხშირად უნდა იყუროს ამ სარკეში, რათა საკუთარი თავი უფრო იმად აღიქვას, რასაც ფაქტიურად წარმოადგენს! მართალია, ძნელია სარკეში ჩახედვა ნაციონალ-გეიშა ხათუნა გოგორიშვილისათვის, მაგრამ იაპონური წმინდა ტრადიციები თანახმად მას ეს მაინც მოუწევს, თანაც, დღეში რამოდენიმეჯერ!

სამურაებს ჰქონდათ საკუთარი ქცევის კოდექსი **"ბუსიდო"**, რომელსაც განუხრელად ემორჩილებოდნენ, ასეა ჩვენი ირაკლიც, გამორიცხულია, რომ ზემოთხსენებულ პატრონს წინ გადაუდგეს და რონინის (უბატონო სამურაის) გზას დაადგეს (მარგველაშვილს კი არა ჰგავს, რომელმაც ნეტარი ბატონის განრისხების შემდეგ მთელ კლანს თავსლაფი დაასხა და სეპუკუ (საკუთარი თავის მოკვდინება), სამურაის შესაშური თავგანწირვით, არ მოითხოვა).

საქართველოდან ახალი ბედის საძიებლად გადახვეწილ (თუ მოსალოდნელ გარდაუვალ სასჯელს გარიდებულ) ქვეყნების განადგურება-განახევრება-გასხვისების საქმეში დაოსტატებულ მიხეილ სააკაშვილს რომ გაუგია ეს ამბავი, ძალიან უდარდია. ალბათ იაპონიაში სომხური ლობი ისეთი ძლიერი ვერ არის, როგორც რუსეთში ან ამერიკის შეერთებულ შტატებში, თორემ, ნუთუ იმდენი დამსახურება არ მქონდა, თუნდაც ჩემი დაშნაკი თანამემამულეების წინაშე, **კატანა** თუ არა, ჩემთვის **ვაკიძაში** (სამურაის ხანჯალი) მაინც რომ ეჩუქებინათო? ამიტომ მიეტანა იმედგაცრუებული სააკაშვილი ასეთი თავდავიწყებით უკრაინულ **"გარილკას"**, იქაურ სტილისტებთან გაიკეთა ჩუბა და იმდენად დამაჯერებლად გამოუვიდა ეს ყოველივე, რომ ტარას ბულბას აჩრდილის მოტრფიალე უკრაინის ახლადარჩეულ პრეზიდენტს პეტრე პოროშენკოს მისი მრჩევლად აყვანაც კი განუზრახავს! აქაურობა ხომ მიალა-მოალაგა სააკაშვილმა ცხრა წლის განმავლობაში, ახლა, ეჭვსგარეშეა, უკრაინასაც ისევე **"გაანახევრებ-აალორძინებს"**, როგორც მისი უტვინობით შეკვეცილ-შემოჭრილი საქართველოს დარჩენილი ნაწილი **"გაანახევრ-აალორძინა"**!

**მოკლედ, ბედი გვქონია და ჩვენთვის გაუსვრია "ავრორასო", უკრაინელებმა უნდა თქვან!**

არა და, სიმართლეს თუ ჩავხედავთ თვალებში, მიხეილ სააკაშვილი იაპონური **ვაკიძაშით** უფრო იოლად გაიკეთებდა ქირურგიულ ხარაკირს, ვიდრე ამას **"გარილკით"**, უკრაინული სალითა და ნიორწასმული შავი პურით მოახერხებს, რადგან პოლიტიკური ხარაკირი მან ჯერ კიდევ მაშინ გაიკეთა, როცა, 2007 წელს და შემდგომ პერიოდებში თბილისის ქუჩებში საპროტესტოდ გამოსულ ქართველ მშვიდობიან მომიტინგეებს თავისი კანიბალი ზონდერები დაახვია და მართლაც სული ამოხადა! თავისი პატრონის წინაშე გამტყუნებული სამურაი თითს მოიჭრიდა და პატრონს წინ დაუდებდა ხოლმე. სააკაშვილმა კი იმდენჯერ გაუმტყუნა იმედები თავის პატრონ ამერიკელებს, რომ თითები აღარც ხელზე უნდა ჰქონდეს და აღარც ფეხზე!

**მოკლედ, ჰაჯიმე, ირაკლი-სან და სხვა ქართველო სამურაებო!**

სურამელი პროვოკატორი იაკოფა

# ეკლესია – რწმენის ორიენტირი!




*ამას წინათ ჩვენმა მეგობარმა, გაზეთ "ილორი"-ის ერთგულმა მკითხველმა და ავტორმა, ჩვენმა მხარდამჭერმა, შესანიშნავმა პიროვნებამ ომარ ნანავამ, სათანადო წარწერით მისახსოვრა მისი ავტორობით გამოცემული წიგნი "რწმენა – გზა კეთილშობილებისაკენ", რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ მას. ძვირფასო მკითხველო, აღნიშნული წიგნის სულიერი მისია რომ გაგაცნოთ, გთავაზობთ ნაშრომის რედაქტორის, მწერლის, საზოგადო მოღვაწის, "ფაზისი"-ს აკადემიის ნამდვილი წევრის ბატონ ტარიელ მუმლაძის მიერ წიგნზე დართულ წინასიტყვაობას.*

 რ. ჯალაღანია

თქვენს წინაშე მდებარე წიგნი გახლავთ ერთგვარი გზამკვლევი ეკლესიის ცხოვრების და მოძღვრის ინსტიტუტის შესახებ, რომელიც ყოველმა მართლმადიდებელმა ქრისტიანმა უნდა წაიკითხოს და გაითავისოს. ეკლესია ღვთის სახლია და ამ სახლში გაღატაკებული სულით შესული ადამიანი, ეკლესიიდან გამოდის გამდიდრებული, ახალი იდეებით სავსე და მყარი ნაბიჯით მიმავალი. ეკლესიაში ხდება ადამიანების განწმენდა, ბოროტების დაძლევა და კეთილი სულის აღდგენა. ეკლესია მუდამ იყო ერის წინამძღვარი. მას შესწევს ძალა, დარაზმოს ერი საკუთარი ოჯახის, საკუთარი მამულის დასაცავად, დააყენოს თითეული ადამიანი ღვთისნიერ გზაზე. ისეთმა პატარა ქვეყანამ, როგორიც არის საქართველო, სწორედ ღვთის განგებით გაიარა უამრავი ბეწვის ხიდი და მყარი ნაბიჯით შევიდა 21-ე საუკუნეში. მომავალში, დედა მარიამ ღვთისმშობლის კურთხეული ერი უცილებლად აღმავლობის გზას გაჰყვება. მნიშვნელოვანია ვიაროთ ეკლესიაში და ვილოცოთ საკუთარი სულების, ქვეყნისა და ერის გადასარჩენად. ლოცვას დიდი ძალა აქვს.

ღმერთი მაშინ გაუწყრება ქვეყანას, როცა იქ ხდება ღვთის გმობა, როცა იწყება ურთიერთმტრობა, ზნეობისა და ღირსების დაკარგვა, რწმენის, ეკლესიის და ღვთისმსახურთა დამცირება და განკითხვა, როცა იქ მომრავლდება ბოროტი სულისა და აზროვნების მქონე ადამიანები. ქვეყნის ცხოვრების ბოლო პერიოდის ანალიზიდან გამომდინარე, სწორედ ამ გზაზე დადგომის გამო, ქვეყანაში დაიწყო ძმათა მკვლელობა, დამაფიქრებელი მასშტაბები შეიძინა პროსტიტუციამ და ნარკომანიამ, ქვეყანაში დეგრადირება განიცადა სწავლა-განათლებამ, მეცნიერებამ, კულტურამ, ქართულმა ტრადიციებმა, სულიერებამ და ა.შ.

სამღვდელოებასა და ჩვენს პატრიარქს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა ერი შემოებრუნებინა ეკლესიისაკენ, შთაენერგა სულიერი სიმდიდრის არსი, განემარტა ღვთისმოშიშობა და ღვთისმიერ გზაზე დადგომის აუცილებელი პირობები.

შედეგი ის არის, რომ ეკლესიას მრევლი გაუმრავლდა, იკლო საქართველოდან ქართველების გადინებამ, იმატა ქართველების სამშობლოში დაბრუნებამ, გათბა ადამიანთა ურთიერთობები. დაიწყო მეცნიერებისა და სწავლა-განათლების შემობრუნება რეფორმების გზით, მეტი ყურადღება დაეთმო ადამიანთა პირობების გაუმჯობესებას, ჯანდაცვის საკითხების მოგვარებასა და ქვეყნის სწორ გზაზე დაყენებას.

ამ შემობრუნების პროცესში იშვა თქვენს წინ მდებარე ნაშრომი, სადაც ავტორი ბრძნული და ჭკვიანური მეთოდებით ცდილობს მართლმადიდებელი სარწმუნოების იმ გასხიოსნებული თვისებების შესისხლხორცების გზები ეძიოს, რომელიც ადამიანის სულიერებას ამდიდრებს და ამაღლებს. ავტორის მიერ ღვთისკენ გადადგმული ეს ნაბიჯი შემთხვევითობას კი არ მიეწერება, არამედ იგი შთაგონებულია ქრისტეს და სამშობლოს სიყვარულით. სწორედ ამ ძალების კარნახით მან წარმოაჩინა ყველა ეკლესიის ღვთისმსახურნი მამა დავითის სახით. ავტორი მასში ხედავს ყველა მოძღვრის მცდელობას, დაძრას თავისი მრევლი უფალთან დასაახლოებლად სულიერების გასამდიდრებლად და ჭეშმარიტ გზაზე დასაყენებლად.

თუ რამდენად შეძლო ავტორმა ყოველივე ეს, ამის შეფასება მიგვინდია ჩვენი მკითხველისათვის.

ტარიელ მუმლაძე,
"ფაზისი"-ს აკადემიის ნამდვილი წევრი

# ჩვენი კომენტარი ბატონ გურამ კორკელიას წერილზე „ცოტა რამ კოლხეთსა და კოლხურ დამწერლობაზე”

ეს ფაქტი, ცხადია, არც ჯორდანო ბრუნოს და არც ჭეშმარიტებას სულაც არ აწუხებთ; მაგრამ, იმათ იკითხონ, ვისი პრობლემაც ეს არის (ესეც სხვათაშორის).

აქვე განვაცხადებთ: ჩვენი ეს კომენტარი უკვე დაწერილი იყო, როცა გაზეთ **„ილორ-ში“** დაიწყო ბეჭდვა ბატონ ვალერი ძაძამიას წერილისა გ. კორკელიასადმი. ამან, ერთხანს გადაგვაფიქრებინა ჩვენი კომენტარის გამოქვეყნება, მაგრამ რაკი მკითხველები და რედაქცია მოელოდნენ ჩვენს გამოხმაურებას მასზე, იმედი არ გავუცრუეთ.

დასასრულს, გ. კორკელიას საყურადღებოდ მოვიტანთ ცნობილ გამოთქმებს:

**„ვერ დაშლიან პიტალოებს რქებით თხები, ბრიყვთა ლანძღვა ვერას ავნებს ნათელ საქმეს“** (ავიცენა);

**„ურგი, ურიგო არ არის ხილი, რომელზეც ურგი კრაზანა ჯდება“:**

**„ღამურა რომ ვერაფერს ხედავს, მზის ბრალი როდია“.**

ბოლოს, გულწრფელად ვწუხვართ, რომ იძულებული გავხდით, ადრესატისთვის წკიპურტი გაგვეკრა; აბა, ღობემძვრალას ზარბაზანს ხომ არ ესვრიან?!

ამჯერად, ვსარგებლობთ შემთხვევით (საკითხს ხომ ყოველთვის არ დავუბრუნდებით) და დავძენთ:

ნათქვამია, მეცნიერება თავგანწირვას (თვითშეწირვას) მოითხოვსო და ამ მოსაზრებას სავსებით ვიზიარებთ. ვფიქრობთ, ჩვენც (მხედველობაშია თანაავტორებიც) იგივე ბედი გვხვდა წილად, იმ სიძნელეების გათვალისწინებითაც, რომელთა გადალახვა მოგვიხდა.

ცხადია, გ. კორკელიას ნააბდაუბდარი არაფერს ნიშნავს იმ წინააღმდეგობებთან შედარებით, რაც აქამდე დავძლიეთ. ვიდრე მას შევეხებოდეთ, აქ, ერთგვარ გადახვევას გავაკეთებთ:

35 წელი მოვანდომე, პირადად მე, საენათმეცნიერო მუშაობას. დაახლოებით ამდენივე წელი დახარჯეს, ერთობლივად, მასზე, ჩემი ოჯახის დანარჩენმა წევრებმა, როგორც თანაავტორებმა. ასე, რომ, 70 წლის სასიცოცხლო ენერგია გავიღეთ ჩვენს ნაშრომებზე, სავსებით უშურველად და უანგაროდ. ამასობაში, 70 წელს გადავაბიჯე პირადად მეც, როცა გულმა რეჩხი მიყო და მანიშნა, რომ დასვენება სჭირდებოდა. მას უკვე აღარ შეეძლო, ძველებურად, დღეღამეში 16-18 საათი ემუშავა. გადავწყვიტე, გამეგო, რა ისეთი სამუშაო შეასრულა, რომ ასე გადაიღალა, და აი, რა აღმოჩნდა: ამ მუშტისოდენა ორგანოს, 70 წლის განმავლობაში გადაუტუმბავს სისხლი, რაც გაავსებს ღრმულს, რომლის სიღრმეა 4 მეტრი, სიგანე 7 მეტრი და სიგრძე 11 კილომეტრი. ამ სამუშაოს შესრულებისათვის კი მას დაუხარჯავს ენერგია, რაც 42 ვაგონის შემადგენლიან სრულად დატვირთულ ეშელონს (მატარებელს) ზღვის დონიდან მყინვარწვერამდე აიყვანდა. ეს ფიზიკურად.

ამგვარი, – მელნად ნახმარი სისხლის ტბით ნაწერი საკაცობრიო მნიშვნელობის განძია ჩვენი საენათმეცნიერო ნაშრომები, ათასტომეულების სახით რომ არის წარმოდგენილი.

აი, რისი, ერთი ხელის მოსმით, არარაობად წარმოჩენა სცადა გ. კვირკველიამ.

ახლა, მოკლედ, იმაზეც, თუ რა მორალური, ფსიქოლოგიური (ზოგადად, ვთქვათ, სულიერი) ძალისხმევა დაგვჭირდა ჩვენი საენათმეცნიერო ნაშრომების შექმნის პერიოდში.

ორი უდიდესი წინააღმდეგობის, შეიძლება ითქვას, დილემის წინაშე აღმოვჩნდით ჩვენ, იმთავიდანვე, როგორც კი ენის წარმოშობის საკითხზე და საერთოდ ენის ფენომენის მეცნიერულად შესწავლაზე დავიწყეთ მუშაობა.

ჯერ ერთი, საჭირო იყო, დაგვეძლია მსოფლიო ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული მოსაზრება, რომ ენის წარმოშობის საკითხის შესწავლა შეუძლებელია. საამისოდ, უნდა დაგვესაბუთებინა მსოფლიო ენათმეცნიერების მიერ ენის წარმოშობის შესახებ არსებული თეორიების, და კერძოდ, ხმაბაძვითობის თეორიის უარყოფის უსაფუძვლობა; უნდა დაგვემტკიცებინა ამ თეორიის ჭეშმარიტება. ყოველივე ეს, ცხადია, მილიონობით და მილიონობით ადამიანის გონებაში გაბატონებული მოსაზრების უარყოფას ნიშნავდა.

მეორედა, საჭირო იყო დაგვეძლია ის ნეგატიური დამოკიდებულება, რაც, სამწუხაროდ, არსებობდა ჩვენში, გამოკვლევის ობიექტის – მეგრული ენის მიმართ, და რაც მდგომარეობდა შემდეგში: მეგრული ენის არათუ მეცნიერულად შესწავლა, არამედ, უბრალოდ წარმოთქმაც კი ტერმინისა **„მეგრული ენა“,** რატომღაც იგივდებოდა ოდესღაც აბსოლუტურად უსაფუძვლოდ შემოგდებულ ე. წ. **„მეგრულ სეპარატიზმთან“.**

ასეთ პირობებში, მტრებიცა (მხედველობაშია მეგრელთმოძულენი) და მოყვარენიც, აი, რას გვიჩიჩინებდნენ: როგორ არ გეშინიათ, მეგრულზე რომ მუშაობთ?!. ნუთუ არ იცით, რომ ვინც მასზე სერიოზულად იმუშავეს, არც ერთი არ გაუხარებიათ და სიცოცხლესაც კი რომ უსპობდნენ. შეგვახსენებდნენ, რომ: თავის დროზე, აკადემიკოს ალექსანდრე ცაგარელს, იმის გამო, რომ მან 1872 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოსცა წიგნი **„მეგრული ეტიუდები“,** ლამის სამშობლოს ღალატი შესწამეს. აიძულეს, შეეწყვიტა ენათმეცნიერული მუშაობა. მის ცხედარს კი სასაფლაომდე მხოლოდ 20-მდე კაცი მიაცილებდა; აკადემიკოს ნიკო მარს სულით ავადმყოფობა დასწამეს და სპეციალურ საავადმყოფოში გამოკეტეს; პროფესორი იოსებ ყიფშიძე, რომელმაც 1914 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოსცა წიგნი **„მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკა ქრესტომატიითა და ლექსიკონითურთ“,** 42 წლის ასაკში მოულოდნელად საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა; აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა, ადრე, სამი თვე ციხეში ამყოფეს მხოლოდ იმის გამო, რომ თურმე ერთხელ ზუგდიდის რაიონის სოფელ გრიგოლიშის დაწყებით სკოლაში ესწრებოდა ქართული ენის გაკვეთილს, რომელზეც მასწავლებელმა მოსწავლეებს აუხსნა, რომ ქართულის თითი ეს იგივე მეგრულის კითია; ნ. ხვედელიძე, რომელმაც ერთ-ერთ არქეოლოგიურ მონაპოვარზე – ქოთანზე წარმოდგენილი წარწერა კოლხურ წარწერად გამოაცხადა, ადრეულ ასაკში საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა; იგივე დაემართა აკადემიკოს ვლადიმერ ალფენიძეს, და ა. შ.

იყო ასეთი ფაქტიც: ერთხელ თსუ ზუგდიდის ფილიალის ეზოში დაგვიმარტოხელა ერთმა უცნობმა ახალგაზრდამ და განგვიცხადა: **„ბატონო მამანტი, თქვენს წიგნებს მთლიანად ამოიღებენ და დაწვავენ, ასევე ხელთნაწერებსაც. მე კაგებეში არ ვმუშაობ, მაგრამ ეს ამბავი იქიდან გამოვიდა და მინდა გაგაფრთხილოთ“.** ჩვენს კითხვაზე: – რატომ? რა დავაშავეთ?, – გვიპასუხა: არაფერი. პირიქით, – თქვენ უდიდეს ქართულ და საკაცობრიო მნიშვნელობის საქმეს აკეთებთ, მაგრამ სულელები და თავის გამოჩენის მიზნით ყველაფრის გამკეთებლები კაგებეშიც არიანო. არაერთხელ, დაბეჯითებით გვირჩია, რომ საიმედო ადგილას გადაგვემალა წიგნების ეგზემპლარები და გამოუქვეყნებელი ხელნაწერები..

მას შემდეგ, ხელნაწერებს ერთხანს განსაკუთრებით ვუფრთხილდებოდით, მაგრამ საგულდაგულოდ არაფერი არ გადაგვიმალავს, და, საბედნიეროდ, არაფერიც არ მომხდარა.

იყო ამგვარი ფაქტიც: როგორც კი გამოვიდა ჩვენი ნაშრომი **„ენის წარმოშობის საიდუმლოება“,** ექოსავით გავარდა ხმა მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ, მაგრამ მალევე ერთ-ერთმა პროფესორმა (გ. გ.) ერთ პოლიტიკურ გაზეთში გამოაქვეყნა ძალიან მოკლე და დამცინავი წერილი, სადაც, მეგრული ენის ლექსიკის სიმდიდრით გაღიზიანებული ავტორი (რასაც არ მალავდა), ისე, რომ თვით ნაშრომის არანაირ განხილვას არ მიმართავდა, წერდა: **„ასეთი წიგნის გამოცემა დანაშაულია“-ო.**

მაგრამ, მალე სხვა პროფესორმა (ნ. ლ.), მის წერილს შეკვეთილი და ტენდენციური უწოდა და აღნიშნულ ნაშრომზე ასეთი შეფასებაც გააჩმიანა: **„ეს წიგნი ბატონ მამანტი ძაძამიასა და მისი ქალიშვილის ცირა ძაძამიას დაწერილი არ გახლავთ. იგი თვით ღმერთის მიერ არის დაწერილი. აბა, ადამიანებს როგორ შეეძლოთ ასეთი რამის დაწერა?!“.** მკაცრად გააკრიტიკეს ოპონენტი სხვებმაც, მათ შორის პოეტებმა და ჟურნალისტებმა, თავიანთ (ავტორებისადმი) სპეციალურად მოძღვნილ ლექსებსა და წერილებში. მოკრძალებული, მაგრამ საკმაოდ ადეკვატური პასუხი გავეცით ჩვენც, ჟურნალ **„აია“-ს** მეშვეობით.

ქვეყნის მასშტაბით დამდგარმა ავბედითობამ, ჩვენს თავზეც მთელი სისასტიკით გადაიარა. ე. წ. **„მხედრიონელები“** გამალებით გვდევნიდნენ, როგორც **„ზვიადისტებს“** და, დახოცვით გვემუქრებოდნენ თუნდაც იმისათვის, რომ, თურმე, ჩვენს სახლში **„რაღაც მეგრულის შესახებ“** წიგნები ნახეს. მართალია, მათ თავგამეტებულ დევნას, საკუთარ სახლში მთელ ოჯახთან ერთად ამობუგვის მუქარით, რაღაც სასწაულით გადავურჩით, მაგრამ პირწმინდად გაგვძარცვეს და საარსებო საშუალება არ დაგვიტოვეს. მას შემდეგ, დიდხანს წელში ვერ გავიმართეთ.

იყო ასეთი წვრილმანი, მაგრამ თავისი არსით ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტიც: ჩემმა ერთ-ერთმა შვილმა (სხვებივით) **თსუ** ზუგდიდის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა და დედაუნივერსიტეტის მაგისტრატურაში ჩარიცხვის რეკომენდაცია მიიღო. მასალები დაუყოვნებლივ უნდა წაეღო თბილისში. ერთი დღის დაგვიანებითაც ლიმიტი იკარგებოდა. საჭირო იყო გზის ფული, და, დედამისმა, ფოსტის გამგის რჩევით, განცხადებით მიმართა რაიონის გამგებელს, რომ ჩემი ორი თვის პენსიის (სულ 28 ლარი) წინასწარ გაცემაზე თანხმობა მიეცა. უარი მიიღო.

რასაკვირველია, ე. წ. **„ჩარეცხილებში“** ჩვენი ოჯახი ერთ-ერთი პირველთაგანი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის ყოველი წევრი გარკვეული (მ. შ. უმაღლესი) სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების მქონეა, უმუშევრად დატოვეს... ყველა ყველგან გამოდგებოდა თურმე (და, ეს ასეა დღემდეც), გარდა მეცნიერებათა დოქტორებისა, პროფესორებისა და აკადემიკოსებისა.

დრო არ ჩერდება. დრო მიქრის წარსულისაკენ და თავის საქმეს აკეთებს. ამასობაში იწერება ადამიანთა (მათ შორის ჩვენი) ბიოგრაფიებიც, რაც, ერთობლიობაში, ქვეყნის ისტორიასაც ადგენს. ეს წვრილმანი (მაგრამ სასიცოცხლო მნიშვნელობის) ფაქტებიც ნაწილია მათი. ამიტომაც მოგვყავს, ისინი, დრო-ჟამის მახასიათებელი მაგალითების სახითაც.

ამ ორიოდე წლის წინ, ჩვენი რაიონის მცხოვრებმა ერთმა 90 წელს მიღწეულმა პიროვნებამ (ზ. გ.) თურმე წერილი მისწერა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის იმდროინდელ მინისტრს (ა. უ.), სადაც წერდა: **„ჩვენს რაიონში ცხოვრობს თანამედროვე ჯორდანო ბრუნო, ოღონდ ენათმეცნიერების დარგში, – პროფესორი და აკადემიკოსი ბატონი მამანტი ძაძამია, რომელმაც თავის თანაავტორ ქალიშვილ ცირა ძაძამიასთან ერთად, პირველად ენათმეცნიერების ისტორიაში, ენის წარმოშობის საფუძვლები ამოხსნა. მაგრამ ამჟამად მამანტი ძაძამიას სიცოცხლე საფრთხეშია. მას გულის გადაუდებელი ოპერაცია ესაჭიროება, მაგრამ ოჯახს ამის საშუალება არა აქვს. თქვენ შეგიძლიათ გადაარჩინოთ იგი, ბატონო მინისტრო, გთხოვთ გადაარჩინოთ!”**

ორ თვეში სოცდაზღვევის სამსახურის რაიონული მუშაკი გვეწვია. მოიკითხა: – ძროხა და ქათმები თუ გყავთო. პასუხი ჩაიწერა და წავიდა... ასე იზრუნა **„ჯორდანო ბრუნოს“** გადარჩენისათვის ჯანდაცვის მინისტრმა.

შედარებისათვის: ამას წინათ წერილით მივმართეთ განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, იმით დაიმედებულმა, რომ ადრინდელებისგან განსხვავებით, იგი, ხანდახან მაინც მოიხსენიება – ერთდროულად, – **„განათლებისა და მეცნიერების მინისტრად“.** განცხადებას ერთ-ერთი წიგნიც ვაახლეთ საჩუქრად და გასაცნობად ჩვენი ნაშრომებისა. დაბეჯითებით ვთხოვეთ, პირადად გაცნობოდა მათ და შესაძლებლობის ფარგლებში გაეწია დახმარება წიგნების გამოცემაში.

ორ თვეში ერთ-ერთი შპს-დან ასეთი პასუხი მივიღეთ: ჩვენი შპს პერიოდულად აწყობს კონკურსებს. თუ თქვენ მიიღებთ მასში მონაწილეობას და გაიმარჯვებთ, წიგნს გამოგიცემთო.

ამგვარი კონკურსის შედეგებზე გამოცდილება უკვე მიღებული გვქონდა: რამდენიმე წლის წინ ოთხმა მეცნიერებათა აკადემიამ წარადგინა ჩვენი შვიდტომეული **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“** კულტურის სამინისტროში, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის მისანიჭებლად. გვიან, როცა შედეგები მოვიკითხეთ, გვიპასუხეს: **„ნაშრომი ძალიან მოეწონათ, მაგრამ კონკურსზე ვერ გაიმარჯვა“**-ო, მალე გაზეთი **„ასავალ-დასავალი“** იუწყებოდა: **„შოთა რუსთაველის სახელობის პრემია მიანიჭეს მხატვარს, რომელიც, ადრე, გაზეთში წერდა: „მიხეილ სააკაშვილი რატომღაც აღმაშენებელს მაგონებს. 500 ათასი კაცი, ქუჩაში გამოსული, რომელიც არაფერს აკეთებს, ბრბოა აბა რა არის?“.**

ჩანს, ეს უფრო დიდ **„აღმოჩენად“** ჩათვალეს, ვიდრე ენის წარმოშობის საფუძვლების წარმოჩენა.

ამიტომაც, ზემოაღნიშნულ შპს-ს მიერ მომავალში ჩასატარებელ კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე, ჯერ-ჯერობით მაინც, არც კი გვიფიქრია.

ჩვენ მხოლოდ იმის ფიქრი ვერ მოგვიშორებია თავიდან: ნუთუ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ჩვენი გამოკვლევების შედეგებით და, კერძოდ, ენის წარმოშობის საფუძვლების ამოხსნით პირადად არც კი დაინტერესებულა? მაგრამ, იქნებ, პირადად მას არც კი მიუღია ჩვენი წერილი? ყოველ შემთხვევაში, გვინდა, რომ ეს ასე გვჯეროდეს.

რაკი ზემოთ მ. სააკაშვილი ვახსენეთ, ბარემ მის ბოლოდროინდელ შემოთავაზებაზეც ვიტყვით: არენიდან გასვლამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე მაღალი თანამდებობის მუშაკები გამოგვიგზავნა ზუგდიდიდან და გვაცნობა, რომ **„ღირსების ორდენის“** გადმოცემა სურდა. ზუგდიდში უნდა წავეყვანეთ, ანდა, შინ მობრძანდებოდა ჯილდოს გადმოსაცემად. **„ყველანაირად დაგეხმარებით, ოპერაციასაც გაგიკეთებთო”** და ა. შ. მეორე დღესაც ორჯერ დარეკეს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან: სასწრაფოდ თბილისში ჩამოგიყვანთ, რადგანაც პრეზიდენტს ჯილდოს გადაცემა დღესვე სურსო. მაინც უარი ვუთხარით შემდეგი მოტივებით: არ ვიცით, რისთვის გვაჯილდოებს. ჩვენი ნაშრომების საყოველთაოდ აღიარებისთვის მას არც კი უფიქრია; მისი ტაშის დამკვრელი კი არასდროს ვყოფილვართ; ხელისუფალისგან, რომელმაც ორასი ათასი კაცი, ქუჩაში გამოსული, სასტიკად გააროზგვინა და მრავალიც დაახოცვინა, ღირსების ორდენის მიღებაზე უფრო დიდი უღირსობა რაღა იქნებოდა? უამრავმა ადამიანმა მოგვიწონა, გაზეთების მეშვეობით თუ სატელეფონო საუბრებით. ერთეულებმა კი ასეც თქვეს: ის მაინც მიმავალი იყო. სახელმწიფო ჯილდოზე უარი არ უნდა გეთქვათო. ერთი წამითაც არ გვინანია.

თანამდებობებსა თუ ჩინ-მედლებს არასოდეს დავხარბებივართ. მუშაობაში კი ზერელობა არასოდეს არ გამოგვიჩენია.

ასე, მაგალითად, იმის გათვალისწინებითაც, რომ მეგრული ენის საინტერესო მონაცემების, და კერძოდ, ამ ენის ლექსიკის გასაოცარი სიმდიდრის წარმოჩენა ცალკეულ სპეციალისტებსა და სხვებსაც მეტისმეტად აღიზიანებდა, შესაძლო უზუსტობისა და მოსალოდნელი სკანდალის თავიდან აცილების მიზნით, ასეთ რამეს მივმართავდით: ვიდრე მეგრული ენის ლექსიკონის ან სალექსიკონო მასალის გამოქვეყნებამდე თავს ვიკავებდით მეგრულის ლექსიკის სიმდიდრის შესახებ უკვე მოპოვებული მონაცემების სრულად გამოქვეყნებისაგან. ასე, მაგალითად, თავდაპირველად, ჩვენს ერთ-ერთ წიგნში განვაცხადეთ, რომ მეგრული ენის ლექსიკა, სავარაუდოდ 5 მილიონამდე სიტყვას დაითვლიდა, თუმცა იმ დროისათვის უკვე ხელთ გვქონდა მეგრულის სალესიკონო მასალა, რომელიც მოიცავდა 7 მილიონამდე სიტყვას.

მამანტი ძაძამია,
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს პრეზიდენტი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, 8 მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ხუთი უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი**

*(დასასრული შემდეგ ნომერში)*

# “ნაცემი ნაცები”: ფიზიკური ანგარიშსწორების სახადი “ნაციონალებისთვის” – ვინ იქნება შემდეგი?



**“ერთიანი ნაციონალური მოძრაობის”** უმრავლესობიდან უმცირესობაში გადანაცვლების შემდეგ პარტიის წევრებისა და მათ მხარდამჭერებთან ასოცირებული პირებთან ფიზიკური დაპირისპირება ერთგვარ სახადს დაემსგავსა. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში სულ მცირე 5 ნაციონალი აღმოჩნდა მუშტი-კრივისა და თავდასხმის მსხვერპლი. ვიდრე უმრავლესობა და მისი მხარდამჭერები ქვეყანაში აღდგენილ სამართლიანობაზე საუბრობენ, უმცირესობის წარმომადგენლები საწინააღმდეგო აზრზე არიან. საზოგადოებრივი აზრი კი არაერთგვაროვანია – **“ნაციონალების”** მხარდამჭერებისადმი ფიზიკურ დაპირისპირებას ზოგი სამართლიანობის აღდგენად მიიჩნევს, სხვები კი, აგრესიის მოჭარბებას, ქვეყნის შესაბამისი სტრუქტურების, განსაკუთრებით **შსს**-ს უუნარობას მიაწერს.

არსებობს ადამიანების კატეგორია, რომელიც **“ნაცემი ნაცების”** ერთგვარ სერიალს უკვე კომიკურადაც კი უყურებს და თავდამსხმელებს ასეთ ინსტრუქციასაც კი აძლევენ: **“პროსტა სიის მიხედვით რო იყოს, რაღა “ჭ” და “წ”-დან დაიწყეს?”** (ციტატა ფორუმიდან).

ძალადობა **“ნაციონალური მოძრაობის”** ლიდერებისა და მხარდამჭერების მიმართ, ინტერნეტმომხმარებლების მხრიდან ერთგვარი პოლიტიკურ სასჯელადაც განიხილება. ასე ის ადამიანები ფიქრობენ, რომლებსაც კარგად ახსოვთ სამთავრობო გუნდის ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება, რომელიც ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენას გულისხმობდა. **“რას იზამ, როცა მთავრობა უქნარაა, ჯობია ისევ ჩვეულებრივმა ხალხმა აღასრულოს სამართალი”**, – წერს ერთ-ერთი ინტერნეტმომხმარებელი ფორუმზე.

ინტერნეტპორტალი წარმოგიდგენთ სტატიას, სახელწოდებით **“ნაცემი ნაცები”**, რომელშიც ჩვენ ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ **“ნაციონალური მოძრაობის”** წევრებზე მომხარი ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტები გავაერთიანეთ.

**“ნაცემი ნაცების”** ერთგვარი ციკლი გასული წლის 8 თებერვალს დაიწყო, როცა **“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”** ჯერ კიდევ უმრავლესობას წარმოადგენდა.

მოსახლეობისადმი პრეზიდენტ სააკაშვილის დაგეგმილი მიმართვის წინ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარმა ძალადობრივმა ინციდენტმა, რომლის დროსაც **“ნაციონალური მოძრაობის”** დეპუტატი ჩიორა თაქთაქიშვილი და პარტიის მხარდამჭერი გიგა ნასარიძე დაშავდნენ, კიდევ უფრო გააღრმავა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს შორის დაძაბულობა. მეორე დღეს სამართალდამცველებმა დეპუტატ ჩიორა თაქთაქიშვილის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის გიორგი მამალაძე დააკავეს.

ამ ფაქტიდან არც ისე დიდი ხნის შემდეგ **“ნაციონალური მოძრაობის”** წევრი, დეპუტატი ნუგზარ წიკლაური აღმოჩნდა სასტიკი თავდასხმის ობიექტი. მას 30 მარტს, ღამით, სახლთან სამი მანქანით რამდენიმე ნიღბიანი დახვდა, რომლებმაც მისი გატაცება სცადეს. წიკლაურის თქმით, თავდამსხმელებმა ელექტროშოკიც გამოიყენეს.

ამის შემდეგ სულ რაღაც ორ თვეში, 2014 წლის 3 მაისს, ყოფილი **“სოდ”**-ის უფროსის, ერეკლე კოდუას ძმა, ბიზნესმენი დავით კოდუა ხელკეტებითა და ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებულმა პირებმა ელექტროშოკით გათიშეს და სასტიკად სცემეს. მომხდარს კოდუას მეუღლე და მისი ახლობლები პირად ანგარიშსწორებას მიაწერდნენ და ასეც აღმოჩნდა. მეორე დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს 38 წლის ნოშრევან ნამორაძე თავისი ნებით ჩაბარდა. ნამორაძემ აღიარა, რომ ცემის მოტივი პირადი შურისძიება იყო. მას აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდა.

მაისის თვე საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა მწერალ მამუკა ხერხეულიძის, ზურაბ ჭიაბერაშვილისა და ნოდარ ლადარიასათვის (ეს ის ნაძირალა ჭიაბერაშვილია, რომელმაც თბილისის მერად ყოფნისას მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა **“ქართლის დედის”** ძეგლს და, აქედან გამომდინარე, სრულიად საქართველოს. არც ნოდარ ლადარია სარგებლობს დიდი ავტორიტეტით საზოგადოებაში, რადგან იგი ბევრს მიაჩნია გადაგვარებულად – **“ილორი”**). ორიოდე კვირის წინ, დღისით, ბარნოვის ქუჩაზე, კაფე **“ანტრეში”** ხერხეულიძე ცეცხლსასროლი იარაღით ფეხში დაჭრეს. ინციდენტის შესახებ მისი ოჯახის წევრები ხმამაღლა არ საუბრობენ, თუმცა თავად **“ნაციონალური მოძრაობის”** წევრებმა მათი თანაგუნდელის დაჭრის ფაქტი პოლიტიკურ მოტივად შეაფასეს, ვინაიდან ხერხეულიძე პარტიის აქტიური მხარდამჭერია.

ბოლო ასეთი შემთხვევის მსხვერპლი **“ნაციონალური მოძრაობის”** ერთ-ერთ ლიდერი, ზურაბ ჭიაბერაშვილი და ნოდარ ლადარია გახდნენ. მათ რეზო თაბუკაშვილმა და გიორგი მგელაძემ ჯერ ფინჯანით ცხელი ჩაი შეასხეს სახეში, შემდეგ კი მათ დაზიანებები მიაყენეს. ამჯერად ტრავმები სიცოცხლისთვის ნაკლებად საშიში აღმოჩნდა. დაშავებულები საავადმყოფოში მალევე გადაიყვანეს, პირველადი დახმარების აღმოჩენის შემდეგ კი კლინიკიდან გაწერეს.

ზურაბ ჭიაბერაშვილის და ნოდარ ლადარიას მიმართ თავდასხმის ფაქტზე, გამოძიება უკვე დაიწყო. საგამოძიებო მოქმედებები სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს.

საყურადღებოა, რომ სწორედ მაშინ, როდესაც ქვეყნის სათავეში მყოფი მაღალჩინოსნები სამართლიანობის აღდგენაზე საუბრობენ, ქვეყანაში პოლიტიკურ ოპონენტებზე თავდასხმების ციკლი არ წყდება, რაც ზოგისთვის პირად ანგარიშსწორებად, სხვებისთვის კი **“ხალხის მიერ აღდგენილ სამართალთან”** არის გაიგივებული.

მაგრამ ფაქტია, რომ **“სამართლიანობის აღდგენის”** პროცესი გრძელდება, რაც ნაციონალებისაგან გატანჯული ხალხის დიდ მოწონებას იმსახურებს.

ვინ იქნება შემდეგი?

**ს. შიხაშვილი**

# მეგრული ენის დღის აღნიშვნისადმი

*(გაგრძელება მე-4 გვერდიდან)*

დიდი ისტორიული და კულტურული წარსულის მქონე დემოკრატიული აღმშენებლობის გზაზე შემდგარ საქართველოში დადგა დრო, როცა ანაქრონიზმად ქცეული ცივილური განვითარების ხელშემშლელი შეხედულებები უნდა უკუვაგდოთ სამუდამოდ. ხსენებულ ენებს აუცილებლად უნდა მიეცეთ თანაბარი განვითარების საშუალება, ნორმალური პირობები.

სახელმწიფოში უნდა შეიქმნას კომისია, რომელიც შეიმუშავებს პროექტს სამეგრელოს და სვანეთის სკოლებში მეგრული და სვანური ენის გაკვეთილების ჩასატარებლად. ამ ღონისძიების გატარებით საქართველოს დემოკრატიული აღმშენებლობა შეიმოსება დიდების გაცისკროვანებული შარავანდედით.

ბევრმა ჩვენთაგანმა ვიცით, რომ საფრანგეთში, ესპანეთში, გერმანიაში და ბევრ სხვა ქვეყნებში რეგიონალური ენები კანონიერ ფარგლებში ფუნქციონირებენ. მათ აქვთ თავიანთ ენებზე გაზეთები და კულტურულ ღონისძიებებსაც ატარებენ თავიანთ ენებზე. ეს ხელს უწყობს მათი სუბკულტურის განვითარებას და არა კვდომას. აღნიშნულ ფაქტებს ჩამოთვლილ ქვეყნებში სახელმწიფოსათვის საფრთხე არ შეუქმნია. მეტსაც მოგახსენებთ, სამხრეთ აფრიკის კავშირში თერთმეტი ხალხის ენაა და ყველას სახელმწიფო სტატუსი გააჩნია. ბოლივიაში ოცდაჩვიდმეტი ენაა და ყველას სახელმწიფოს სტატუსი აქვს მინიჭებული. ჩამოთვლას აღარ გავაგრძელებთ. ჩვენ გვინდა გამოვთქვათ მტკიცე რწმენა, რომ ქართული სახელმწიფო ქართველური ენების ღირსეულად მიხედვისათვის სათანადო გულისხმიერებას გამოიჩენს და ამით დიდ ცივილურ ნაბიჯს გადადგამს თვით ქართული ენის განმტკიცებისათვისაც. ჩვენს გამოსვლას დავამთავრებთ მეგრული ენისადმი მიძღვნილი ლექსით **„ჰიმნი მეგრულ ენას“**:

**ღმერთის და ადამიანის**
**გენიის ხელით ნაგები**
**სიტყვათა კონსტრუქციები**
**მეგრული ენით ნაგები.**

**პითაგორას ნააზრევს ჰგავს,**
**მოზაიკური გაწყობით**
**ბგერა და ფერთა ტონები**
**ქმნილი ღვთაებრივ განწყობით.**

**ქურუმ-მისტების ენაა,**
**კვებავდა ეზოთერია.**
**მისტერიებით ნაწრთობი**
**ხედავთ, რა ეგზომფერია.**

**მეგრული ენის ცოდნა კი**
**აუწონავი განძია.**
**ენათა იდუმალების**
**დასტურ გორდიას კვანძია.**

**თეომისტიკურ კულტურის,**
**საუფლო თეონიმების,**
**ამ ენისთვის ტაბუს ახსნა**
**იცოდე, ღმერთო, მინების.**

**არ არს დაფარული ხომ,**
**რაიცა არ გაცხადდების.**
**იწია ჟამმან ღმრთისაგან,**
**რაიც ვთქვათ, არ გაცხარდებით.**

**მედიტერანულ ხალხების**
**ლექსიკის მარგალიტები**
**კოლხურში დავანებულან**
**მეგრულად განაფილტრები.**

**კოლხებიდანაც მეზობლებს**
**რამდენი რამ აუღიათ.**
**სიფრთხილის მიზეზით მავანთ**
**სისწორე ვერ გაუგიათ.**

**ამდენ ღმერთს დღეს მზის ქვეშეთში**
**რომელ ენაში იხილავთ?**
**მათ სძინავთ მეგრულ ენაში,**
**ძველი დიდების ხიბლი აქვთ.**

**მურთაზ ჯანჯღავა**

# “ეს ძაღლიშვილები დადიან და მოქალაქეებს აშინებენ, ხმა არ ამოიღოთ უსამართლობებზეო”

მწერალი და უფლებადმაცველი ირაკლი კაკაბაძე ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენის პროცესში უმოქმედობასა და დამნაშავეთა მფარველობაში ადანაშაულებს:

**“აზრზე მოვიდეს ხელისუფლება! ახალაიების და მერაბიშვილის გზის გამგრძელებლები დღეს ზოგი რა მაღალ თანამდებობაზე მუშაობს, ზოგი რაზე. ისინი ამაყად თავაწეულები დადიან და აქეთ ჩვენ გვემუქრებიან. აი, ესენი გვემუქრებიან ყოველდღე! აი, ესენი იჭერენ რეზო თაბუკაშვილს და გიო მგელაძეს! აი, ესენი არიან რომ ხალხის სისხლით ვერ გაძღნენ! და ჩვენი ხელისუფლება ამათ ხელს აფარებს! სირცხვილი ამ ხელისუფლებას – მკვლელების და სადისტების ხელის დაფარება არის ჩვენი დღევანდელი ამქვეყნიური ჯოჯოხეთი! ამ ჯოჯოხეთში მარიხუანის მოხმარებისთვის და ნარკოტიკის მოხმარებისთვის იჭერენ და უპატიურებენ და მკვლელებს და სადისტებს თავუსუფლად აქვთ საშუალება რომ დაგვცინონ და ხალხი ისევ და ისევ გააუპატიურონ! გონს უნდა მოვიდეს ხელისუფლება! სახალხო აჯანყება მოხდება თუ ესენი არ დაისაჯნენ. ლევან კვარაცხელიები, რომეო საჯაიები, ირაკლი ზაქარეიშვილები და სხვა ნაბიჭვრები დაუსჯელად დადიან და გვემუქრებიან. მალე ქუდზე კაცი შევიკრიბებით სასამართლოსთან – და იქიდან წავალთ ამ ნაბიჭვრების ბუდეებში!**

**ეხლა ზუსტად ეს ხალხი დადის და რიგით მოქალაქეებს აშინებს: ხმა არ ამოიღოთ სანდრო გირგვლიანის მკვლელობაზე და სხვა უსამართლობებზე, თორემ იგივეს გიზამთო. კვარაცხელიამ ზუსტად ასე დამემუქრა. აგრეთვე “თავისუფალი ზონის” აქტივისტი ვიღაცა სალომე – მემუქრება, რომ ხელკეტით გაგაუპატიურებ და მერე მოგკლავო. და ამის მერე რეზიკოა დამნაშავე?! ამათ დედებს რა ვუთხარი მე..**

**აი, კიდევ ერთი ძაღლიშვილი – მკვლელების დამცველი და თვითონ მკვლელი – რომელიც დგას ასობით და ათასობით უდანაშაულო ადამიანის სისხლზე – ჰააგაშია ამათი ადგილი – ჩვენი სასამართლო ამათ ვერ უვლის – ჩვენ სასამართლო არ გვყავს პრაქტიკულად. ეს ძაღლიშვილი აქტიურობდა კიდევ პროცესზე. რომეო საჯაია ძაღლიშვილი, ონიანი ძაღლიშვილი და ასე შემდეგ. და მეორე სურათზე არის ის ლევან კვარაცხელია – რომელიც გვემუქრება მუდმივად – არა მხოლოდ ლაივში – არამედ ვირტუალურადაც.**

**ხელისუფლება უმოქმედოა. ეს არის ჩვენი ტრაგედია. ამათგან საქართველოს უნდა დაიცალოს”,**– წერს კაკაბაძე.

**საკ. ინფ.**





# გარყვნილებაზე გადაცვლილი ხალხის ნდობა

*ალგეთის მგლებად ავტეხეთ*
*თავისუფლების გნიასი,*
*ბოლოს გოშიად ვიქეცით*
*ამერიკელი ძიასი!*

საიდან დავიწყეთ და სად მივდივართ?! ამას უსუფაშვილი ძალიან შთამბეჭდავად განმარტავს: ან ისევ რუსეთში უნდა დავრჩეთ, ან ევროპაში წავიდეთო. რუსეთმა სექსუალური აღვირახსნილობა, გარყვნილება, გეი-აღლუმები და პედერასტების თარეში აკრძალა; წმინდა მართლმადიდებლობის ზნეობრივი და მორალური რწმენის ერთგული დარჩა. ევროპაში წასვლა კი მისი ანტიდისკრიმინაციული კანონით პედერასტობის გარყვნილებაში თავდაყირა გადაშვებას ნიშნავს. ჩვენ იმ ბრწყინვალე, სპეტაკი ზნეობის, ვაჟკაცობის, სინდისის და ნამუსის შარავანდედით შემკული წინაპრების შთამომავლებად ვითვლებით, ვინც ისტორიის ქარცეცხლში გამოატარა ქართველი ერის გაუსაძლისი ამქვეყნიურობა და მსოფლიოს ხალხთა საგანძურს ქართველობა ღვთისმშობლის კურთხეულ მარგალიტის სიამაყედ შეატოვა. ჩვენ აქ დავრჩებით, არსად არ წავალთ, პატიოსნად ქართული გენის სიამაყედ ვიცხოვრებთ. ვისაც უნდა მოვიდეს და პატივი სცეს ამ ღვთისნიერი ერის საამაყო ტრადიციებს და სპეტაკი ცხოვრების წესს.

დრო კი არ ჩერდება და მუდმივად არავის ანებივრებს. არცერთი თაობა არ ასცდება წინაპრად გადაქცევას და თავისი წინაპრების მკაცრი სამსჯავროს წინაშე ანგარიშის ჩაბარების პირუთვნელობის განცდას. ვის მოუწევს ანგარიშის ჩაბარება? ყველა ქართველს, დაწყებული შრომისგან ოფლში ნაწრთობი მიწის მუშით და დამთავრებული სახელმწიფოს საჭეს ჩაჭიდებული თუ მის მისაღწევად ყველაფრის მკადრებელი სულიერით. რაკიღა ამ უწმინდეს მიწაზე დაიბადე და კაცთმოყვარეობის შარავანდედით შემკული ზნეკეთილი და ზნემაღალი ქართველის სახელს ატარებ, მშობელი ხალხის სხეულის ღრღნას შეეშვი. იცოდე, ქართველთა მფარველი ღვთაების სუსხიან განაჩენს ვერსად წაუხვალ. მოსწყდი ქართულ მიწას, წადი, გაითქვიფე გარყვნილებაში და ნუ დაივიწყებ, რომ ქვეყნისა და ერის სირცხვილით მოევლინე ამქვეყნიურობას.

დღევანდელი პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ შვილს არ ასწავლის სამშობლოსათვის თავდადებას, ასწავლის, რომ პირადი ბედნიერებისათვის იბრძოლოს.

ყველა ქართველის ვალია თავისი შესაძლებლობის წილი სიყვარული და თავდადება უძღვნას სამშობლოს და მისი ერთიანობის ბურჯზე თავისი წილი აგური დადოს, თუ ეს არ ხელეწიფება, ნუ დაანგრევს მაინც.

რას უძლებს მრავალჭირგამოვლილი, მტაცებელთა მიერ დაგლეჯილი, დაკბენილი და გაძარცვული საქართველო?! ვერც წარსულში და ვერც ახლა ვერავითარი უცხოელი მტაცებელი ვერას დაგვაკლებდა, თუ არა კუჭის კარნახს აყოლილ, თანამდებობაზე დახარბებულ ყეყეჩთა ღალატი და ორპირობა. დრომ საუკუნეები გაახუნა და ჩვენც გვეგონა, რომ უამრავი სიბინძურე, რაც ადამიანში ჩასახლებულ ნადირს ახასიათებს, წარსულს ჩაბარდა.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლით ეროვნული მთავრობაც ავირჩიეთ, რომლისთვისაც ევროამერიკული ლაქუცი და მათ წინაშე მუცელზე ხოხვა უცხო იყო და ქართული თავმოყვარეობით იგერიებდა უცხოეთიდან შემოგდებულ, შენიღბულ მტაცებლებს. არც მიწები გაუყიდია და არც მთელი სახალხო მეურნეობა მოუსპია მეგობრისნიღბიანი მტრების რჩევით. ერთი წლისთავზე ცეცხლით და მახვილით დაამხეს. ახლა რომ ჰკითხო მათ, რა დააშავეს ამის ფასი, ვერაფერს გიპასუხებენ. სამაგიეროდ **"თეთრ მელად"** მონათლულ, ქართველთა უბედურებად მოზელილ არსებას მიართვეს ქვეყნის მართვის სადავეები, რომელმაც საქართველოს ხერხემალში გადატეხვა სამეგრელოს სისხლისმსმელი დამპყრობის დაუნდობელი დარბევით დაიწყო, რაც აფხაზეთის ქართველთა აწიოკებით დაამთავრა. მეანაბრეები გაძარცვა, მიწები და მთელი ქვეყნის სიმდიდრე გაანიავა და უამრავი მუხთლობით დამძიმებული ეს სოფლის მაოხარი გზირი კრწანისის რეზიდენციას შეეფარა. დაიშალა მისი **"მოქალაქეთა კავშირი"**, რომლის ნამსხვრევებზე, როგორც მედუზა გორგონას მოჭრილი თავის სისხლის წვეთებიდან, უამრავი ასპიტი პარტია გამოიჩეკა. ამათგან ყველაზე შხამიანმა **"ნაციონალურმა მოძრაობამ"** ხელისუფლების სადავეები ხელთ იგდო. შევარდნაძე კი მის მიერ ჩადენილი ცოდვების და ღალატთა მოლანდებებთან ძიძგილში კრწანისის რეზიდენციაში ლპება.

ცხრა წელიწადი ბრუნავდა სისხლიანი კოშმარის დოლაბებად ქართველთა თავზე **"ნაციონალური მოძრაობის"** განუკითხაობა, რომლის მიზანი საქართველოს დაშლა, დაქუცმაცება, მოსპობა და ქართველთა გადაშენება იყო.

რა ჩამოთვლის იმ უამრავ ბოროტებას, რაც ამ კრიმინალურმა ბანდამ დაატეხა თავს მრავალტანჯულ ქართველთა შაგრენის ტყავივით შემცირებულ სამშობლოს და თვითონ ქართველთა არსებობას. მოთმინების ფიალა გადაივსო; შორს აღარ იყო დრო ხალხის რისხვად აბობოქრებისა. მაგრამ გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც ხალხის რისხვა ნაციონალური ჭირის კანონიერი არჩევნებით დამხობისაკენ მიმართა. იოლი არ იყო ყველა არჩევნების გამყალბებელი, მოძალადე ბანდიტური ხელისუფლების ამ მეთოდით დამხობა, მაგრამ ხალხმა მოახდინა სასწაული და ნაციონალურმა უბედურებამ პირველი მძლავრი პანღური იგემა...

ხელისუფლებაში ქვეყნის ხსნის იმედად შექმნილი **"ქართული ოცნება"** მოვიდა, რომლის კოალიციაში ისეთი პარტიებიც გამოჩნდნენ, ხალხის უნდობლობით ნაციონალებს რომ არ ჩამოუვარდებოდნენ, მაგრამ ივანიშვილის ავტორიტეტს ყვავის ბახალებად შეფარებულნი ყრანტალის შესაფერის მომენტამდე ინახავდნენ.

რამხელა ბედნიერებაა ოცნების ახდენის მოლოდინი. ქართული ოცნება კი საქართველოს გამთლიანების და სამართლიანობის აღდგენის შედეგად ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებაა. ნაცბანდისათვის ჯეროვნად მიზღვის შედეგად აღდგებოდა სამართლიანობა, რასაც კარგად გრძნობდნენ თვითონ ნაციონალები და, ცხინვალის სისხლიანი ავანტიურის შემდეგ, მეორედ მოუწიათ გასაქცევად ბარგის შეკვრა, მაგრამ **"ქართულ ოცნებაში"** შებუდებულმა ყვავის ბახალებმა ახლა ამოიღეს ხმა, ნაცები უნდა შევინარჩუნოთო, ბრძანეს რესპუბლიკელებმა და მათ მხარი თავდაცვის მინისტრმაც აუბა, საქართველოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის მოთხოვნით რომ დაშოკა **ნატო** და გააკვირვა საქართველოს ხელისუფლება. ჯონჯოლის საკრეფად ტყეში გასული ქართველები ვერ დაუცავს და კოსმოსში რაკეტებს ეპოტინება. ჯერ ავღანეთში საზარბაზნე ხორცით გააოცა მსოფლიო; ახლა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში კაციჭამიებს უგზავნის ქართველ ვაჟკაცებს; ვინ იცის მომავალში სად გამოჩნდება ახალი მინოტავრი, რომ ევროატლანტიკურ ლაქუცს აყოლილმა მინისტრმა ქართველ მამულიშვილთა სიცოცხლით დააპუროს. ამერიკიდან კი ისეთი ჰონორით ჩამოვიდა, ეტყობა, მათი არმიის სერჟანტობა უკვე გაინაღდა და, თუ **მიშა-მეორეობაც** შეპირდნენ, მალე ვიხილავთ ამერიკული ქაშის მისაღებად **"კატილოკით"** მიშას შემდეგ რიგში მდგარს.

პარლამენტის თავმჯდომარემ კი ახალი ფრთოსანი სიტყვა აფრინა: **ნატო**-ში თუ არ შევალთ, საქართველო გაქრებაო. ამის გამგონე ევროპელმა ჭირისუფლებმა ცრემლის გუბეები დააყენეს. განსვენებული ჟვანიაც ევროპელებს აოცებდა თავისი ქათინაურებით: ქართველი ვარ, ესე იგი ევროპელი ვარო. უსუსურ ბარტყობას ვერ გასცდა ეს ნათქვამი და საქართველო ადგილიდან არ გატოკებულა.

სამაგიეროდ ახლა **"რესპუბლიკელები"** ითხოვენ ნატოობას. ბრძენი ქართველი ხალხი კი კარგად ხვდება, რომ ამათი **ნატო**-სკენ ვნებააშლილი ლტოლვა სხვა არაფერია, თუ არა ბავშვის მიერ ვიტრინაში დადებული სათამაშოს კაპრიზულად მოთხოვნა!

საქართველო კი **ნატო**-ს გარეშე ყველა შეუბრალებელი დამპყრობლის მოძალების დროსაც არსებობდა. მაგრამ არც არაბებს, სპარსელებს, მონღოლებს თუ სხვა მოძალადეებს არ უკადრებიათ ისეთი სიბინძურის დაკანონება **ნატო**-ა თუ ევროკავშირი, პედერასტების გაგულავებას რომ ითხოვენ.

**ნატო** კი ისე გაქრება, როგორც ყველა აგრესიული მოძალადე აგრესიული სამხედრო ბლოკი. ამ დასკვნას ყბამორღვეულ **ნატო**-ს მეხოტბე ტვინგამორეცხილთან სატელევიზიო ყბედობად ქცეული დავა სულაც არ სჭირდება. მიჰყევით **ნატო**-ს სისხლიანი ნაფეხურების კვალს, სადაც გაიარა და შეიჭრა ხოცვა-ჟლეტვას, ცრემლსა და გოდებას თავი ვეღარ დააღწია ამ ქვეყანამ.

ბოლოქანქარა რასმუსენის და საქართველოს უბედურება-პოლიტიკოსთა ურთიერთლაქუცი კი ისევ გრძელდება, მიუხედავად მისი სიყალბისა. რასმუსენის საქციელმა ზაქარას გოშია გამახსენა, ურემზე რომ ჰყავდა გამობმული. როცა გაჩერდებოდა, გოშია მის ჩრდილში წამოწვებოდა და ეგონა, რომ ურემი მას მიჰქონდა. რასმუსენსაც ჰგონია, რომ **ნატო**-ს ის მიაგორებს, თუმცა იუმორის გრძნობა არ აკლია, მოქეიფე საავგურე ცეხის უფროსივით, მუსიკოსებს ყოველ შეკვეთაზე ათას აგურს რომ ჰპირდებოდა. მეორე დღეს მუსიკოსებმა შეპირებული აგური მოსთხოვეს. მან კი უპასუხა: – თქვენ რომ უკრავდით მე მსიამოვნებდა, აგურს რომ გპირდებოდით ხომ გსიამოვნებათო. ამრიგად ბარიბარში ვართო. რასმუსენიც ამბობს, თქვენ რომ მელაქუცებით, მსიამოვნებს, მე რომ **ნატო**-ში მიღებას გპირდებით, ხომ გსიამოვნებთ და რაღა **აგურს** მთხოვთო.

ყველამ ვიცით, რომ **ნატო**-ში მიღება ისეთივე ბოდვაა, როგორც ერთსქესიანი ქორწინებით დემოკრატიის ზეიმი.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ქალბატონმა, ეტყობა, ინფორმაციის სამსახურიც კარგად შეითვისა დ მთავარ როლზე დამტკიცებული უნიჭო მსახიობის ღიმილით ისე გვამცნობს ჩვენს გაევროპელობაზე, იფიქრებ, ევროსაბჭო ისე გაქრება საქართველოს გარეშე, როგორც საქართველო უნატოოდო. ევროპა კი პედერასტების დროშას ახვევს თავს მოჯადოებულ მთავრობებს, რაც მალე იქცევა ხალხის რისხვად.

კიდევ კარგი, ინდულგენციებით თაღლითობის და ინკვიზიციის მძვინვარების დროს საქართველოზე დღევანდელი დონის ჯადო არ სჭრიდა, თორემ ეხლა ეს ცოდვებიც გვექნებოდა მოსანანიებელი. მართლმადიდებლობაზე შუღლი და მტრობა კი დღესაც არ განელებიათ. ქრისტეს საფლავის გამოსახსნელად შემართულმა ჯვაროსნებმა 1204 წელს მართლმადიდებელი სამყაროს ბურჯი კონსტანტინეპოლი რომ დააქციეს, ამისთვის ბოდიშის მოსახდელად სულაც არ შეწუხებულან. ახლა კი რუსეთის მტრობით ევროკავშირმა უკრაინას თავს რა უბედურებაც დაატეხა, ვერავითარი პროპაგანდისტული ნიღაბი ვეღარ დაფარავს მათ სატანის რქებით და ჩლიქებით შემოსილ დემოკრატიაზე ბოდვას.

დღეს კი რესპუბლიკელები იბრალებენ, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება ნაცებმაც კი ვერ გაბედეს და ჩვენ ვერაფერმა შეგვაჩერაო. ასე ხალხის ნების წინააღმდეგ თავხედობა სადაც გაიყვანთ, გაღმიდან გამოგვძახონ. არადა პარლამენტის სხდომებს იმდენს აცდენენ ეს ქვეყნის კანონმდებელი მამები, რომ თავის ნებაზე მიშვებული პირველკლასელი ბავშვიც არ იკადრებდა. სამაგიეროდ ტელეშოუებზე სოფლის აშაქარი დედაკაცებივით მათი ერთმანეთის ლანძღვა და პარლამენტში ცემა-ტყეპა იაპონურ მამლებს შეშურდებათ. დამშეული და გადაგდებული ხალხი ჯერჯერობით ფარეხის ცხვარივით შეჰყურებს მათ ძიძგილს, მაშინ, როცა პედერასტების აგულავების კანონის ურთიერთჩახუტებით და წარმოუდგენელი შეხმატკბილებით მიიღეს!

ნურც იმას დაივიწყებენ, რომ ცოდვიან შენობაში სხედან, სადაც სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნის ობელისკის დანგრევას ნაცებმა უცოდველი დედაშვილის სიცოცხლე შესწირეს. ყოველივე ამის შემდეგ ამ ცოდვით გაპოხილ შენობაში ისევ მათი უსირცხვილო ღავღავი ისმის, რაც ხალხს შეახსენებს, რომ რაკი ესენი არ ნიშნავენ პარლამენტის ვადამდელ არჩევნებს, თვითონ უნდა იზრუნოს ამაზე.

**"ქართულ ოცნებას"** კი დაავადებასავით შეყრიან ნაცისტებზე გულდამწვარი პარტიები. ახლა სასამართლოს თავისუფლებაზე იკვეხნიან, სადაც კუბლაშვილების დიქტატი მძვინვარებს. ერთი მოსამართლე არ მიუღიათ ნაციონალთა ფილტრში გავლის გარეშე. მოსამართლეების წინასწარი შერჩევის შემდეგ კონკურსით რომ აბითურებდნენ სხვა დანარჩენებს. გული კი იმაზე დაგწყდება, რომ მოსამართლეების შერჩევის წესს კვლავ კუბლაშვილის ნიღაბჩამოხეული თვითნებობა აგრძელებს.

რა შეიძლება ეწოდოს ემზარ კვიციანი პატიმრობაში აყვანას, თუ არა ნაციონალების პარპაში სასამართლოზე?! კაცმა ყველაზე მძიმე ჟამს შეინარჩუნა კოდორის ხეობა და აფხაზებთან ძმობის აღდგენის კარიბჭედ აქცია. რა აღწერს იმ ღალატთან წილნაყარ ნაციონალთა უამრავ თავხედობას, რაც მათ კოდორის ხეობაში ჩაიდინეს და ბოლოს ისე ჩამოგლიჯეს საქართველოს, რომ ეს ღალატი გმირობად ჩათვალეს. ემზარ კვიციანი კი სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადეს.

შეიცვალა სიტუაცია და კვიციანმაც ავ-კარგის გასარჩევად მიაკითხა ამათი ღალატით კიდევ უფრო შემცირებულ მრავალტანჯულ სამშობლოს. კუბლაშვილის სასამართლომ კი პატიმრობაში აიყვანა და უამრავი ავტორიტეტული ადამიანის შუამდგომლობაც კი არ გაითვალისწინა. მე პირადად არ ვიცნობ კვიციანს და არც ქალბატონ ნორას, მაგრამ არც ცოტნე დადიანს, მღვდელ თევდორეს, მაია წყნეთელს და სხვა უამრავ სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილს ვიცნობდი, ასე რომ ეთაყვანება მათ ხსოვნას მადლიერი ქართველი ხალხი. ემზარ კვიციანი და ქალბატონი ნორა ქართველი ხალხის ღირსეული შვილები არიან, ქვეყნის მოღალატე ნაციონალთა სასამართლოს კი დღესაც ვერ შეუგნია, რომ ხალხი არც ისე გულმავიწყია, როგორიც მათ ეჩვენებათ.

ნურავის დაავიწყდება, რა სისხლიანი ძალადობის განუკითხაობა დათარეშობდა ნაციონალთა სახით, რომლისგან დაცული არავინ იყო. განა ვლადიმერ ბედუკაძის მიერ ამათი საარაკო კაცთმოძულების ჯერ არნახული საქციელის მხილება ხალხისათვის და ქვეყნისათვის თავდადების ტოლფასი არ იყო? თუ არა ბედუკაძის მიერ გამოქვეყნებული მხეცობის ფაქტები, ნაციონალთა დამხობა შეიძლება საეჭვო გამხდარიყო. მას კი დასაკბენად დღესაც უღრენენ ნაციონალები. მისი თავდადება იმის გარანტიაა, რომ ყველა ქვეყნის მაოხარს აუცილებლად გამოუჩნდება ბედუკაძის მსგავსი მათი ავკცობის მამხილებელი მამულიშვილი.

ციხეებში დატრიალებულ კოშმარზე ბევრი არის ცნობილი, მე კი ერთი ყოფილი პატიმრის მიერ მოყოლილი უამრავი მხეცობიდან ერთს გავიხსენებ: რვაკაციან საკანში ოცდაათი კაცი ძლივს სუნთქავდა. ერთს გული გაუხდა ცუდად, იღრჩობოდა. ზედამხედველებს ეს რომ აცნობონ, შემოცვივდებიან, მომაკვდავს გაიყვანენ და დანარჩენებს კი ცემით მიასიკვდილებენ. იქნებ მოითმინოს, თორემ ჩვენ ცემით ძვალ-ხორცს გაგვიერთიანებენ, წამოსცდა ერთს. კაცი კვდება, გაიყვანონ, ცემას უნდა გავუძლოთ, ერთხმად გადაწყვიტეს; ასე ცდილობდნენ ადამიანში ადამიანობის დაჩლუნგებას!

კახელ ტრაქტორისტ ბიჭს ცემით ლამის სული ამოხადეს, ქურდებს შეაგინეო. ის კი გაჯიუტდა და არ შეაგინა, შედეგად ცოცხალ-მკვდარი შეუგდიათ რომელიღაც საკანში. ეს ქურდებს რომ გაუგიათ, ბიჭის თავიანთ საკანში გადაყვანა მოუხერხებიათ. უკითხიათ, რაზე გცემდნენო. იმან არ იცოდა ვისთან იყო. რა ვიცი, მაძალებდნენ, ქურდებს შეაგინეო. პრინციპის საქმეა, თორემ ქურდების დედაცო... ქურდები სიცილით გადაფიჩინებულან, რამეთუ ამ ნაცისტებივით მანიაკალური კაცთმოძულეები არ ყოფილან.

ხალხი კი გაჭირვებასთან ჭიდილს აგებს და იმედის სხივის კიაფიც ჩაქრობაზეა. გოგია უიშვილის ამბავი გვიკვირდა. ახლა კი იმაზე უარეს უბედურებას განვიცდით. როგორ სასოწარკვეთამდე უნდა მივიდეს ოჯახის მამა, რომ თავი მოიკლას, რათა მის დასაკრძალავად შეგროვილი ფულით შვილს ოპერაცია გაუკეთონ.

ამგვარი საზარელი თვითმკვლელობის გამო ქვეყანაში გლოვა უნდა გამოცხადებულიყო, რამეთუ უარეს გაუსაძლის ყოფაში ათასობით ოჯახია. ამათი მინისტრები კი ტელევიზორის ეკრანიდან კოპწიაობენ და ტაკიმასხარას შოუებზე ღადაობით სიცილით იჭაჭებიან. ახლა ნახეთ, რა გულუხვად იღებენ უზარმაზარ პრემიებს, აღარაფერი რომ ვთქვათ ხელფასებზე. თუ გინდა, რომ ხალხი გენდობოდეს, მისი ცხოვრებით უნდა იცხოვრო და იმ ჰაერით ისუნთქო, რომლითაც მრავალჭირნახული ქართველი ერის სუნთქავს. ილუზიებს ნუ გამოეკიდებით და მოხვეჭის მურტალ ბაცილას ნუ ეფერებით, თორემ ხალხის ხელშეწყობით აფრენილებს ისევ ხალხთან მოგიწევთ დაფრენა და ქვეყნის ბიუჯეტის ბებიას სკივრიდან მოპარულ ჩურჩხელასავით მოხმარება ყურების აწევასთან მიგიყვანთ.

ფრთხილად, ბიძიკოებო! ვიღაცა გადამთიელების ჭირვეულ მოთხოვნებს ქართველი ხალხის ინტერესებს ნუ ანაცვალებთ, თორემ ხალხის ნდობის დაკარგვას იმავე ხალხის რისხვად გადაქცევა ახლავს.

**ბივი სომხიშვილი,**
**მწერალი, დავით აღმაშენებლის პრემიის ლაურეატი, აკადემია "აია"-ს ნამდვილი წევრი.**

# არ მიირთვათ ეს! აკრძალული პროდუქტების სია

ერთ-ერთმა რუსულმა პორტალმა გამოაქვეყნა იმ მავნე პროდუქტების სია, რომელთა გამოყენებაც კატეგორიულად იკრძალება და რომლებიც ძალიან საშიშია ჯანმრთელობისთვის. ინტერნეტ-მომხმარებელი კი აღშფოთებული კითხულობს ამას და უჩნდება კითხვა, დარჩა რამე, რისი ჭამაც შეიძლება? მაშ ასე, მავნებელი პროდუქტების სია ასე გამოიყურება: არ შეიძლება იმ პროდუქტების მიღება, რომლებშიც დამატებულია – 621 (გლუტამატის ნატრიუმი). აიღეთ პროდუქტი და შეფუთვაზე წაიკითხეთ, თუ მითითებული აქვს გლუტამატის ნატრიუმი, ნუ შეიძენთ მას საერთოდ. ეს გახლავთ გემოს გამაძლიერებელი და მას ყველაზე მოულოდნელ პროდუქტებშიც ამატებენ, რათა მასზე, ასე ვთქვათ, **"შესვან"** მომხმარებელი. ასე რომ, ყურადღებით იყავით!

### შაქრის შემცვლელები

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი შაქრის შემცვლელი არ შეიცავს კალორიებს და ის ძალიან ეკონომიურია (ერთი კონტეინერი 6-12 კგ შაქარს უდრის), მას ბრმად ნუ ენდობით. აღმოჩნდა, რომ ტკბილის გემოს შეგრძნებისას ჩვენი საჭმლის გადამამუშავებელი სისტემა ფიქრობს, რომ მიიღებს ნახშირწყლების ულუფასაც, თუმცა მას ვერ იღებს. ამ **"ტყუილის"** შედეგად ნებისმიერი ნახშირწყლები, რომლებიც ორგანიზმში ხვდება 24 საათის განმავლობაში, შიმშილის ძლიერ გრძნობას იწვევს. ამიტომაც ნუ გამოიყენებთ შაქრის შემცვლელებს.

### ტრანს-ცხიმები

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება 72,5%-იანი კარაქის მიღება. ეს გახლავთ დაბალი ხარისხის ცხიმი, რომელიც გაჯერებულია წყალბადით.

### ნაკლებმარილიანი ქაშაყი პლასტიკატის შეფუთვაში

ნაკლებმარილიანი ქაშაყი მხოლოდ ზეთში ინახება და არანაირად ძმარსა თუ ღვინოში. თუ ქაშაყი ზეთის გარეშეა, ესე იგი, მასში უროტროპინია დამატებული.

### ნაკლებმარილიანი წითელი ხიზილალა

პრინციპი იგივეა. წითელი ხიზილალა დიდხანს არ ინახება, მხოლოდ გაყინული სახით ან ძალიან დამარილებული ძლებს ის დიდხანს. თუ ნაკლებმარილიანი ხიზილალა შეგხვდათ, იცოდეთ, რომ მასში დამატებულია ან უროტროპინი, ან ლიმონმჟავა.

**გენმოდიფიცირებული პროდუქტები:**

*1. არაქისი. შეიცავს ძალიან საშიშ, მომწამლავ ნივთიერებას. არაქისს მწერებიც კი არ ჭამენ.*

*2. დაკონსერვებული მწვანე ბარდა.*

*3. დაკონსერვებული სიმინდი.*

*4. უცხოეთიდან შემოტანილი კარტოფილი.*

*5. კიბორჩხალის ჩხირები (მასში კიბორჩხალის ესენციაა შერეული სოიოსთან).*

*6. კაკაო.*

### სიმინდის ბურბუშელა და მიუსლები შაქრით

თუ გადაწყვიტეთ სიმინდის ბურბუშელას და მიუსლის ყიდვა, შეიძინეთ არატკბილი, რადგან შაქარი მათ წარმოებაში არ გამოიყენება. შაქარი 140 გრადუს ტემპერატურაზე იწვის. ამიტომაც მათი დამზადებისას გამოიყენება შაქრის შემცვლელები, ამ შემთხვევაში ციკლომატი.

### ფაფები და ბურღული არომატიზატორებით

საღებავი და ქიმიური ნივთიერებებით, რომლებსაც სუნი და გემო ნამდვილი მსხლის, მარწყვის, ბანანისა და ა.შ. აქვს, სინამდვილეში ისინი ხელოვნურია და ნატურალურთან ახლოსაც არ არის.

### შაქარყინული, კოწახურის კანფეტები

ამ კანფეტებში იმდენად ძლიერი ქიმიური ესენცია გამოიყენება, რომ თუ თქვენ ოდნავ დასველებულ კანფეტს სუფრაზე დადებთ და ცოტა ხანს ასე გააჩერებთ, ნახავთ, რომ ის გახვრეტს ქსოვილს. წარმოიდგინეთ, რა ემართება თქვენს ორგანიზმს, როცა მას ჭამთ.

### მარმელადი

დღევანდელ მარმელადს არაფერი აქვს საერთო საბჭოთა კავშირის დროინდელ ტკბილეულთან. ეს ქიმიური წარმოების საოცრებაა და ძალიან საშიში.

### ჯემები

შეიცავს უძლიერეს ანტიმჟავებს. სხვანაირად ვერ შეძლებდნენ შეენახათ, მაგალითად, ალუბალი ასე პირველქმნილად.

### ფასტ-ფუდის შემწვარი კარტოფილი

თანამედროვე წარმოებაში გამოიყენება ისეთი ანტიმჟავები, რომლებიც კარტოფილს მთელი წელი ინახავს ისე, რომ ის არ შავდება.

### მოხარშული ძეხვეული

ისინი გენმოდიფიცირებული სოიისგან მზადდება. სოსისები, სარდელები, მოხარშული ძეხვი, პაშტეტი და სხვა პროდუქტები შეიცავს ე.წ. ფარულ ცხიმებს. მათ შემადგენლობაში შედის სალა, ღორის კანი, ბადექონის ცხიმი, რომლებიც სხვადასხვა ქიმიური საშუალებით გარდაქმნილია ხორცად, როგორც გარეგნულად, ასევე გემოთი.

### ლორი

რა ნატურალურობაზეა აქ საერთოდ საუბარი. იღებენ თხელ ნაჭერ ხორცს და კილოგრამ ჟელეს. სპეციალურ მანქანაში ჟელე ხორცის ნაჭრებს შეერევა და ერთ უზარმაზარ"ხორცის" ნაჭრად გადაიქცევა. როგორც ასეთი, ხორცი მასში მხოლოდ 5%-ია. დანარჩენი – ჟელე, რომელიც თავის მხრივ, შეიცავს კარატინინს, გემოსა და ფერის გამაძლიერებლებს.

### რძის პროდუქტები დიდი შენახვის ვადით (2 თვეზე მეტი)

ყველა იმ პროდუქტის მოხმარება, რასაც 2 კვირაზე მეტი შენახვის ვადა აქვს, არ შეიძლება. ასეპტიკური შეფუთვა – ეს არის შეფუთვა ანტიბიოტიკებით.

### მაიონეზი პლასტიკატის შეფუთვაში

ძმარი, რომელსაც მაიონეზი შეიცავს, პლასტიკატის შეფუთვიდან კანცეროგენებს ითვისებს. პლასტიკატის შეფუთვებში მხოლოდ ნეიტრალური პროდუქტების შენახვა შეიძლება.

### ყურძენი, რომელიც არ ფუჭდება

თუ ყურძენი დიდი ხანი ქორფად გამოიყურება და არ ჭკნება, ე.ი. ის ქლოროფილითა და სხვა სერიოზული ანტიმჟავებით არის დამუშავებული.

### წიწაკა (არასეზონურად)

აბსოლუტურად გენო-მოდიფიცირებული პროდუქტია. ის ზომიერად უნდა მიიღონ ადამიანებმა, რომელთაც აწუხებთ კუჭ-ნაწლავის ანთებითი დაავადებები, ჰიპერტონია, გულის იშემიური დაავადება, ჰემოროი, უძილობა, ფსიქიკური მოშლილობა, ეპილეფსია, თირკმლის სხვადასხვა დაავადება. წიწაკა შედის იმ პროდუქტების ათეულში, რომლებიც შეიცავს აზოტსა და პესტიციდებს. და თუნდაც ერთი ასეთი წიწაკის მიღებამ, შესაძლოა, ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები შეგიქმნათ. ამიტომაც ეცადეთ, წიწაკა მხოლოდ სეზონზე შეიძინოთ, მხოლოდ და მხოლოდ ზაფხულში.

### საფუვრიანი, თეთრი პური

საფუვრიანი პურის მიღებისას იცოდეთ, რომ თქვენ პურს კი არა, სოკოს ჭამთ. უპირატესობა ჭვავის პურს მიანიჭეთ. რაფინირებული, თეთრი, უმაღლესი ხარისხის ფქვილი, როგორც სხვა რაფინირებული პროდუქტები, შედის მავნებელ ნივთიერებათა ტოპ-ჩამონათვალში.

### კურაგა, შავი ქლიავი, ქიშმიში

თუ დაინახეთ, რომ დახლზე კურაგა და ქიშმიში ლამაზად გამოიყურება, დაფიქრდით, როგორ შეინახეს ასე კარგად ისინი. ბუნებრივად დაჩირებული გარგარი ასეთი ლამაზი შესახედაობის არ არის.

### ნაყინი

განსაკუთრებით, სპეციალურ ნაყინის კაფეებში, შეუძლებელია მომზადებული იყოს რძისგან. ხილის ნაყინებში ხომ ნატურალური საერთოდ არაფერია.

### კექსები და რულეტები შეფუთვებში

ისინი არ ხმება, არ ფუჭდება და საერთოდაც, არაფერი ემართება. ერთი თვე ასე, პირვანდელი სახით იდება დახლზე.

### შოკოლადები

შოკოლადების 90%-ს არაფერი აქვს საერთო ნამდვილ შოკოლადთან. შოკოლადის ბატონები – ეს გახლავთ დიდი რაოდენობით კალორიებს დამატებული ქიმიური ნივთიერებები, გენეტიკური მოდიფიცირებული პროდუქტები, საღებავი ნივთიერებები და სხვა არომატიზატორები. შაქრის დიდი შემცველობა, პლუს ქიმიური დანამატები, მაღალ კალორიულობას უწყობს ხელს და იმას, რომ გინდოდეთ მისი შეჭმა კვლავ და კვლავ.

### ქათამი

განსაკუთრებით, მამაკაცებისთვის არ შეიძლება, რადგან გაყინული ქათმები ჰორმონებზეა გაზრდილი. ქათამი გაჯერებულია 6 ქალური ჰორმონით, მათ შორის, პროგესტერონით. ამიტომაც, თუ მამაკაცი ასე გაჯერებულ ქათამს მიირთმევს, მას ბუნებრივად დაეცემა ტესტოსტერონი იმ ზღვრამდე, რომლიდანაც აღდგენა შემდეგ შეუძლებელია. ცხვარი ერთადერთი ცხოველია, რომელიც არაფრით არ შეჭამს ჰორმონს. მიირთვით ხორცი არაკომერციული ხაზიდან. ქათამი კი – ყველაზე კომერციული პროდუქტია!

### მდნარი ყველი

მყარი ყველის სახეობებისგან განსხვავებით, მდნარი ყველი მეტ ნატრიუმს შეიცავს, რაც მას არასასურველ პროდუქტად აქცევს იმ ადამიანებისთვის, რომელთაც აწუხებთ ჰიპერტონია და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები.

### ხსნადი ყავა

მამაკაცებისთვის კატეგორიულად არ შეიძლება! ჰორმონალური ჯირკვლების სრულ დეფორმაციას იწვევს.

### არომატიზებული ჩაი

სვით ნატურალური ჩაი, რომელსაც არანაირი დამატებითი გემო არ აქვს. ყველა არომატიზებულ ჩაის დამატებული აქვს ან ლიმონის, ან ფორთოხლის, ან სხვა ხილის მჟავა. იწვევს შეჩვევას მომენტალურად.

### რაფინირებული ზეთი

რაფინირებული ზეთის მიღება არ შეიძლება, ის მოლეკულური სტრუქტურით თითქმის საერთოდ არ განსხვავდება პლასტიკატისგან. სწორედ ასეთ სტრუქტურას იღებს ზეთი რაფინირების დროს, ძლიერი გაცხელებისას. ის შლაკებით ავსებს ორგანიზმს და ძლიერ კანცეროგენად ითვლება. ამ მიზეზითვე არ შეიძლება ორჯერ ერთი და იგივე ცხიმში (გარდა ზეითუნის ზეთის) პროდუქტის შეწვა. რაფინირებული ზეთის გამოყენება არ შეიძლება უმად სალათებში.

### კეტჩუპი, სხვადასხვა სოუსი და სანელებლები

მასში დიდი რაოდენობით საღებავები, გემოს შემცვლელები და კონსერვანტებია, რაც არღვევს კუჭ-ნაწლავის მიკროფლორას და ორგანიზმში სასარგებლო მიკრობებს ანადგურებს.

### კარტოფილის ჩიფსები

კარტოფილის ჩიფსები მზადდება არა მთელი კარტოფილისგან, არამედ მისი პიურესგან. არსებითად კი, ეს გახლავთ ნახშირწყლების, ცხიმების და ხელოვნური გემოს დანამატების ერთობლიობა.

### სწრაფად მოსამზადებელი პროდუქტები

ყოველგვარი ხსნადი სუპი, კარტოფილის პიურეები, წვენის ფხვნილები – ცარიელი ქიმიაა, რომელიც საშინელ ზიანს აყენებს ორგანიზმს.

### ალკოჰოლი

მინიმალური რაოდენობითაც კი ხელს უშლის ორგანიზმის მიერ სასარგებლო ვიტამინების შეთვისებას. გარდა ამისა, ალკოჰოლი ძალიან კალორიულია. ღვიძლზე, თირკმელსა და სხვა ორგანოებზე მისი მოქმედების შესახებ ხომ ისედაც გეცოდინებათ. და ნუ დაეყრდნობით იმ მოსაზრებას, რომ თითქოს ალკოჰოლის მცირე რაოდენობა სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის. ძალიან იშვიათად და უმცირესი დოზებით – ეს გახლავთ ალკოჰოლის მოხმარების დაშვებული ზღვარი.

### ტკბილი გაზიანი სასმელები

ტკბილი, გაზიანი სასმელები – ეს არის შაქრის, ქიმიისა და გაზების ერთობლიობა. ეს ყველაფერი კი ხელს უწყობს მავნე ნივთიერებების ორგანიზმში მოხვედრას. ამასთან, გაზიანი სასმელები დიდი რაოდენობით შაქარს შეიცავს, ეკვივალენტით – 5 ჩაის კოვზი ერთ ჭიქა წყალში. ამიტომაც ნუ გაგიკვირდებათ, როცა ის წყურვილს არ გიკლავთ.

### მარწყვი ზამთარში

ზამთრის მარწყვი – აბსოლუტურად არასასარგებლო პროდუქტია. არცერთ ვიტამინს ის არ შეიცავს.

### წვენები ქაღალდის პაკეტებში

არანაირ ნატურალურ წვენზე აქ ლაპარაკი არ არის. ნუ დაალევინებთ მათ ბავშვებს! ეს არის სუფთა ქიმია!

---

**დავით ქითანავა**

## პოემა გვანჯი ჩიქოვანზე

მაშინ კოწია დაღონდა, ფერი ედო მეტად ბაცი,
სურდა, რომ გადაერჩინა მისთვის განწირული კაცი,
ხალხი ფეხზე დააყენა, იწყეს სჯა და ფუცი-ფაცი,
მაგრამ გვანჯი ვერ დაიხსნეს, ბედისგან შორს განატაცი.
ირკუტსკ-ქალაქს გადახვეწეს, საქმე უქნეს არსაქნელი,
სიძნელე არ აშინებდა, ჯანზე იყო მეტად მრთელი,
მომშვილდულს და ბეჭგანიერს ლერწამივით ჰქონდა წელი,
კაცი, ნახვით ვერ ძღებოდა, ქალი იყო „დასაბმელი".
ქუჩაში რომ სეირნობდა, მზეთუნახავს ჰკიდა თვალი,
გულმა უგრძნო, წინ რომ ედგა მისი ბედის მომავალი.
სიყვარულმა აგრძნობინა მისი ჯადოსნური ძალი,
ასე გახდა გვანჯის ცოლი ნადიუშა – რუსის ქალი.
ძველი თავადიშვილია, დიდი გვანჯი ჩიქოვანი,
მასზე ლექსი რომ დავწერო, თავი ვალდებულად ვცანი,
დაბადებით დაენათლა არამხუტუს სიგრძე-განი,
ჭკუა, გონება და სიბრძნე შესაფერი, შესაგვანი.
მის საქმეთა აღწერაში მინდა მქონდეს მცირე წვლილი,
კიდეც ვწერ და კიდეც ვამბობ — მაინც არ ვარ კმაყოფილი.
მტრისას, გვანჯის გიდის გამო ჭირი რომ აქვს გადახდილი.
თუმცა გიდის დისწულია, მისი ხელით გამოზრდილი.
გაუმართლა კიდეც გვანჯიმ, იმედი რომ ჰქონდა დიდი,
რუსები რომ თავს დაესხნენ, ალექსისთან იწვა გიდი,
ხალხი რომ არ დაეხოცა, გაცლა ამჯობინა მშვიდი,
გადასძახა: – **„რას მერჩითო!"** და ფანჯრიდან ტყეში მიდის.
მაშინ გვანჯიმ საქმე რომ ქნა, საარაკო, საქებარი,
ჩაფრებს რომ არ ჩავარდნოდა გიდის ცხენ-ხმალ სატევარი,
გაქუსლა და თან წაიღო, მისდევს მდევარ-მაძებარი,
აუტეხეს ბათქა-ბუთქი, მაგრამ გაქრა როგორც ქარი.
ორთავ, ბიძა და დისწული, კოწიასთან დაიმალა,
გაუგეს და შემოერტყნენ, თავს დაესხა შავი ძალა,
გიდი დადგა როგორც ჯიხა, უკვე აღარ გაეცალა,
ურიადნიკი ჩააძაღლა, თვით სისხლისგან დაიცალა.
როცა სახლში შემოცვივდნენ, მარტო გვანჯი შერჩათ ხელში.
გათოკეს და **„დააყუდეს"** წასაყვანად მოსაცდელში,
სად არისო ბიძაშენი, წაუჭირეს ხელი ყელში,
ქვეშაგები გადაქექეს, დაძვრებოდნენ ყველა ხვრელში.
ეზოში რომ გამოვიდნენ, მოლზე ნახეს გიდის კვალი,
გამოუდგნენ, მაგრამ უცებ ყველა გახდა შესაბრალი,
გიდიმ სროლა რომ ატეხა და გაუხსნა ცეცხლის ალი,
ყველა მტვერში აგორავა, მიწით ამოუვსო თვალი.
მტერს შეაკვდა, მაგრამ უფროსს ჩააბეჭდა გულში ტყვია,
და შიშისგან გათანგული სტრაჟნიკები მტვერში ყრია.
გვანჯი როგორ გაეპარათ აღარავის შეუტყვია,
მან შეიხსნა ბორკილები და ტყისაკენ გაუტია.
რომ წამოდგნენ რეტდასხმულნი, ვეღარ იცნეს ერთმანეთი.
გვანჯის გამოუდგნენ, მაგრამ მას სწყალობდა მისი ღმერთი.
მის ძებნაში დაეკარგათ დღედაღამე არა ერთი,
დღეს სვანეთში თუ დაქროდა, ხვალ ელოდა აფხაზეთი.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ვახტანგ კეკელია – ეროვნული ცნობიერების საზოგადო მოღვაწე!

უმძიმესი აღმოჩნდა ბოლო ოცდახუთი წელი ჩვენი ერისთვის. განსაკუთრებულად მძიმე იყო ის აფხაზეთის ქართული მოსახლეობისათვის. დაიღუპა უამრავი ადამიანი, ბევრი გაუბედურდა... ზოგმა ვერ გაუძლო უმძიმეს წნეხს და, სამწუხაროდ, პიროვნულად დეგრადირდა კიდეც... შეუძლებელია ამას ხედავდე და ადამიანს გული არ გეტკინოს. საბედნიეროდ, არიან ადამიანები, რომლებმაც გაუძლეს კატაკლიზმებს და პირიქით, სულიერად გამოიწრთნენ, გაკაჟდნენ და ჯიუტად ადგანან ცხოვრებაში ერთხელ არჩეულ გზას! გზას, რომელსაც ქვეყნის, ერის სამსახური ჰქვია! მშობლიური კუთხის, ქალაქის, სოფლის სამსახური ჰქვია!.. ნამდვილად მეამაყება, რომ ერთ-ერთი ასეთი პიროვნებაა ჩემი ძველი მეგობარი, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ბატონი ვახტანგ კეკელია! უამრავ ღირსეულ ადამიანს შევხვედრივარ ცხოვრებაში და ერთერთი მათ შორის უდაოდ ვახტანგია! თამამად ვიტყვი – ის არის თხემით ტერფამდე პატრიოტი, ეროვნულ-ტრადიციული ცნობიერების, უწესიერესი და უაღრესად შრომისმოყვარე საზოგადო მოღვაწე! ის არის კაცი, რომელიც ვერ გატეხა უმძიმესმა ოჯახურმა ტრაგედიამაც... მე პირადად, ყოველთვის მაოცებდა მისი სულის სიძლიერე... ისე ნუ გამიგებს ნურავინ, რომ მიკერძოებული ვარ მეგობრისადმი. არა! თუ ადამიანი ღირსეულია და ამასთან ერთად მეგობარიცაა, მითუმეტეს ვალდებული ხარ დამსახურებისამებრ მიაგო მას... თანადგომა ყველას გვჭირდება! ჰოდა, მეც ქვეყნის გასაგონად ვამბობ – ვახტანგ კეკელია, რომელიც დღესაც დაუღალავად იღვწის თავისი სამშობლოს, კუთხის, რაიონის სასიკეთოდ – ნამდვილად ღირსია მშობლიური სოფლის მოსახლეობამაც დააფასოს, უფრო სწორად, აღჭურვოს ისეთი უფლებამოსილებით, რაც მისცემს მას შესაძლებლობას უფრო ეფექტურად მოახმაროს ხალხის საკეთილდღეო საქმეს საკუთარი პოტენციალი. რა თქმა უნდა, ეს ხალხის გადასაწყვეტია! რასაკვირველია, სოფელმა უნდა გააკეთოს შეუმცდარი არჩევანი! ცხადია, არჩევანში ყველანი თავისუფალნი ვართ! მაგრამ, ჩემი უმორჩილესი თხოვნაა, როცა საარჩევნო ყუთთან მივალთ – მივიდეთ იქ კარგად მოფიქრებული და აწონილ-დაწონილი გადაწყვეტილებით.

**ზურაბ კვარაცხელია,**
**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარე**

# აბაშის ღირსეული დეპუტატი!

გამეხარდა, როცა შევიტყვე ბატონ ვახტანგ კეკელიას, ზვიადისა და მერაბის ერთგული თანამებრძოლის, ეროვნული მოძრაობის პატრიარქის გადაწყვეტილება დამოუკიდებელ კანდიდატად კენჭი იყაროს აბაშაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებზე.

გამეხარდა იმიტომ, რომ მისი განვლილი ცხოვრების გზა არის მშობლიური ერის უანგარო მსახურება, რომ მისი მრწამსი, მისი ზნეობა ჭეშმარიტი ქართველი კაცის ზნეობაა და მრწამსია, რომ მისი მოღვაწეობა აფხაზეთში აფხაზთა და ქართველთა ისტორიული ძმობისა და მეგობრობის თვალსაჩინოებაა!

აი, ამგვარი პიროვნული თვისებების მქონე, ამგვარი ცხოვრებისეული გამოცდილების დეპუტატი შესძლებს აფხაზებთან ჩატეხილი ხიდის აღდგენას, მოღალატე ხელისუფალთა მიერ ხელოვნურად შექმნილი პრობლემების დაძლევას, გულგატეხილობის, ეროვნული ნიჰილიზმის გაქარწყლებას...

ამგვარი დეპუტატი არ დაუშვებს მიწების უცხოელებზე გასხვისებას, ხელს შეუწყობს მეგრელი კაცის ოდაბადეს აყვავებას, სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვას... და, რაც მთავარია წინ აღუდგება ჩვენ ტრადიციებთან, ცხოვრების წესთან, ცნობიერებასთან მებრძოლი ლეგიონის მცდელობას გადაგვაქციონ კონჩიტებად და გადაგვჩეხონ უზნეობის ჯოჯოხეთურ უფსკრულში!

დიდია ბატონ ვახტანგ კეკელიას პირადი ღვაწლი ეროვნული მოძრაობის ფლაგმანის **„ჰელსინკის კავშირისა“** და საარჩევნო ბლოკ **„მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“** იდეების გავრცელებაში, მათ ორგანიზაციულ საქმიანობაში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, ანუ 28 ოქტომბრის არჩევნებზე ეროვნული ძალების გამარჯვებაში...

ძვირფასო აბაშელებო, მე მჯერა თქვენი, რომ მხარში ამოუდგებით უღალატო კაცს და მასთან ერთად შესძლებთ არსებული საჭირბოროტო პრობლემების მოგვარებას!

**თენგიზ კუბლაშვილი,**
**უზენაესი საბჭოს დეპუტატი**

# სამარადისო ხსოვნა და დიდება გმირებს!




მიმდინარე წლის 9 მაისს, ამაღლებულ და სადღესასწაულო ატმოსფეროში წარიმართა პირველი ტრადიციული ტურნირი ნარდში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ქალაქ ოჩამჩირის მკვიდრთა კავშირ **“ერთობა”-**ს წევრთა შორის, რომელიც ეძღვნებოდა ლეგენდარული გმირის, სახელოვანი თანამემამულის მელიტონ ქანთარიას ხსოვნას, რომელმაც თავის თანამებრძოლ მიხეილ ეგოროვთან ერთად, 1945 წლის 9 მაისს, აღმართა რაიხსტაგის შენობის გუმბათზე გამარჯვების დროშა.

მანამდე, საბჭოთა კავშირში, **“ერთობა”-**ს მიერ მსგავსი ტურნირები ტარდებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად, ხოლო მიმდინარე წლიდან საფუძველი ჩაეყარა ამგვარ ღონისძიებებს.

სულ ტურნირში მონაწილეობდა 32 ადამიანი, რომელთა შორის იყვნენ სხვადასხვა პროფესიულ სფეროში წარჩინებულები, მათ შორის ჯანდაცვის, კულტურისა, სპორტის, მრეწველობისა და სხვა დარგებში დასაქმებულები. ტურნირში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვიდან ჩამოვიდნენ ლორენცო შარანგია, თამაზ ჩიქობავა, იური დოჩია, ვოვა უბირია, როლანდ ჯობავა, დიმიტრი ჭანტურია, ზუგდიდიდან – ჭიჭიკო ბარამია, ქუთაისიდან – თემურ ძაგანია და დათო ნორაკიძე.

მონაწილეები ღია კენჭისყრით განითესნენ წყვილებად. ტურნირში გაიმარჯვა გია შანავამ, რომელსაც გადაეცა მელიტონ ქანთარიას სახელობის გარდამავალი თასი, პირველი ხარისხის დიპლომი, სპეციალური მედალი და ფასიანი ჯილდო, მეორე ადგილზე გასულ რაულ ჯანაშიას კი გადაეცა მეორე ხარისხის დიპლომა და ფასიანი პრიზი. ტურნირის მონაწილეებმა გადაიღეს საერთო ფოტო, რომელსაც ვაქვეყნებთ.

დადგინდა, რომ მსგავსი ღონისძიებები სისტემატურად ჩატარდება მომავალში.

**თენგიზ ნორაკიძე,**
**სპორტის ოსტატი**

# „პროვოკატორი და არამზადა“

ამერიკის ოფიციალური ჯაშუში – საქართველოს თავდასხმის მინისტრი ირაკლი ალასანია, რომელმაც რამდენიმე დღის წინ თვითნებურად, პრემიერ-მინისტრთან შეუთანხებლად, საქართველოში ნატოს რაკეტების განთავსება მოსთხოვა, ა.წ. 23 მაისს თავისნაირ არამზადებს და პროვოკატორებს – საქართველოში ნატოს მოსყიდულ ექსპერტებს შეხვდა, რომლებიც 2003 წლიდან დღემდე ქართველ ხალხს ატყუებენ.

შევახსენებთ საქინფორმის მკითხველს, რომ 2004 წლიდან, არნო ხიდირბეგიშვილი თავის მრავალრიცხოვან პუბლიკაციებში, მავნებლების მცირერიცხოვან ჯგუფს ამხელს, რომლებიც თავს ქართველ პოლიტოლოგებს – ექსპერტებს უწოდებენ, ხოლო მისი ტერმინი **“პროქტოპოლიტოლოგი”** დიდი ხანია ქრესტომათიული გახდა.

ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის პირველივე დღიდან დაუსვა დიაგნოზი საქართველოს მთავარ პროქტოპოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს და თქვა, რომ მასზე სულელ ადამიანს არ იცნობს, პოლიტიკიდან წასვლის წინ კი სწორედ ამ პროქტოპოლიტოლოგებს შეხვდა და დაუმტკიცა, რომ მათი ყალბი პროგნოზები გახვრეტილი გროშიც არ ღირს. ივანიშვილმა მაშინ მოსთხოვა **“ექსპერტებს”**, თავიანთი **“პროგნოზები”** (რომლებიც შემდეგ, ჩვეულებრივ, არ მართლდება) კონკრეტული ფაქტებით დაედასტურებინათ და არა სკანდალური ჭორები დაეყარათ და მოსახლეობაში პანიკა დაეთესათ.

მაშინ შეხვედრაზე მხოლოდ ივანიშვილის მიერ ყველაზე **“ნაფერები ექსპერტი”** – **“ექსპერტთა კლუბის”** პრეზიდენტი სოსო ცისკარიშვილი არ მივიდა, რომელმაც პრემიერისადმი **“მადლიერების“** ნიშნად გესლიანად იხუმრა – რეპეტიტორს ვეძებ, რომ ივანიშვილთან შეხვედრისთვის მომამზადოსო!..

ამის მერე სოსომ ახალი **„ხაზეინი“** იპოვა და ახლა მის გაქაჩვაზე მუშაობს, ხოლო მეორე სოსო – ის, ცინცაძე, წიგნი რომ არ აქვს წაკითხული, მაგრამ ნატოზე სახოტბო წიგნი რომ დაწერა და 10 წელი რუსეთის დაშლას, იზოლაციას და დაღუპვას წინასწარმეტყველებდა, დღეს პრორუსული გახდა!..

სააკაშვილის დედით ნათესავის (რომელსაც, ივანიშვილის უარის მიუხედავად, ისევ საქართველოს პირველკაცობა სურს) შეხვედრა **“ანალიტიკოსებთან“** (ანუ, პოლიტიკური ანალის სპეციალისტებთან) **„ნატოსთან თავსებადობის კუთხით საქართველოს თავდაცვის უწყებაში გატარებულ რეფორმებზე“** საუბრით დაიწყო. სქელტუჩა **„წავიდე ამერიკაში? არ წავიდე ამერიკაში?“-**მ ქართველი სამხედროების ***ISAF*-**ის საერთაშორისო ოპერაციაში მონაწილეობაზე, 2014 წლის შემდეგ **„გადამწყვეტი მხარდაჭერის“** მისიასა და 2015 წელს ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში ***(NRF)*** საქართველოს ჩართვაზეც ისაუბრა, ანუ როგორ იყენებს საზარბაზნე ხორცად, თავისი წინამორბედების მსგავსად, ქართველ ჭაბუკებს, თავისი აშშ-პატრონების დანაშაულებრივ ინტერესებში დაქირავებულ ოკუპანტებად რომ არიან ქცეული. აგრეთვე აღნიშნა **„შეიარაღებული ძალების დეპოლიტიზაცია, რაც 2013 წლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი მიღწევაა და საპრეზიდენტო არჩევნები – ამისი ნათელი მაგალითია“.**

ანუ, ამით სააკაშვილის პოლიტიკურმა მემკვიდრემ ხაზი გაუსვა, რომ **„ვერიტას“** – მარგველაშვილი ქართველმა ხალხმა არა **„ქართული ოცნების“** და ბიძინა ივანიშვილის ხათრით, არამედ მისი პიროვნული – **„ჭეშმარიტად ქართული ტრადიციული, დარბაისლური ღირსებების“** და წინდების ქსოვაში პროფესიონალიზმის გამო აირჩია! რაც შეეხება ჯარის პოლიტიზაციას – ამაში ირაკლი მართალია: ქართველი ჯარისკაცი აბსოლუტურად აპოლიტიკურია, რადგან მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოს ტერიტორიების 20% დაკარგულია, ის თვალდახუჭული მარტო თავისი ამერიკელი მეთაურების ბრძანებებს ასრულებს პირნათლად ავღანეთში და ერაყში და დანარჩენზე არაფერზე ფიქრობს, როგორც წესდება მიუთითებს...

შემდეგ პროქტოპოლიტოლოგებთან შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა, შეკითხვები რეგიონული უსაფრთხოების, ნატოს უელსის სამიტზე საქართველოსთვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის ***(MAP)*** მინიჭების საკითხებს ეხებოდა (ალბათ, **„დაავიწყდათ“**, რომ ცოტა ხნის წინ აშშ-ის პრეზიდენტმა ობამამ საქართველოს ნატოს წევრობაზე საბოლოოდ უარი თქვა და რომ საქართველოში მათ **„ანალიზებს“** უკვე არავინ ჭამს).

ბოლოს სამშობლოს მოღალატეთა კლუბში ამერიკის დაზვერვის სკოლის კურსდამთავრებულმა ალასანიამ მაკკეინის მსახური ლაქიების იდიოტური **„მოსაზრებები და რეკომენდაციებიც“** მოისმინა.

**საქინფორმი**



# სამშობლო განსაცდელშია!

**“როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა”.** ქართველებს სამშობლო გვაქვს დასაბრუნებელი. ის სამშობლო, რომელიც მასონური ამერიკა და ევროპა ადმინისტრაციული ბერკეტებით, ინსტრუქციებით, დირექტივებით, ფინანსური და ეკონომიური ბერკეტებით, არასამთავრობო ქსელით, მედია-საშუალებების მიზანმიმართული გამოყენებით, ფსიქოლოგიური ზეწოლით გვიპყრობენ და გვანადგურებენ, ნელ-ნელა აუჩქარებლად. ეს არის თანამედროვე მსოფლიოში ახალი ტიპის ოკუპაცია, როცა ტანკებს, თვითფრინავებს, ავტომატებს, კალკულატორი, ინტერნეტი, პიარტექნოლოგიები ჩაენაცვლა, ეს ოკუპაციაა ახალი მშვიდობიანი ფორმებით, მზაკვრული ხერხებითა და მეთოდებით. დღეს სატანიზმი გამარჯვებას ზეიმობს ჩვენს სამშობლოში. არნახული ტერორი, სადიზმი, უხამსობა ყოველივე წმინდათა ნაწილის გათელვა, ეროვნული კულტურისა და ღირსებების განადგურება. მისი ლიდერიც მასონური სატანისტური ბუნებიდან იღებს სათავეს. საქართველოში აყვავდა მასონური ლოჟები, აღარც მალავენ თავიანთ ნამდვილ მიზნებსა და ზრახვებს. ისინი ღიად ემუქრებიან საქართველოს განადგურებით. ენა, მამული, სარწმუნოება მიუღებელია უცხო და გლობალისტური პროცესების განვითარებისთვის. გასული საუკუნის 50-იან წლები მასონურმა ამერიკამ, ევროპამ და იმპერიულმა ძალებმა შეთანხმებულად გაილაშქრეს დამოუკიდებლობის გზაზე ახლად ფეხშედგმული საქართველოს წინააღმდეგ. განაჩენი ამერიკამ და ევროპამ გამოგვიტანა, ხოლო განაჩენის აღსრულება რუსეთმა იკისრა. ეროვნული ფასეულობებით ორიენტირებული ქართული სახელმწიფოს აშენება განიზრახა ჩვენმა კანონიერმა და ერთადერთმა პრეზიდენტმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ და ეს ზრახვა დასაწყისშივე მოაშთეს. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ მასონური ამერიკისა და ევროპის მოიმედობამ ჩვენი სამშობლო დაანგრია, არამარტო ტერიტორიულად, არამედ ეკონომიურად, ზნეობრივად, სულიერად. ჩვენ თუ მიმართულება და ორიენტაციები არ შევცვალეთ, ჩვენი ქვეყნის დაშლის უკვე დაწყებული პროცესი შესაძლებელია გაგრძელდეს და ბოლომდის მივიდეს. რაც შეეხება, ჩვენს უკანონო ხელისუფლებას, რომელიც ამერიკული ხელისუფლებაა, ორივე ძალა ნაციონალებისა და ამერიკული ოცნებაც იმართებიან ერთი პოლიტიკური ცენტრიდან და ქართული საქმის ნაცვლად მასონური ამერიკისა და ევროპის საქმეს აკეთებენ.

ჩვენ ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც ჩვენს სამშობლოს სჭირდება.

საქართველოს კი უპირველეს ყოვლისა, რუსეთთან ურთიერთობის დალაგება აძლევს ხელს, ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დარეგულირებას წინ უნდა უძღოდეს ჩვენი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, ვისაც ეს ასე არ უნდა, მათ საქართველოს ერთიანობა არ უნდათ.

გვჯერა, რომ სწორი დიპლომატიური ნაბიჯებით ამის გაკეთება შესაძლებელია. ჩვენ დაუმარცხებელნი ვართ!

გამარჯვებისთვის უნდა ვიბრძოლოთ!

მოგმართავთ საქართველოს მოსახლეობას, ქართველს თუ არაქართველს! ვისაც საქართველო უყვარს, თავად გადავწყვიტოთ ჩვენი სამშობლოს ბედი, გავერთიანდეთ და დავიცვათ ჩვენი სამშობლო, ლიდერი თავად გამოჩნდება. მსოფლიოში სიკეთე, სამართლიანობა და უფალი ჩვენთანაა!

**საქართველოს კანონიერი და ერთადერთი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლნი:**

**ლაშა გამსახურდია, გიორგი ციხისთავი,**
**ბერდია ღუდუშაური,**
**მართა სავანელი,**
**სალომე წითური,**
**გიორგი ამაღლობელი,**
**დავით ჯანდიერი,**
**ლევან ზაალიშვილი,**
**სანდრო მარიამიძე,**
**გიორგი გალდავა,**
**გიორგი ჩოლოყაშვილი,**
**ლელა ჯინჭარაული,**
**ნაილი ხომერიკი,**
**სულ 3031 მებრძოლის სახელით,**
**2014 წლის 13 მაისი,**
**სირია, დამასკო**

# ქართველი გლეხის გულისტკივილი

პირველ რიგში მინდა დიდი მადლობა ვუთხრა გაზეთ **“ილორი”**-ს შემოქმედებით კოლექტივს, რომელმაც მე – მშრომელ გლეხკაცს, საშუალება მომცა, რომ ჩემი ხმა მივაწვდინო საზოგადოებას.

ჩემო ძვირფასო თანამემამულენო, ნება მომეცით, ორიოდე სიტყვით გაგაცნოთ ჩემი პიროვნება.

მე ვარ ქართველი გლეხი, ყოფილი მოწინავე მეჩაიე აფხაზეთიდან, ქართველი ვაი-პოლიტიკოსების მიერ გამოგდებული ოდაბადედან. რა დღეში ვართ დღეს, ისინი, ვისაც სოფლის შრომა უყვარს, ყველას კარგად მოეხსენება. რაც საბჭოური, ავად თუ კარგად, უზრუნველი ცხოვრება დაგვინგრიეს, მამაპაპეული მიწიდან გამოგვყარეს, მე, პატიოსანმა მშრომელმა გლეხმა, გადავწყვიტე მეცხოვრა სოფელში და გამეგრძელებინა ჩემი საქმიანობა. მეც შემეძლო წავსულიყავი თბილისში, ან სხვა ქალაქში და უფრო იოლი შრომით, თაღლითობით, სპეკულანტობით მეშოვნა პურის ფული და უფრო უკეთესადაც მეცხოვრა, ვიდრე დღეს ვცხოვრობ სოფელში.

ჯერ ერთი, რუსთაველის გამზირი ამდენ ხალხს ვერ დაიტევს, მეორეც, დღეს სოფელს უფრო უჭირს, ვიდრე ქალაქს. სოფელში რომ ჩავედი, 20 წლის უკან, ერთ დროს აყვავებული, სიცოცხლით სავსე სოფელი დამხვდა გავერანებული, რომელიც გავდა ნაომარ ფრონტს. სოფლელები ქალაქებში გაიქცნენ ლუკმა პურის საშოვრად, შენობები დანგრეული იყო, გზები გაუვალი. სოფელი თითქმის უპატრონოდ იყო მიტოვებული. ბუნებრივია, შეიძლება შემეკითხონ, ეს ხომ ოცი წლის უკან იყოო. იყო და დღესაც ასეა!

ჩემი თუ არ სჯერა ვინმეს, შეუძლია მობრძანდეს და თავად ნახოს, რა დღეშია დღეს ერთ დროს შეძლებული სოფელი. უბედურება ის გახლავთ, რომ ტრაქტორის უქონლობის გამო გლეხს მიწა ვერ დაუხნავს, დაუმუშავებია, ის ტრაქტორები მაინც სად გაქრა, მიშას დღედაღამ კუდში რო დასდევდნენ? დღეს ძალიან უჭირს ხალხს, სამწუხაროდ, ახლანდელი მთავრობის მხრიდან გამოჩენილი ყურადღებაც არაა საკმარისი. ისიც ფაქტია, რომ ხშირად ქვეყნის ხელმძღვანელობა ჩვენი პრობლემების მოსაგვარებლად ვერ იცლის – დასავლური გარყვნილობის დაკანონებით არის დაკავებული. რა უნდა ჰქნან – ტრადიციების მორღვევის გარეშე ევროპაში არავინ მიგვიღებს! ზოგი კი საქართველოსთვის უბედურების მომტანი შეიარაღებით არის დაკავებული, ამომრჩევლების დაუკითხავად არჩეულ საწყალ პრეზიდენტს საერთოდ ვინ ეკითხება რამეს, ან როგორ გაუბედავს საქართველოს მამა-მარჩენალს რიჩარდ ნორლანდს ვინმე სიმართლის პირში თქმას?

ჩვენ ქართველებს ისეთი საშიში მტერი არ გვყავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და **ნატო**-ს ბირთვულქობინიანი რაკეტები დაგვჭირდეს ამ, ისედაც ფეთქებადსაშიშ ეპოქაში. ყველას კარგად უნდა გვესმოდეს: რა პრობლემასაც მშვიდობიანი მოლაპარაკება ვერ მოაგვარებს, მას ვერანაირი ბირთვული იარაღი ვერ გადაწყვეტს. და თუ ჩვენს თავს კიდევ რამე უბედურება დატრიალდა, თუნდაც 2008 წლის აგვისტოსნაირი, ეს მხოლოდ ჩვენი არასწორი პოლიტიკის ბრალი იქნება!

ხომ ნათქვამია: **“რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო”.**

რა ვქნათ ქართველებმა? ზოგი ზის და უყურებს **“იმედი”**-ს ტელეგადაცემებს, რომელიც ისედაც განერვიულებულ გამწარებულ ხალხს კიდევ უფრო უფუჭებს განწყობას თავისი არაფრისმთქმელი რეკლამებით.

არავინ აპროტესტებს იმას, რომ ცარიელდება ქვეყანა, სოფელი, გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანები ჰყიდიან ყველაფერს – საოჯახო ნივთებს, საყოლიებელს, სახლ-კარს, რათა თავს უშველონ. ბოკერია-ბარამიძე-სააკაშვილებისთვის ავადსახსენებელ საბჭოთა პერიოდში იმდენად მაღალი იყო ჩვენი ცხოვრების დონე, რომ სხვები ჩამოდიოდნენ ჩვენთან საცხოვრებლად. დღეს კი პირიქით ხდება, თუ გონს არ მოეგო ქართველები მალე საქართველო ქართველების გარეშე დარჩება. ჩვენს ქვეყანას კი სამხრეთიდან მუშტრის თვალით მოყურადებული ავისმსურველები დაეპატრონებიან!

ამიტომ ვთხოვ ყველა ქართველს, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლო, ქართული ტრადიციები, ხმა ავიმაღლოთ დღეს გამეფებული უსამართლობის წინააღმდეგ, რათა მომავალში **“ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნოდეს...”**, რომ ვიყოთ უფრო ბედნიერები!

ამისათვის ჩვენ არ გვჭირდება ოკეანეგაღმელი ამერიკელი აგრესორები, გარყვნილი ევროპა, მათი ტანკები და რაკეტები, რაც საქართველოს გაქრობას უქადის მსოფლიო რუკიდან. ჩვენ დღეს ჰაერივით გვჭირდება მხოლოდ მშვიდობა, მდიდარი სოფელი და ყველასათვის ხელმისაწვდომი რუსული ბაზარი. გთხოვთ ნუ დავკარგავთ ძველ გზასა და ძველ მეგობარს. საქართველოს მხოლოდ ერეკლეს გზა იხსნის.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: **პუტინი არ არის ჩვენი მტერი!**

გაიხსენეთ მისი სიტყვები: **ГРУЗИНСКИЙ НАРОД САМЫЙ КРАСИВЫЙ, САМЫЙ ТАЛАНТЛИВЫЙ НАРОД. ДЛЯ РОССИИ, БЛИЖЕ ГРУЗИНОВ НЕТУ НИКОГО ПО КУЛЬТУРЕ, ПО ВЕРЕ!**

მოგიწოდებთ, დაგმეთ სააკაშვილისეული ანტირუსული ისტერია!

ნუ გადავაქცევთ საქართველოს ამერიკის შეერთებული შტატების კოლონიად, ნუ გავხდით საქართველოს ზემძლავრი სახელმწიფოების საომარ პოლიგონად. ვიზრუნოთ მშვიდობაზე, თავისუფლებაზე, ჩვენი შვილების მომავალზე! ამისათვის საჭიროა მომავალი თვითმმართველობის არჩევნები ჩავატაროთ გაყალბების გარეშე და არა ისე, როგორც ჩატარდა წინა საპრეზიდენტო არჩევნები, ეგრეთწოდებული დასავლელი დამკვირვებლების და რიჩარდ ნორლანდის მკაცრი მეთვალყურეობით, რაც სიყალბის გარდა არაფერს მოგვიტანს!

დამილოცნიხარ, ჩემო მშობლიურო ხალხო!

გისურვებთ, რომ საქართველო გახდეს მდიდარი, რომ კანონი კანონობდეს, უფროსი უფროსობდეს, უმცროსი უმცროსობდეს, სოფელი შენდებოდეს და მდიდრდებოდეს, რომ ტრაქტორი საძებნელი არ იყოს გლეხისათვის...

გისურვებთ ბედნიერ მომავალს!

აი, ის, რისი თქმაც მინდოდა თქვენთვის, პატივცემულო მკითხველო!

**გვანჯი დარასელია,**
**ზუგდიდი**

# ქართული ხილ-ბოსტნეული საშინაო ბაზარზე ვერ მკვიდრდება

***“ჩვენს ფერმერებს ძალიან უჭირთ მოსავლის გაყიდვა და ამიტომ მეტისმეტად იაფად ყიდიან სეზონზე”...***

რომელი ქვეყნიდან შემოტანილ სურსათს აღარ შეხვდებით მაღაზიებსა და სუპერმარკეტებში. ამ მრავალფეროვნებაში ქართულ პროდუქციას საკმაოდ მოკრძალებული ადგილი უჭირავს, მათ შორის, ხილ-ბოსტნეულსაც. საადრეო მოსავლის წყალობით დღეს ქართული ხილი და ბოსტნეული სავაჭრო ქსელში მეტია, ვიდრე ზამთარში იყო, თუმცა, უცხოური პროდუქცია ძლიერ კონკურენტად რჩება ფასითაც და ხარისხითაც. დიდ სუპერმარკეტებსა და მაღაზიებში პროდუქტს ეტიკეტი აქვს და აწერია, საიდან არის შემოტანილი, შედარებით მცირე სავაჭრო ობიექტებში კი ასეთი მითითება თითქმის არ არის, მეტიც, იქ ხშირად ვერ (თუ – არ?) გეუბნებიან პროდუქტის სადაურობას.

**ნინო** ნ. (კონსულტანტი): – დიდი სუპერმარკეტების ქსელში ვმუშაობ. გვაქვს როგორც ადგილობრივი, ასევე იმპორტირებული პროდუქცია. მაგალითად, კარტოფილი ქართულია, ბულგარული წიწაკა, ლობიო და ბადრიჯანი – თურქული. ნიორი იმპორტირებულიც გვაქვს და ქართულიც, მწვანილი კი ძირითადად ქუთაისიდან შემოდის. ბადრიჯანი, ხახვი, მანგო, ანანასი, ფორთოხალი თურქეთიდან არის შემოტანილი. ადგილობრივი პროდუქცია ხშირად უფრო ძვირია: ამჟამად თურქული პამიდორი 2,90 ლარი ღირს, ქართული კი – 4,20, ხოლო დიღმის კიტრი ლამის სამჯერ ძვირია უცხოურზე.

**ეთერ სარჯველაძე** (საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ექსპერტი, თსუის პროფესორი): – რამდენიმე წლის წინ ჩეხმა სტუმარმა მთხოვა, წასვლის წინ თქვენებური პამიდორი უნდა ვიყიდო, რომ ჩემს ახლობლებს ვაჩვენო, როგორია ნამდვილი პამიდვრის გემოო. ჩვენს მაღაზიებში ხშირად შერეულია იმპორტული და ადგილობრივი პროდუქცია და მომხმარებელმა არ იცის, რას ყიდულობს, ამიტომ ხშირად გაიგონებთ საყვედურს, რომ ხილმა და ბოსტნეულმა ძველი გემო და არომატი დაკარგა. წესით, ნებისმიერ პროდუქტს უნდა ეწეროს წარმომავლობა, ადამიანმა უნდა იცოდეს, რამდენად სუფთა გარემოში მოიწიეს ნაყოფი, რომელშიც თანხას იხდის, აგრეთვე, რომელ ქვეყანაში. მომხმარებელს ინფორმაცია უნდა ჰქონდეს და შემდეგ თვითონ გადაწყვეტს, შეიძინოს თუ არა სხვა ქვეყნებში წარმოებული პროდუქტი.

როგორც საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე **ნინო ზამბახიძემ** გვითხრა, **“საქართველოში თითქმის ყველა სახის ბოსტნეული მოდის. სამწუხაროდ, სავაჭრო ქსელში ხილისა და ბოსტნეულის 80% შემოტანილია. აგრარულ ბაზრებში მეტია ქართული პროდუქტი, ვიდრე სუპერმარკეტებში”.**

რატომ არის უცხოური საქონელი უფრო კონკურენტუნარიანი? უპირველესად იმიტომ, რომ ჩვენს ფერმერებს ძალიან უჭირთ მოსავლის გაყიდვა და ამიტომ სეზონზე მეტისმეტად იაფად ყიდიან. მაგალითად, ახალციხეში სომხეთიდან ჩამოდიან და კარგ კარტოფილს ყიდულობენ, ზამთარში კი, როცა ამ უმნიშვნელოვანესი საკვები პროდუქტის მარაგი აღარ გვაქვს, ძვირად შემოგვაქვს სომხეთიდან, ირანიდან და სხვა ქვეყნებიდან. ნიორი საქართველოში მაღალი ხარისხის მოდის, მაგრამ მას დიდ კონკურენციას უწევს ჩინური ნიორი, რომელიც ხარისხითა და გემოთი ქართულს ვერ სჯობს... ბოლო დროს არაერთი სასათბურე მეურნეობა გაიხსნა და ადგილობრივი კიტრი და პამიდორი, სიძვირის მიუხედავად, დიდ კონკურენციას უწევს შემოტანილს. მრავლისმეტყველია ციტრუსის მაგალითი: საქართველოში შემოაქვთ ეგვიპტური მანდარინი, რომელიც დამუშავებულია და კანზე პარაფინს უსვამენ, მიმზიდველი ფერი რომ ჰქონდეს და გამძლეც იყოს, აჭარაში კი წლეულს ლამის მთელი მოსავალი იზარალეს, რადგან ვერ გაყიდეს და არც სამაცივრე დანადგარები ჰქონდათ შესანახად.

ალბათ, ქართველ ფერმერებს კიდევ უფრო გაუჭირდებათ, როცა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მაღალი ხარისხის ევროპული სურსათი შემოვა. არადა, ჩვენს ქვეყანაში 22 კლიმატური ზონაა და ძალიან ბევრი პროდუქტის მოყვანა შეიძლება, თუ მაინცდამაინც ბუნებრივ პირობებში არა, სათბურში მაინც. საკუთარი პროდუქცია საქართველოს იმიტომ არ ჰყოფნის, რომ ჯერჯერობით წარმოება მასშტაბური არ არის.

**ხ. ჩიგოგიძე**

# ჩვენი მეგობარი ალეკო



ქართული მედიის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ღირსების ორდენოსანს, მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო პრემიისა და საქართველოს ტელერადიოკომიტეტის წლის საუკეთესო გადაცემათა კონკურსების მრავალგზის ლაურეატს, მრავალი საინტერესო წიგნისა და გაზეთის ავტორსა და რედაქტორს, ჩვენს ერთგულ მეგობარსა და თანამშრომელს **ალექსანდრე შენგელიას** 15 ივნისს 80 წელი უსრულდება.

საკმარისია გავიხსენოთ ტელევიზიის ოქროს ფონდში შეტანილი მისი ფართოდ გახმაურებული სატელევიზიო გადაცემები: **„კაკაბეთის ზარები", „რისხვით შეკრული მუშტი", „მიწა, რომელიც იწვის", „სირცხვილისფერი ასკილი", „მივლინება ჯოჯოხეთში", „ტალღა შემდგარი ყალხზე"**, რომ ბოლომდე გავისიგრძეგანოთ მისეული **„შოკური თერაპიის"** სამკურნალო ეფექტი, რამაც ძალოვანი სტრუქტურებისა და სამართალდამცავთა ცნობილ ლიდერებს ჯერ კიდევ იმ დროს საქვეყნოდ ათქმევინა, რომ ამ ნაწარმოებებს გაცილებით დიდი შედეგი მოჰყვა, ვიდრე მათ მიერ განხორციელებულ ყველაზე ხალხმრავალ და ძვირადღირებულ ოპერაციებს. ამის დასტურად თუნდაც **„კაკაბეთის ზარები"** კმარა, რომლის შემდგომ საქართველოში 12 წლის მანძილზე აღარ განმეორებულა ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანთა გატაცება და ეს გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე დიდი კატაკლიზმების პერიოდში ხელისუფლებაში ამოტივტივებული ზოგიერთი კრიმინალი თვითონ არ დაადგა ამ უკეთურ და ნაძრახ გზას.

ალექსანდრე შენგელიამ პრესაში აქტიური მოღვაწეობა ჯერ კიდევ 1953 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების პირველ კურსზე სწავლისას დაიწყო. ამ პერიოდში მისთვის განსაკუთრებით გამორჩეული გამოდგა სასწავლო პრაქტიკა გაზეთ **„ახალგაზრდა კომუნისტში"**, რომელსაც მაშინ პრესის ჭეშმარიტი რეფორმატორი და მეტრი, ლეგენდარული რედაქტორი მიშა (კუწა) კაკაბაძე თავკაცობდა. მან დიდი ნდობა გამოუცხადა ალეკოსა და მის თანაკურსელს, სულგანათლებულ თამაზ გაბელიას, რომ ახალბედებს კინოსტუდია **„ქართულ ფილმზე"** მთელი საგაზეთო გვერდის მომზადება და სტატიის მათივე ფოტოებით ილუსტრირება დაავალა. მას შემდეგ ჟურნალისტური მოღვაწეობა ერთი დღითაც არ შეუწყვეტია, ხოლო 1958 წლის 15 იანვრიდან, საღამოს გაზეთ **„თბილისის"** პირველი ნომრის გამოსვლიდან ამ გაზეთში 21 წელიწადს მოღვაწეობდა. მე, მის უმცროს მეგობარსა და ბევრ ჩემს კოლეგას დღესაც გვახსოვს მისი მწვავე კრიტიკული პუბლიკაციები **„ჩიხები ჩიხში", „არც ხორცი ვარგა, არც ტყავი", „არგუმენტებიც მაკარონივით იმსხვრევა"** და მრავალი სხვა, რომელთაგან განსაკუთრებით გამოვყოფ ღრმა ჟურნალისტური გამოძიების შედეგს – წერილს **„ექსპერტებს მივაშველოთ ექსპერტი"**, რომლითაც ალეკომ ის კორუფციული სქემა ამხილა, დამნაშავეთა ნაცვლად არაერთი უდანაშაულო ადამიანი რომ გაისტუმრა ციხეში.

ამ პუბლიკაციის გამო წლობით გრძელდებოდა ჟურნალისტის დევნა, მაგრამ ნაკვლევი მასალა იმდენად სიღრმისეული იყო, რომ ავტორის დამარცხება ვერ მოახერხეს.

არასდროს დამავიწყდება 1978 წლის გვიანი შემოდგომის ის საღამო, როცა ცეკას გამომცემლობის შენობის სააქტო დარბაზში ჟურნალისტთა ყრილობაზე სიტყვით გამოსულმა ალეკომ ყველასდა მოულოდნელად განაცხადა: **„არ მინდა გენერლობა, დავღუპავ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებსო!"**, მერე კი, გაოცებულ დარბაზსა და რესპუბლიკის ხელმძღვანელობას განუმარტა: **„1975 წლის აგვისტოდან, მას შემდეგ, რაც ექსპერტების კრიტიკა გამოვაქვეყნე, წელიწადში სულ მცირე ორჯერ მაინც ახერხებენ, გაზეთს მომწყვიტონ და რამდენიმე თვით სამხედრო შეკრებებზე გამიშვან. თითოეულ გაწვევაზე ერთი ვარსკვლავი მემატებოდა. ასე რომ, უკვე მაიორი გამხადეს და რაღა დამრჩა გენერლობამდეო?"** მახსოვს, ამ სიტყვების შემდეგ პრეზიდიუმიდან ტელერადიოკომიტეტის იმდროინდელმა თავმჯდომარემ, ბატონმა ნუგზარ ფოფხაძემ ტრიბუნაზე მდგომს ფურცელი მიაწოდა.

როგორც მოგვიანებით შევიტყვე, ფოფხაძე წერდა: **„ალეკო, ჩათვალე, რომ დღეიდან საქართველოს ტელევიზიის სამართლისა და მორალის სამსახურს უხელმძღვანელებ. უარი არ სთქვა".** შემოქმედებითად ძალზე ნაყოფიერი 9 წელიწადი გაატარა ტელევიზიაში, შემდეგ 12 წელიწადი მშობლიურ ქალაქში გაზეთ **„ქუთაისის"** მთავარ რედაქტორად მსახურებდა სამშობლოს. პარალელურად თავკაცობდა აგრეთვე **„დემოკრატს", „თეთრ ლეგიონს", „ბექთარს".** დააფუძნა და 1995 წლიდან რედაქტორობდა 20-გვერდიან საავტორო ყოველთვიურ გაზეთს **„სარკმელი საქართველოსი"**, რომელიც ჩვენი ქვეყნის გარდა საზღვარგარეთაც ვრცელდებოდა; სტილისტ-რედაქტორად მოღვაწეობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, ამასთან წლების განმავლობაში იყო საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატი; კულტურის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის კალინინის რაიკომის მდივანი და სახალხო კონტროლის თბილისის საქალაქო კომიტეტის საჯაროობის სექტორის გამგე.

ფერწერული ტილო, რომელსაც დღეს გთავაზობთ, ჩვენი ალეკოს უახლოესმა მეგობარმა, საქართველოს სახალხო მხატვარმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, პროფესორმა კორნელი სანაძემ იმ დღეებში შექმნა, როცა ჩვენს ამჟამინდელ იუბილარს 33 შეუსრულდა. მას შემდეგ ზუსტად 47 წელიწადი გავიდა, მაგრამ ამ ნაწარმოებს პირადად მე მხოლოდ ახლახან გავეცანი იმის მიუხედავად, რომ მახსოვდა, რომ იგი სპეციალურად იყო შეტანილი ამ დიდი პორტრეტისტის კატალოგებში, როგორც ჟურნალისტ ალექსანდრე შენგელიას პირადი საკუთრება. შემთხვევითი არ არის, რომ საიუბილეო თარიღის დღეს ჩვეულებრივი ფოტო-პორტრეტის ნაცვლად მის მრავალრიცხოვან მეგობრებსა და მკითხველებს სწორედ ამ ფერტილოს რეპროდუქციას ვთავაზობთ.

გთხოვთ, გაიხსენოთ სანდრო მირიანაშვილის ძალზე პოპულარული სიმღერა **„საყვარელ ქუჩაზე"**, რომელიც კომპოზიტორმა კორნელი სანაძის ლექსის შთაგონებით შექმნა: **„ისევ ის ბიჭი ვარ, ხუჭუჭა პატარა"!**

ამ სიმღერის სიტყვები დღეს თამამად შეუძლია გაიმეოროს ბატონმა ალეკომ, რამეთუ ამჯერადაც იმ შემოქმედებითი ენერგიითაა დამუხტული, როგორც იმ დროს, როცა ეს ფერტილო იქმნებოდა.

**რ. შალამბერიძე**

*გაზეთ **"ილორის"** მკითხველებს კი ვთავაზობთ ალეკო შენგელიას მორიგ ლექსს, რომელიც მიმდინარე არჩევნების ზოგიერთ მანკიერებას დაურიდებლად ამხელს.*

## მარათონი

**პირველკაცობას დღეს ბევრი ცდილობს,**
**მსტოვრობს, ეშმაკობს, მზაკვრობს, მაცილობს,**
**რომ ჩეჩნებივით დაგვღუპოს და გადაგვაცდინოს...**
**ღმერთმა გვაცილოს მათი ბედი, ღმერთმა გვაცილოს!**
**ხან ვარდისფერი, ხან ცისფერი ისწორებს ჩოხას,**
**დისკანტი თუ აქვს, საარჩევნოდ იყენებს ბოხ ხმას,**
**ხალხს ზღაპრულ კოშკებს პირდება და...**
**თვითონ იშენებს;**
**ღმერთო, გვიხსენი ვამპირთაგან,**
**ღმერთო, გვიშველე,**
**თორემ გაგვწმინდეს პირწმინდად და დავრჩით შიშველნი!**
**სამშობლოვ ჩემო, ხალხო ჩემო,–**
**ქრისტეს მხედარო,**
**ეს რამდენია, ვინც ორგულობს,**
**ქვეგამხედვარობს?**
**ღმერთო, მოგვხედე,**
**რომ დავძლიოთ ჭირი ოხერი,**
**ჩამოვიცილოთ მექრთამე და წელში მომხრელი;**
**მომხვეჭელი და სისხლისმსმელი ისე მოღვერე,**
**რომ ქვეყანაში**
**ზნეობრივი გვყავდეს მოხელე.**
**ღმერთო, მოგვხედე ნაწამებ ხალხს,**
**ღმერთო, მოგვხედე!**

**ალექსანდრე შენგელია**

# გამოვიდა ბერიას მეორე ტომი




**გამოვიდა მეორე ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624**

**თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.**

**ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322**

# პატრიარქმა ემზარ კვიციანს წერილი მისწერა



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ პრეზიდენტის ყოფილ რწმუნებულს კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანს საკანში ჯვარი, ლოცვები და წერილი შეუგზავნა. ამის შესახებ **„Frontnews"**-ს კვიციანის ადვოკატმა რევაზ კახნიაურმა განუცხადა.

**„უწმინდესმა სთხოვა ბატონ ემზარს, შეეწყვიტა შიმშილობა. ჩვენც ამის მომხრენი ვართ, რადგან ვფიქრობთ, რომ ბრძოლა სამართლებრივი გზებით უნდა გავაგრძელოთ. თავად ემზარი თავს სუსტად გრძნობს, თუმცა კონტაქტურია. მალე მასთან ეკა ბესელია და გედევან ფოფხაძე შევლენ და იმედი გვაქვს, რომ შიმშილობის აქცია დასრულდება"**, – განაცხადა ადვოკატმა.

რაც შეეხება საქმეს, ადვოკატი აცხადებს, რომ არ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც წაყენებულ ბრალდებას დაადასტურებს.

ამასთან, მისივე თქმით, არ არსებობს საფუძველი კვიციანის პატიმრობაში დასატოვებლად.

საერთოდ გაუგებარია **"ქართული ოცნების"** მიერ **"განთავისუფლებული"** სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, რაც, ყველა გათვლით, ავადსახსენებელი **"ნაციონალების"** დაკვეთას უფრო წააგავს, ვიდრე კანონის ზეობას! განა ფაქტი არ არის, რომ მოსამართლეთა შემადგენლობა სააკაშვილისა და მისი ხროვის დაკომპლექტებულია და ყოველთვის ნაცთა ბინძურ ინტერესს ემსახურებოდნენ.

ეს რომ ასეა, ემზარ კვიციანისადმი გამოტანილი განაჩენიც მეტყველებს, მაშინ, როცა ჩვენ სამართალდამცავებს ვერა ვერ მოუხერხებიათ პირწავარდნილი დამნაშავე ნაცების ციხეში გაგზავნა!

**საქინფორმი**

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6
სარეგ. №01018002930
234-32-95

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირგატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge